619
1956 /2

# დროშა

№ 4 1956

ეროვნული ბიბლიოთეკა





მცხეთის მტს-ის ბრიგადირი გ. ბულაცაშვილი საკოლმეურნეო მინდვრებზე

ფოტო ვ. ჯეირანოვისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 4 (57) აპრილი 1956 წ.

გამომცემლობა „კომუნისტი“
გამოცემის V წელი

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა
6927.



პარტიის XX ყრილობის შემდეგ თბილისის კიროვის სახ. ქარხნის კოლექტივმა პირველი წარმატება მოიპოვა — გადაჭარბებით გაანაღდა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა. ფოტოზე: მოწინავე ამწყობი ზეინკლები ა. თორთლაძე და ვ. რაჩირინი მუშაობენ მილსაჭრელი ჩარხების აწყობაზე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

# საქართველოს ახალმშენებლობანი

დოც. გრ. ზარდალიშვილი

მეექვსე ხუთწლიანი გეგმა ახალ, დიად სამუშაოთა პროგრამას უსახავს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს. ახალ გეგმაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მძლავრი ენერგეტიკული ბაზის შექმნას, პირველ რიგში ელექტროსადგურების მშენებლობასა და სახალხო მეურნეობის ელექტრიფიკაციას.

საქართველოში უკვე მრავალი ელექტროსადგური მუშაობს, მაგრამ მზარდი სახალხო მეურნეობა კიდევ უფრო მეტ ელექტროენერგიას მოითხოვს. ახალი ხუთწლიანი გეგმით ჩვენს რესპუბლიკაში ელექტროენერგიის გამომუშავება 1,8-ჯერ გაიზრდება. მარტო მიმდინარე წელს პირველ სამრეწველო დენს მოგვცემს გუმათჰესი 1-ის ერთი აგრეგატი და გუმათჰესი 2-ის სამი აგრეგატი, მთლიანად დამთავრდება ტყიბულჰესისა და ბჟუჟის (მახარაძის რაიონი) ელექტროსადგურის მშენებლობა.

დიდი მუშაობა წარმოებს ახალი მსხვილი ელექტროსადგურების მშენებლობისათვის. მიმდინარე ხუთწლედში დამთავრდება გუმათჰესი 1 და 2, ხრამჰესი 2, შაორჰესი 2 (ამბროლაურის რაიონი), და ლაჯანურჰესი (ცაგერის რაიონი). ამ უკანასკნელთან ტარდება მეტად საინტერესო სამუშაოები: აქ გაჰყავთ გვირაბი, რომლის საშუალებითაც ცხენისწყლისა და ლაჯანურის წყალი ნაწილობრივ გადასროლილი იქნება მდ. რიონში. რიონი უფრო უხვწყლიანი გახდება, რაც შესაძლებლობას მოგვცემს ავაშენოთ მასზე მეორე დიდი ელექტროსადგური რიონჰესი 2. თვითეული მათგანი იმდენ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს, რამდენსაც გვაძლევს საქართველოს ყველა ელექტროსადგური ერთად აღებული.

საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის მიჯნაზე, დარიალის ხეობაში, მდ. თერგზე შენდება მძლავრი ელექტროსადგური დარიალჰესი, რომელიც შემაერთებელი რგოლი იქნება საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის ელექტროსისტემებს შორის.

საქართველოს ელექტრიფიკაციის უმნიშვნელოვანეს მომენტად უნდა ჩაითვალოს ჩვენი რესპუბლიკის ენერგოსისტემის გაერთიანება აზერბაიჯანისა და სომხეთის ენერგოსისტემებთან ერთ მთლიან კვანძში.

უმნიშვნელოვანეს ახალმშენებლობათა რიცხვს მიეკუთვნება — გროზნო-თბილისის გაზსადენის გაყვანა.

დღეისათვის უკვე დადგენილია გაზსადენის ტრასა: სტავროპოლი-ნევინომისკი-მინერალური წყლები-გროზნო-ორჯონიკიძე-თბილისი. გაზსადენის გაყვანას უდიდესი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს თბილისისათვის. გაზიფიცირებული იქნება საწარმოები და დაწესებულებები, სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები, საავადმყოფოები და საცხოვრებელი ბინები, საჭირო აღარ იქნება თბილისში ათასტონობით ქვანახშირი, ნავთობი, მაზუთი, დიდძალი შეშა, ამით დაიზოგება ათეული მილიონი მანეთის ღირებული საწვავ-სათბობი და ელექტროენერგია.

გარდა ამისა, აღმოსავლეთ საქართველოს ნავთობის საბადოებთან არსებული ბუნებრივი გაზი გამოყენებული იქნება სოფლის მეურნეობაში საკოლმეურნეო სათბურებისათვის, მუშათა დაბებისა და სოფლების გაზიფიკაციისათვის და სხვ.

დიდი სამუშაოები ჩატარდება მორწყვის დარგში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება სამგორის ვრცელი ველების ათვისებასა და სამეურნეოდ გამოყენებას. მიმდინარე წელს მთლიანად დამთავრდება ზემო სამგორის სარწყავი არხის მშენებლობა, სიონის წყალსაცავის პირველი რიგი და დაიწყება ქვემო სამგორის არხის მშენებლობა. თუ მიმდინარე წელს მდ. იორის წყლით სამგორის ველზე 16 ათასი ჰექტარი მიწა ირწყება, ხუთწლედის დამლევისათვის სარწყავი ფართობი 41 ათას ჰექტარს მიაღწევს, გაშენდება მევენახეობის, მერძევეობისა და მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობები, სანერგეები, მოირწყება სიღნაღის, გარდაბნის, საგარეჯოსა და კაჭრეთის დღემდე გამოუყენებელი ყამირი მიწები. სიცოცხლე დამკვიდრდება სამგორის, ჯეირნისა და გარდაბნის ველებზე. გარდა ამისა, „თბილისის ზღვიდან" გაყვანილი იქნება წყალსადენი მილი, რომელიც სამეურნეო წყლით მოამარაგებს თბილისის საწარმოებს.

*
* *

მხოლოდ ამ სამუშაოებით არ ამოიწურება დიადი გეგმა. ხუთწლედის განმავლობაში დამთავრდება გორის ბამბეულის კომბინატის მეორე რიგის მშენებლობა, რუსთავში შენდება ვისკოზური ბოჭკოს ქარხანა, სულ მალე თბილისში ამუშავდება პირველი სატელევიზიო სადგური და სხვ.

დიდი გეგმებია დასახული სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ისეთი წამყვანი დარგების განვითარებას, რომელთაც საკავშირო მნიშვნელობა აქვთ. სახელდობრ, გადიდდება ჩაის ფართობი და გაიზრდება მოსავლიანობა. 1960 წლისათვის საქართველოში მოიკრიფება 165 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, დიდად გაიზრდება ვენახის, ხეხილის ბაღების, ციტრუსოვანი კულტურების ფართობი.

დასახულია დიდი მოცულობის სამუშაოები ბინათმშენებლობაში.

გაფართოვდება ნიშანდებული რადიოაქტიური იზოტოპების გამოყენება მეტალურგიაში, მედიცინაში, ლითონდამუშავებასა და მანქანათმშენებლობაში.

პერსპექტიული გეგმით გათვალისწინებულია სახალხო მეურნეობაში შრომის შემამსუბუქებელი მექანიზმების — ავტომატიკის დანერგვა.

ამ სამუშაოთა შესრულებით ჩვენი რესპუბლიკა გახდება უფრო მაღალგანვითარებული, ძლიერი და მდიდარი.





ია მესხი

# მტკვრის ხეობაში

ფოტო ვ. ჯეირანოვისა

## 4. აზერბაიჯანში

### მომავალი „ზღვის" ფსკერზე

ყარაიაზის ველზე, იქ, სადაც მტკვარი საზღვარს გადაცდება და მოძმე აზერბაიჯანის მიწა-წყალზე შედის, მძლავრი ლითონის საყრდენებია აღმართული, რომელთაც თავის მხრებზე მავთულები გაუჭიმავთ. რესპუბლიკის ალაყაფის კარებთან მეგობრობის შუქურებივით ეგებებიან ისინი გულითად მეზობელ საქართველოს. ამ მავთულებით აზერბაიჯანი სამრეწველო დენს აწვდის თბილისსა და რუსთავს. ეს ნიშანსვეტები უმოკლესი გზით მიიმართებიან მინგეჩაურისკენ, რომელიც მთელს ამიერკავკასიაში ყველაზე მნიშვნელოვან ენერგომშენებლობას წარმოადგენს. მაგრამ ჩვენ არ გადავუხვევთ გზას მტკვრის ნაპირებიდან. მივიხედ-მოვიხედოთ ირგვლივ: მტკვრის ნაპირებზე პირველად მთელი ჩვენი მოგზაურობის განმავლობაში ვხედავთ ისეთ კულტურას, რომელიც აქამდე არ შეგვხვედრია. ჩვენ ვხედავთ ბამბას რკინიგზის პაკჰაუზებში, ვხედავთ ბამბისსაწმენდ ქარხნებს, ბამბის ნათესებს. ბამბა კიდევ უფრო მეტი იქნებოდა, მტკვარს რომ შეეძლოს, წყურვილი მოუკლას ოდნავ შემაღლებულ კიროვობად-ყაზახის მასივის მოშორებულ რაიონებს. როგორ ამოვზიდოთ წყალი ზემოთ? როგორ გავაკეთებინოთ მას ადამიანისთვის სასარგებლო საქმე?

ყარაიაზის ველი ვიწროვდება, მტკვარი უახლოვდება ერთ პატარა რაიონულ ცენტრს.

მალე ამ პატარა, უმნიშვნელო რაიონული ცენტრის სახელი ყველას აალაპარაკებს გაჩნდება ცარცით გაკეთებული წარწერები სამშენებლო მასალით დატვირთულ რკინიგზის ბაქნებზე. ამ ცენტრისკენ გაემართება ათასობით სხვადასხვა სპეციალობის ადამიანი. აი უკვე ახლაც, ამ ადგილებში ისეთ ადამიანებს შეხვდებით, რომელთაც წინათ აქ ფეხიც არ დაუდგამთ: გეოლოგებს, ჰიდროგეოლოგებს, ტოპოგრაფებს, სამთომადნო და ბურღვის საქმის სპეციალისტებს. ამ მიდამოებში სჭრიან ჭაბურღილებს, გაჰყავთ შახტები და წოლხვრელები, საიდანაც შერჩევით. ამოაქვთ მთის ქანების ნიმუშები. მტკვრის ნაპირებთან კი ჰიდროგეოლოგები ზომავენ წყლის დონეს, მის ყოველდღიურ ხარჯს, იკვლევენ მდინარის ნარიყს.

ყველაფერზე ეტყობა, რომ აპირებენ მტკვრის დონის ამაღლებას! აქ შეიქმნება გრანდიოზული ჰიდროკვანძი: წყალსაცავი, არხები და ჰესი. ახალი ჰესის კაშხალი მდინარის დონეს 70 მეტრზე ასწევს და გააადვილებს წყლის მიწოდებას კიროვობად-ყაზახის არხისთვის, რომელიც ასეულ კილომეტრზე გადაიჭიმება მთელი მასივის გასწვრივ. ამის შედეგი ის იქნება, რომ ბამბის, ვენახისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების სათესი ფართობი აქ თითქმის ორჯერ გადიდდება. ახალი ჰესის ენერგია ჩართული იქნება საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის გაერთიანებულ ენერგოსისტემაში, რომელიც შეიქმნება მეექვსე ხუთწლედში. რუკაზე გაჩნდება კიდევ ერთი „ზღვა".

მის მომავალ ფსკერზე ჯერ ისევ დგას სოფლები, ძოვს პირუტყვი, დილდილობით გაისმის მამლების გადაძახილები და ლიანდაგებზე გრიალით მიჰქრიან მატარებლები — თბილისი-ბაქო. დიახ, ამ ჰესის მახლობლად ჩვენ მატარებლით რკინიგზის იმ უბანზე გავიარეთ, რომელიც მომავალში წყლით დაიფარება, გავიარეთ და კვლავ მტკვრის ნაპირებს დავუყევით.

### მინგეჩაურის კაშხალი

და აი, მივადექით მსოფლიოში უმაღლეს მოსილულ კაშხალს. არ გეგონოთ, რომ ახლაც წარმოსახვით, მომავალი ზღვის შესახებ ვლაპარაკობთ. არა. ჩვენს თვალწინ სინამდვილეში არსებული, ადამიანის ხელებით შექმნილი, უზარმაზარ ტერიტორიაზე გადაშლილი ზღვა დგაფუნობს და მზეზე ლაპლაპებს, — მისი სიგრძე 70 კილომეტრია, სიგანე კი 20 კილომეტრამდე აღწევს.

ნუთუ ჩვენმა მტკვარმა აავსო ეს ვეებერთელა ღრმული ასეთი ანკარა მოცისფრო-მწვანე წყლით? უზარმაზარი სალექარი, რომელიც ბოზდაღის ყელთან გაჩნდა, არა მარტო მტკვრის წყალს იღებს, — „მინგეჩაურის ზღვაში" ახლა იორი და ალაზანიც ჩადის. აზერბაიჯანის ახალ რუკას რომ დახედოთ, დაინახავთ, ორ ქედს შორის მიწაზე გაწოლილ ცისფერ სამკუდა ლაქას, ეს ლაქა თანდათან გაიზრდება. „ზღვა" ჯერჯერობით წარმოშობის პროცესშია და საბოლოოდ „შევა თავის ნაპირებში" მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლოს, თუ, რა თქმა უნდა, მდინარეები საკმაო რაოდენობით მიაწოდებენ წყალს.

ჩვენ ვდგავართ კაშხალზე. მშენებლები უკვე ამთავრებენ ნაკვთების გამოყვანას. სამუშაოებს აწარმოებს სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს პირველი უბანი, რომელსაც საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის აღზრდილი შოთა მაჩაბელი მეთაურობს. ექვსი წლის წინათ იგი მოვიდა მინგეჩაურში და აქ აგებდა ახლა უკვე კაშხალის ფუძეში ჩამარხულ ფსკერის მილებს, რომელთა დიამეტრი 8-10 მეტრია და კედლის სისქე 4 მეტრი. ამ მილებში შედენეს მტკვარი და აიძულეს ასე ედინა, სანამ ის ძველ კალაპოტში სხვა ნაგებობებს აშენებდნენ, სანამ აქ ოთხი სარკინიგზო ხაზით კარიერებიდან ქვა-ღორღი მოჰქონდათ და სანამ მომავალი კაშხალის ადგილზე, გიგანტური ბრანდსბოიტები ანუ ჰიდრომონიტორები ქვაღორღიან ნიადაგს რეცხდნენ და გარდიგარდმო ხერგავდნენ ყელს.

აღსანიშნავია, რომ მტკვარმა თვითონ გადაიღობა სავალი გზა. ორნახევარი წლის განმავლობაში თავისი კარიერებიდან უშვებდა ის ხრეშსა და სილას, წყლის ძალით ერეკებოდა და ახვავებდა მათ ორი მთით შემოზღუდულ ვიწრო გასასვლელში და ამავე ძალით მჭიდროდ სტკეპნიდა მომავალი კაშხალის ტანს. ასეთი ტკეპნა თვით მდინარის მონაწილეობით ყველაზე ეკონომიური და საიმედო აღმოჩნდა.

სანამ კაშხალის ერთ მხარეზე ზღვა გროვდებოდა, მეორე მხარეზე, დერივაციული ტრაქტის გასასვლელთან

ახალი ჰიდროკვანძის მშენებლობაზე.

ფოტოზე (მარცხნიდან მარჯვნივ): მშენებლობის უფროსი მამედ აგიევი, ჰიდროკვანძის ძირითად ნაგებობათა უბნის უფროსი აბდულ ბაბასოვი, მთავარი ინჟინერი ბორის ივანოვი, ძირითად ნაგებობათა უბნის უფროსის მოადგილე დავით დგებუაძე.



---

დასასრული. იხ. ჟურნ. „დროშა" №№ 1, 2 და 3.

ჩნდებოდა ჰესის ნაგებობანი. ექვსი საწნეო მილსადენიდან, რომლებითაც ახლა მტკვარი „მინგეჩაურის ზღვიდან“ გამოდის, წყალი ექვს მძლავრ ტურბინზე ვარდება. სადგური მზადაა. მინგეჩაურის ენერგია მავთულებით მიდის სამრეწველო აფშერონში და საქართველოში. მაგრამ ჯერჯერობით ყველა ტურბინი არ მუშაობს, მინგეჩაურელები ელოდებიან თავისი „ზღვის“ საბოლოოდ გავსებას. მაშინ აღარ დაგვჭირდებოდა წყლის ეკონომიის გაწევა და ენერგია გადაეცემა ყველა ხაზს რესპუბლიკის უშორეს რაიონებში.

...ახალი ჰიდროელსადგურის ძირითადი დანიშნულება იქნება — დაეხმაროს მინგეჩაურის აზერბაიჯანის ვრცელ უწყლო ველებს მიაწოდოს მტკვრის წყალის უზარმაზარი დანაგროვი.

დავბრუნდეთ ისევ ჩვენს ნაცნობ კაშხალზე. აქ, გვირაბის გამოსასვლელში, რომელიც ბოზდაღშია გაჭრილი, დგას ზემო-ყარაბაღის არხის მთავარი ნაგებობა. მტკვარი (და ახლა ალაზანიცა და იორიც) გაივლის თუ არა გვირაბს, მიემართება ყარაბაღისა და მილის სტეპებში — 150 კუბომეტრი წყალი წამში. მაგრამ ეს ცოტაა. მიწა მეტს თხოულობს. „მინგეჩაურის ზღვას“ კი მეტის მიცემა არ შეუძლია. ჯერ ერთი იმიტომ, რომ კაშხალის მეორე მხარეზე ამჟამად შენდება ასეთივე ნაგებობა და არხი, რომლის შემწეობით წყალი მარცხენა ნაპირის შირვანის ველს უნდა გადაეცეს. და, რაც მთავარია, კაშხალთან მუდამ საჭიროა იყოს წყლის გარკვეული წნევა, რომ ელექტროსადგურის ტურბინებმა შეუფერხებლად იმუშაონ. მხოლოდ იმის შემდეგ, როცა მტკვარი მოილევს თავის საქმეს ტურბინებში, შეიძლება გაიშვას ის სარწყავად.

აი რატომაა, რომ მინგეჩაურის ქვემოთ გაჩნდება კიდევ ერთი ჰიდროკვანძი, წყლის ქვეშ მოექცევა კიდევ ასეული ჰექტარი მიწის ფართობი წყალსაცავის შესაქმნელად და აქედან კიდევ ორი ასეთივე მაგისტრალური არხი გადასერავს მტკვარ-არეზის დაბლობს.

მშენებლობა დასასრულს უახლოვდება. სულ მალე იმავე ამიერკავკასიის გაერთიანებულ ენერგოსისტემას



საბუქსირო ხომალდის კაპიტანი ჯუმშიდ ჰასანოვი რეისზე.

დამატებით გადაეცემა იაფი ენერგია, წარმოიშობა წყლის ვეება ბუფერი. მტკვრის წყალი გადავა ვაციწვერათი მოდებულ მინდვრებზე და მათ სიცოცხლის სუნთქვას შთაბერავს.

## ბოლო მოეღო დამყაყებულ ახმაზს

— მგზავრებო, ევლახს ვუახლოვდებით! დახურეთ ფანჯრები!

ეს სურათი, უთუოდ, მოაგონდება ზოგიერთ ჩვენს მკითხველს. ევლახამდე ჯერ მისული არ იყო ხოლმე მატარებელი, ჰაერში კოღოს ზუილი გაისმოდა და ვაგონში დამყაყებული წყლის მყრალი სუნი შემოვარდებოდა. არც იყო გასაკვირველი: 55 ჰექტარი მიწა ევლახის მახლობლად ყოველ წელიწადს წყალდიდობის დროს მტკვრიდან მოვარდნილი წყლით იფარებოდა. წყალსატევის სიღრმე მხოლოდ აქა-იქ თუ აღწევდა 2 მეტრს, მეტწილად კი 20 სანტიმეტრს არ აღემატებოდა. ფრიალა თეფშივით გაშლილ ზედაპირზე წყალი დგებოდა, შმორდებოდა და ჩნდებოდა კოღო, რომელიც ირგვლივ დიდ მანძილს ედებოდა.

ევლახი ძალზე მალარიანი ადგილი იყო მთელს აზერბაიჯანში. ყოველწლიურად აუარებელი სახსარი იხარჯებოდა კოღოსთან საბრძოლველად, პროფილაქტიკასა და მოსახლეობისთვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე. მაგრამ ყოველივე ეს სიზიფოსის შრომას წააგავდა. გაზაფხულზე მტკვარი კვლავ გადმოდიოდა ნაპირებზე, ავსებდა ევლახის ჭანჭრობს და ყველაფერი ისევ თავიდან იწყებოდა.

ამგვარი მდინარის ამომშრალი კალაპოტები, რომელთაც აზერბაიჯანში ახმაზები ეწოდება, მტკვრის გასწვრივ გვხვდება ყველგან, სადაც ის სტეპებზე მიედინება, და მხოლოდ ახლა შეიქნა შესაძლებელი მათთან ბრძოლა. მინგეჩაურის კაშხალი რომ გაჩნდა, ადამიანმა ხელთ აიღო მდინარის დონის რეგულირება, კალაპოტიდან გადმოსვლის გასაქანი მას აღარ მისცა, და ევლახელებიც შეუდგნენ თავისი ახმაზის ამოშრობას.

გასული წლის იანვარში მტკვარზე გაჩნდა ორი მძლავრი მიწისმწოვი მანქანა. ოთხი კილომეტრის მანძილზე მდინარის ფსკერიდან გრუნტი გადადის ახმაზში. თვითონ მტკვარი შეუდგა ახლა თავისი წინანდელი ოინების ლიკვიდაციას. დამყაყებული წყალი არხით უკან მდინარეში ბრუნდება, უზარმაზარი ღრმული კი მიწით ივსება.

მილიონ კუბომეტრმა მიწამ გადაინაცვლა ადგილი მტკვრის ფსკერიდან ევლახის ახმაზში.

ევლახელებმა გვიამბეს, რომ სწორედ აქ აპირებენ გააშენონ კულტურის პარკი, აღმოაცენონ ხეები და ხეივნები იმავე მინგეჩაურიდან მიწოდებული ელექტრონით გაანათონ.

## გველთევზა

ევლახიდან მოყოლებული მტკვარი სანაოსნო ხდება. კიდევ ერთი შრომითი ვალდებულება მიემატა ჩვენს სახელოვან მტკვარს. ევლახში თავს იყრის რესპუბლიკის 18 მსხვილი რაიონის საავტომობილო გზა. ამ გზებით, ევლახზე გავლით, გადააქვთ სახალხო მეურნეობის ტვირთები. რასაც რკინიგზა ვერ ასწრებს, მტკვარს გადააქვს. მდინარის ნაპირებზე ახლა უკვე გვხვდება ნავსაყუდლები: ზარდობი, სალიანი...

სალიანში ჩვენ მოვახერხეთ გვენახა სალამურას ქარხანა, რომელიც ერთადერთია მთელს რესპუბლიკაში. სალამურა გველის მსგავსი თევზია. ამ თევზს სიცივე უყვარს. ამიტომ მას იჭერენ მაშინ, როცა ცივი და ქარიანი თვეები დგება. იჭერენ იქვე, ქარხნის მახლობლად. თევზჭერის გამგემ, ძველმა სალიანელმა მეთევზემ ფეიზიბოლა ფეიზიევმა გვითხრა, მტკვარზე თვეში 600 ცენტნერამდე სალამურას იჭერენო.

ქარხანაში ამ თევზს ტაფებზე ალაგებენ და დიდძალ ქონს ადნობენ. აი რატომაა, რომ მაღაზიებში ვერასოდეს ვერ იპოვით ახალ, ხმელ ან დამარილებულ სალამურას.

## როგორ უშველეს თართს?

მტკვარმა მიგვიყვანა ახალ დაბამდე, რომელიც ერთნაირი სტანდარტული სახლებისგან შედგება. შესასვლელთან თაღზე რუსულად წარწერილია უცნაური ასოები: КПЭОРЗ ВНИРО. ეს ნიშნავს: მეთევზეობისა და ოკეანოგრაფიის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მტკვრის საწარმოო-ექსპერიმენტული მეთევზეობის ქარხანა.

ქარხანა და დაბა გაჩნდა აქ ამ სამი წლის წინათ, რადგან მტკვარში თართმა კატასტროფულად იწყო კლება. წინათ თართი მრავლდებოდა მინგეჩაურის ჭორომებზე. ახლა კი, რაკი კაშხალი გაჩნდა, თართის ქვირითის საყრელიც გაჰქრა, სხვა ისეთი ადგილი კი, სადაც თევზს ქვირითის ყრა შეეძლოს, მთელ მდინარეზე, მინგეჩაურამდე, არსად არის. უფრო ზემოთ კი არის, მაგრამ იქითკენ თევზს კაშხალი უღობავს გზას.

მტკვრის თართი მთელ ქვეყნიერებაზე განთქმულია თავისი ხიზილალით, რომელიც კიროვის სახელობის თევზკომბინატში მზადდება. და განა დასაშვებია, ასეთი თევზი გადაშენდეს მხოლოდ იმის გამო, რომ ქვირითის საყრელი ადგილი დაკარგა?

ქარხნის დირექტორმა მირზა აღა კასიმოვმა შემოგვატარა ქარხნის უზარმაზარი ტერიტორია: აქ არის 70 აუზი, რომლებშიც ამრავლებენ თართის ცოცხალ საკვებს — წვრილ-წვრილ კიბორჩხალებს, არის ათეულობით სხვა ექსპერიმენტული აუზები და გუბურებიც, მოწყობილია ალიგახეტნიკი, სადაც მიწით გავსებულ ფიცრულ ყუთებში მრავლდება სპეციალური საკვები ჭიაყელები ლიფსიტებისთვის და, ბოლოს, ქარხნის საინკუბაციო საამქრო.

ამ საამქროს უფროსმა — მეთევზე მირზა მამედ ჰუსეინოვმა ჩვენს თვალწინ ქვირითით სავსე თართს შპრიცით კუნთში ჰიპოფიზის ხსნარი შეუშხაპუნა. ვეებერთელა ცოცხალი თევზი, რომელიც 35 კილოგრამს იწონის, მალე დაყრის ქვირითს. ჰიპოფიზის ინექცია მხოლოდ იმიტომ გაუკეთეს, რომ დაჩქარდეს ქვირითის მომწიფება და „ბუნებრივი მშობიარობის“ დადარაჯება შესაძლებელი გახდეს.

ჰუსეინოვი უდარაჯებს. როგორც კი ქვირითი წამოვა, იგი მოაგროვებს მას სპეციალურ წყლისჭავლიან აპარატში ინკუბაციისთვის. ეს აპარატი მინგეჩაურის ჭორომების მაგიერობას წევს. აქ ქვირითი მურად იქცევა, მური გადააქვთ აუზში გასაზრდელად, მერე კი, როცა მური ლიფსიტად იქცევა, გადაყავთ გუბურაში; ორიოდე თვის შემდეგ სამასი ათასი პატარა თართი (ეს მარტო ერთი დედისგან), წონით ერთნახევარი-ორი კილოგრამი, წყალთან ერთად გაიშვება მტკვარში, და აქედან ზღვაში გადავა.

აგერ სამი წელიწადი იქნება, ქარხანა თავისი საწარმოო გუბურებიდან ლიფსიტებს უშვებს. ამ ხანებში კი აჯი-ყაბულსა და მტკვრის შესართავში ამუშავდა თართის ორი საწარმოო მეთევზეობის ქარხნები, რომლებიც შეუდგნენ საბჭოთა მეცნიერების მეთოდით თართის ხელოვნურად გამრავლებას.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთევზეთა ბრიგადის ბრიგადირი მაგერამ მამედოვი და მისი გოგონა აგიული.

არა, არ დაუშვებენ მტკვრის თევზის მომშენებლები, რომ ჩვენმა განთქმულმა თართმა მიატოვოს თავისი მშობლიური მდინარე!

## გამარჯობა შენი, კასპიის ზღვაო!

ამრიგად, ჩვენ რამდენიმე კილომეტრიღა თუ გვაშორებს იმ ადგილს, სადაც მტკვარი კასპიის ზღვაში ჩადის. ჩვენი მგზავრობა დასასრულს უახლოვდება.

ამიერკავკასიის ყველაზე დიდმა მდინარემ გამოგვატარა კლდოვანი ხეობები, ნოყიერი ველები და უწყლო ტრამალები. გზადაგზა მას უერთდებოდნენ ახალქალაქის წყალი და ფოცხოვი, ლიახვი და ქსანი, არაგვი, ალაზანი ივრით, ტერტერი და არეზი, მაშავერა, დე-ბედა და ქცია-ხრამი.

2742 მეტრის სიმაღლის ბექობიდან მტკვარი პატარა ღელედ იწყებს სრბოლას, ზღვასთან კი წყალსავსე, მძლავრ მდინარედ მოდის. აქ, შესართავთან კიროვის თევზკომბინატის მეთევზეები ბადით იჭერენ ორაგულსა და შამაიას, ჭერეხსა და ზუთხს, მდინარეზე დასრიალებენ კარაპები და საბუქსირო ნავები. აგერ, ღამის ელექტროთევზაობიდან ნავსაყუდელში ბრუნდებიან მოვერცხლისფრო ქარსალით დატვირთული ნავები.

მდინარეს აცოცხლებს მხოლოდ ადამიანის დაუცხრომელი მოძრაობა და საქმიანობა. არქეოლოგები, ისტორიკოსები, ხელოვნებათმცოდნეები სწავლობენ მდინარის ნაპირებზე ნაპოვნი ძეგლების მიხედვით ხალხთა წარსულს. გეოლოგები ეძებენ სასარგებლო წიაღისეულს. ნაპირებზე მარადმწვანე ტყით შეფენილ ხეობებში გამართულია დასასვენებელი სახლები და სანატორიუმები. თითქოს მტკვრის ტალღებს სწრაფ რბენაში ეჯიბრებიანო, მიჰქრიან მატარებლები, ქარხნების მილებიდან კვამლი ბოლქვებად ამოდის, მტკვრის წყალი ცხელ საამქროებს აგრილებს, ელექტროსადგურების ტურბინებს ამოძრავებს და შორეულ, დაგვალულ ველ-მინდვრებს გულუხვად რწყავს.

ძალზე ბევრი საინტერესო და ახალი რამ გვაჩვენა მტკვარმა, რომელმაც ორი მოძმე რესპუბლიკის მიწაზე ათასხუთასი კილომეტრი დაგვაფარინა. ჩვენ გამოვემშვიდობეთ მტკვარს ზედ ზღვის ზღურბლთან, სადაც მისი წყალი ვეება კასპიის თასში მალე ბუმბერაზი ვოლგისა და ურალის წყლებს შეერევა.

**ივ. ურჯუმელაშვილი**

მ ო თ ხ რ ო ბ ა

მხატვარი ჯ. ლოლუა

საძეხვე საამქროს გამგე ტრიფონ ბარბაქაძე მორიდებით შევიდა ქალაქკომის მდივნის მოსაცდელ ოთახში. ტრიფონი საშუალო ტანის ჩასუქებული კაცი იყო. მწვანე ხავერდის შარვალ-ხალათი და მაღალყელიანი ჩექმები ეცვა, ჭრელი თვალები ნაქეიფარ კაცივით ჩასცვენოდა.

— ქალაქკომის მდივანი კაბინეტშია? — შეეკითხა მდივნის თანაშემწეს.

— დიახ, კაბინეტშია, მაგრამ ორ საათამდე დაკავებულია, — უპასუხა მდივნის თანაშემწემ, ისე რომ წინგაშლილი წიგნისთვის თვალი არ მოუცილებია.

— გმადლობთ, გმადლობთ, — თავის ქნევით მიმართა საძეხვე საამქროს გამგემ, წელში მოიხარა და იქვე ჩამოჯდა სკამზე, საბჭოთა არმიიდან დემობილიზებული ოფიცრის გვერდით. გრძელძეწკვიანი ჯიბის საათი ამოიღო და დრო გასინჯა.

„ერიჰა, მთელი ორი საათი მომიხდება აქ ჯდომა, მე კი ლოდინი შავი ჭირივით მეჯავრება, — ხელისჩაქნევით გაიფიქრა ტრიფონმა და საათი ჯიბეში ჩაიდო. — მეტი რა გზაა, უნდა ველოდო. აბა, მაშ, ჩვენი დირექტორის სიტყვაზე კი არ ვივლი. მითხრა, გეგმის შესრულების ცნობა მდივნის თანაშემწეს გადაეციო. იმ კაი კაცს, თუ ჩემთვის კარგი უნდოდა, ამდგარიყო და მდივანთან გამოვეგზავნე. თანაშემწემაც ხომ ცნობა მდივანს უნდა გადასცეს! ჰოდა, განა ჩემთვისაც და საქმისთვისაც, უმჯობესი არ არის, რომ ცნობა მდივანს მე თვითონ შევუტანო? რა თქმა უნდა უმჯობესია. მეც კაცი ვარ და ქუდი მხურავს. მდივანს როგორც წესი და რიგია მივესალმები, გამოველაპარაკები და ახლო გავიცნობ. ორი საათი კი არა, დღის ბოლომდე ლოდინი, რომ დამჭირდეს, აქედან ფეხს არ მოვიცვლი, ძლივს მომეცა მდივნის გაცნობის შესაძლებლობა და გიჟი კი არა ვარ, ეს შემთხვევაც ხელიდან გავუშვა“.

მოსაცდელ ოთახში მდივანს ათამდე კაცი ელოდა, მაგრამ იხეთი სიჩუმე იყო, რომ გარკვევით ისმოდა ტრიფონის აჩქარებული სუნთქვა. ტრიფონი მოუსვენრად გრძნობდა თავს, დგებოდა და ჯდებოდა, ხან აქეთ შეტრიალდებოდა, ხან იქით. გვერდით მჯდომ მთხოვნელებსაც გამოელაპარაკა. წარამარა ჯიბიდან საათს იღებდა და გაკვირვებით თავს აქნევდა, ეს რა ნელა გადის დროო. ჯდომით დაიღალა, მაგრამ იმის შიშით, რომ ადგილი არ დაეკარგა, სკამიდან აღარ დგებოდა.

ოთახში ოცდარვა-ოცდაცხრა წლის მაღალი, ახოვანი, ლამაზი შეხედულების კაცი შევიდა და იქ მყოფთ თავის დაკვრით მიესალმა.

ტრიფონმა ერთი კი შეხედა შემოსულს, მაგრამ რომ დაინახა, საკონსერვო ქარხნის ცვლის ინჟინერი ზურაბ მხეიძე იყო, უმალ თვალი მოარიდა.

დემობილიზებული ოფიცერი წამოდგა, ზურაბს ხელის ჩამორთმევით მიესალმა და შეეკითხა:

— ზურაბ, შენზე გავიგე, ყამირ მიწებზე მიდისო, მართალია?

ტრიფონი, რომელიც განზე იხედებოდა, ცნობისმოყვარეობით შეტრიალდა მათკენ და მხოლოდ ესღა გაიგონა:

— დიახ, მართალია.

— სასიხარულო ამბავია, წარმატებას გისურვებ,— მიუგო დემობილიზებულმა და ზურაბს მეგობრულად ხელი ჩამოართვა.

მდივნის თანაშემწე ფეხზე ადგომით შეეგება ინჟინერს და თავაზიანად მიმართა:

— მობრძანდით, მობრძანდით, ამხანაგო ზურაბ, ქალაქკომის მდივანი გელოდებათ.

— ანკეტა შევავსე და ამიტომ შემაგვიანდა, — მიუგო მან და თანაშემწეს საანკეტო ფურცელი მიაწოდა.

მდივნის თანაშემწემ ანკეტა საქაღალდეში ჩასდო, კაბინეტის კარი შეაღო და ზურაბს გზა მისცა.

ტრიფონმა, რომელიც კარის პირდაპირ იჯდა, გარკვევით დაინახა, თუ როგორ უცბად წამოდგა ქალაქკომის მდივანი, როგორ გამოვიდა მაგიდის წინ და ზურაბს მეგობრულად ხელი ჩამოართვა.

ყოველივე ამან ძალიან დააინტერესა ტრიფონი, რომელიც საერთოდ ცნობისმოყვარე კაცი იყო. როცა რაიმე ამბავი მოხდებოდა, მთელ ქალაქს შემოირბენდა ხოლმე. დაწვრილებით გაიგებდა, ვინ რას ლაპარაკობდა, მერე გაგონილს გონებაში აწონ-დაწონიდა, თავისებურად გადაამუშავებდა, ცოტა გაბერგამობერავდა და, ბოლოს, ნაცნობს თუ უცნობს თვითონვე უყვებოდა, ასე და ასე მოხდა ეს ამბავიო. რამდენიმე დღის წინ ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე გაათავისუფლეს.

ეს იყო ყველაზე ახალი და ამასთან ტრიფონისათვის ძალიან ამაღელვებელი ამბავი. დღეს ქალაქკომში რომ მიდიოდა, იმასაც ფიქრობდა, იქნებ როგორმე გავიგო, თუ ვის ირჩევენ ქალაქის საბჭოს თავმჯდომარედო.

„ნეტა რას ნიშნავს ეს?“ უცბად შეეკითხა ტრიფონი თავის თავს, თვალები დაახამხამა და კაბინეტისაკენ გაიხედა, მაგრამ მდივნის თანაშემწეს კარი გამოეხურა. ტრიფონმა ჯერ მდივნის თანაშემწეს გადახედა, მერე მთხოვნელებს მოავლო თვალი, უნდოდა ეპოვნა ისეთი ადამიანი, ვინც ამ კითხვაზე პასუხს გასცემდა. ერთ მთხოვნელსაც შეეკითხა ხომ არ იცი, ვინ არის ეს ახალგაზრდა კაციო, მაგრამ ტრიფონმა იმაზე მეტი ვერაფერი გაიგო, რაც თვითონაც მშვენივრად იცოდა.

„აქ რაღაც ამბავია“, გაიფიქრა ტრიფონმა, წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა, რადგან ასეთ რამეებზე, მჯდომარეს, ფიქრი არ შეეძლო.

„ნეტა რად შეავსებინეს ზურაბს ანკეტა? ან რას ნიშნავს სიტყვები „წარმატებას გისურვებ“; ქალაქკომის მდივანსაც რომ ხელი ისე ჩამოართვა, როგორც ტოლმა ტოლს. ზურაბი კი არ აირჩიონ ქალაქის საბჭოს თავმჯდომარედ? რატომაც არა, სულ ადვილი შესაძლებელია. ცოდნა აქვს სხვაზე ნაკლები, თუ შეხედულება. ღმერთმა ქნას, რომ ენამ მიყივლოს. თუმცა, კაცმა რომ თქვას, მე რა სარგებლობას ვნახავ ამით, დეიდაშვილი არ არის ზურაბი ჩემი და მამიდაშვილი. მეზობლები ვართ, სალამით ვიცნობთ ერთმანეთს? ვინ იცის, რამდენი ჩემნაირი მეზობელი და ნაცნობი ჰყავს, მერე კიდევ რამდენი გამოუჩნდება. მაინც, რაც არ უნდა იყოს, სრულიად უცხოს და უცნობს, ისევ ეს სჯობია“.

ბევრი იფიქრა, თუ ცოტა, ახლა ამის თქმა ძნელია, რადგან ტრიფონი ისე იყო ფიქრებში გართული, დროც კი აღარ გაუსინჯავს, თან, რაც უფრო ბევრს ფიქრობდა, სულ უფრო მეტი სურვილი ეღვიძებოდა, რომ ზურაბი ქალაქის საბჭოს თავმჯდომარედ აერჩიათ. ბოლოს თავის თავი დაარწმუნა, ეს მართლაც ასეაო.

— ეგ ხომ არ არის, ქალაქის საბჭოს თავმჯდომარედ რომ ირჩევენ? — წასჩურჩულა და სახის მოძრაობით კაბინეტი უჩვენა გვერდში მჯდომ მთხოვნელს.

— არ ვიცი, — იყო პასუხი.

— მგონი ეგ არის, — თქვა დიდმნიშვნელოვნად ტრიფონმა და მეზობელს ამაყად შეხედა.

— ადვილი შესაძლებელია.

ზურაბი კაბინეტიდან გამოვიდა, მდივნის თანაშემწეს გამოემშვიდობა და გასასვლელისაკენ გაემართა.

ტრიფონი წამოდგა და ზღურბლთან მისულ ზურაბს, რომელიც მისკენ არ იხედებოდა, ქუდის მოხდით მიმართა:

— გამარჯობათ, პატივცემულო ზურაბ, როგორ ბრძანდებით?

უხერხულობაში ჩავარდნილმა ზურაბმა ტრიფონისაკენ მიიხედა და თავის დაკვრით მიუგო:

— გმადლობთ. თქვენ როგორღა გიკითხოთ?

— არა მიშავს რა, ჩემო ზურაბ, ვცხოვრობ ნელ-ნელა.

ტრიფონმა გაიფიქრა ახლო მისულიყო და ხელი ჩამოერთმია ზურაბისათვის, მაგრამ ეს უკანასკნელი თავის დაკვრით გამოემშვიდობა და ოთახიდან გავიდა.

სიხარულისაგან ტრიფონმა კინაღამ ხელები გაშალა და ქართული ცეკვა ჩამოუარა. „რა კარგ ფეხზე დავდივარ დღეს, რა კარგ ფეხზე, — ეჩურჩულებოდა იგი თავის თავს და სახეზე სიხარულის ღიმილი დასთამაშებდა, — ძვირფასი ყურები და უფრო ძვირფასი თვალები მაქვს, სადაც არ უნდა წავიდე, უსათუოდ ისეთ რამეს დავინახავ და გავიგონებ, რაც სხვებს შეუმჩნეველი რჩებათ. დღესვე შემოვირბენ ნაცნობ-მეგობრებს და ახალ ამბავს გავაგებინებ. ჩვენ დირექტორსაც შევატყობინებ, ასეთი რამეები ძალიან უყვარს იმ დალოცვილს, ბავშვივით გატვრენილი მომისმენს და დიდ მადლობასაც გადამიხდის. დაე, ჩემმა მტრებმა და ორგულებმა ერთხელ და სამუდამოდ გაიგონ, რომ მე საძეხვე საამქროს გამგე ტრიფონ ბარბაქაძემ ბევრი რამ ვიცი ისეთი, რაც მათ არ იციან“.

ქალაქკომის მდივანთან რიგრიგობით შედიოდნენ მთხოვნელები. ტრიფონი მესამე უნდა შესულიყო, მაგრამ, ისეთ კარგ ხასიათზე დადგა, ორ ქალს დაუთმო რიგი.

ტრიფონი თავდახრილი შევიდა კაბინეტში, რომელიც საკმაოდ გრძელ ოთახს წარმოადგენდა. ქალაქკომის მდივანი ტელეფონზე ლაპარაკობდა.

— შეიძლება? — თქვა ხმადაბლა შუა ოთახში გაჩერებულმა ტრიფონმა.

მდივანმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

თავდახრილმა ტრიფონმა მორიდებით გაიარა ოთახი და ქალაქკომის მდივნის მაგიდასთან შეჩერდა.

ქალაქკომის მდივანმა სახის მოძრაობით სკამი აჩვენა, დაბრძანდიო.

ტრიფონი ფრთხილად დაჯდა.

ქალაქკომის მდივანმა ლაპარაკი რომ დაამთავრა, ტრიფონი წამოდგა და გაშლილი ცნობა მოწიწებით მაგიდაზე დაუდო.

— ცნობა მდივნის თანაშემწეს ჩააბარე, — მიმართა მდივანმა და ცნობა უკანვე მიაწოდა, — სხვა ხომ არაფერი გნებავთ?

ტრიფონმა უარის ნიშნად თავი გააქნია. თქმით კი არაფერი უთქვამს. ან რას იტყოდა, როცა სათქმელი არაფერი ჰქონდა. მძიმედ შებრუნდა, კარგად ბრძანდებოდეთო, ხმადაბლა წაიბურტყუნა და თავდახრილი კაბინეტიდან გავიდა. კონვერტი მდივნის თანაშემწის მაგიდაზე დასდო და ფაციფუცით გასასვლელისაკენ გაემართა.



* * *

საღამოთი შეზარხოშებული ტრიფონი სახლში მიდიოდა.

— ტრიფონ, სდექ! — უცბად წაილაპარაკა მან და შუა გზაზე შეჩერდა. — შენ ხომ ხორცკომბინატის დირექტორთან ვახშამზე ხარ დაპატიჟებული? — მცირე ხნის შემდეგ, თითქოს თავის ნათქვამი თვითონვე დაადასტურაო, დაუმატა: — დიახ, ხორცკომბინატის დირექტორთან ვარ დაპატიჟებული.

„წავიდე თუ არ წავიდე? — ეს კი გაიფიქრა ტრიფონმა, — არა, არ წავალ. არ წავალ, რადგან დაგვიანებულია. თუმცა რას ვამბობ, ნამდვილი ღვინის სმა ახლა იქნება გაჩაღებული. თან როგორი სამზადისი ექნება ნიკოს, როგორი! — ტრიფონმა მოწონების ნიშნად თითის წვერები გემრიელად დაიკოცნა. — რა თქმა უნდა, ნიკოს ცოლის ბიძაშვილი ჯულიეტაც იქ იქნება. აი ქალიშვილი ასეთი მწამს. ჰო რა ქალია! ეს ორმოცდაათ წელს მიტანებული კაცი საქორწინო ბიჭივით არ ამათამაშა?“

ტრიფონმა გზა განაგრძო. თავის თავთან საუბარი კი არ შეუწყვეტია.

„რა ვქნა, წავიდე თუ არ წავიდე? კარგი და რომ არ წავიდე, მერე ჯულიეტა? იმაზე კარგი, ამაღამ აბა, რა უნდა ვნახო? ნეტავი მთვრალი მაინც არ ვიყო. ვინ სთქვა, მთვრალიაო, ვინ! თუგინდ, ისე გავივლი, როგორც სამხედრო აღლუმზე დავდიოდი ამ თხუთმეტი წლის წინათ. აი, თუ არა!“

ტრიფონი წელში გაიმართა, მარცხენა მხარი მაღლა აიშვირა, კისერი გაიშეშა და ხელების ქნევით, მწყობრი ნაბიჯით გაემართა წინ.



პატარა ქალაქის ქუჩებში კანტიკუნტად მოჩანდნენ ადამიანები.

მიდიოდა ტრიფონი და მიიმღეროდა, თან ვინც შეხვდებოდა, სულ ერთია — იცნობდა თუ არ იცნობდა, ყველას ქუდის მოხდით ესალმებოდა.

ხორცკომბინატის დირექტორის სახლის წინ ტრიფონს ზურაბი შეეფეთა.

— გამარჯობა, ზურაბ! — ქუდის მოხდით მიესალმა ტრიფონი.

— ტრიფონს სალამი! — მიუგო ინჟინერმა და გვერდით ჩაუარა.

— ზურაბ, სდექ! — შესძახა ტრიფონმა და ინჟინერს უკან გამოედევნა, მკლავში ხელი ჩაავლო, შეაჩერა. — რას გამირბიხარ? განა მეგობრები ასე ხვდებიან ერთმანეთს!

„ჩვენც თუ მეგობრები ვართ“ — გაიფიქრა ზურაბმა, თქმით კი არაფერი უთქვამს.

მართალია, ისინი ერთ ეზოში ცხოვრობდნენ, მაგრამ ერთმანეთში მისვლა-მოსვლა არ ჰქონდათ, როცა ზურაბი საძეხვე საამქროს გამგეს ქუჩაში ხვდებოდა, რაკილა ინჟინერი უმცროსი იყო, ქუდის მოხდით პირველი ესალმებოდა. ტრიფონი ცივად დაუკრავდა ხოლმე თავს და გვერდში ისე ჩაუვლიდა, ზედაც არ შეხედავდა.

— ჰო, მართლა, გავიგე და მიხარიან, — ტრიფონმა კმაყოფილებით გაიცინა, მეგობრულად მხარზე ხელი გადახვია და წასჩურჩულა, — საკითხი ხომ საბოლოოდ გადაწყდა.

— დიახ, გადაწყდა, — მიუგო ზურაბმა, — დილაზე თბილისში მივდივარ, ცენტრალურ კომიტეტში ვარ გამოძახებული, მერე კი...

— ძვირფასო ზურაბ, ეს რა სასიხარულო ამბავი მითხარი. მოიტა ერთი, ხელი მაინც ჩამოგართვა, — ტრიფონმა ზურაბს ორივე ხელი მოჰკიდა, მოიხარა და ხელზე აკოცა. — მაპატიე, ჭირივით მეჯავრება მლიქვნელობა, მაგრამ უცბად ისეთ მხიარულ ხასიათზე დავდექი, რომ სხვანაირად არ შემიძლია მოვიქცე. ცეკვა მინდა, ცეკვა! — ხელები გაშალა და მხრები აათამაშა.

„ვერაფერი გამიგია, ნეტავ რად უხარია საძეხვე საამქროს გამგეს ჩემი ყამირ მიწებზე წასვლა?“ — ეკითხებოდა ზურაბი თავის თავს და მალე დარწმუნდა, რომ ტრიფონს ღვინო ალაპარაკებდა.

— მაშ, დილაზე მიდიხარ, არა? — განაგრძობდა ტრიფონი, — მერედა, განა, დაულოცავად შეიძლება შენი გაშვება! არა, არ შეიძლება! ჩემო ზურაბ, ერთ კარგ ოჯახში ვარ დაპატიჟებული და შენც უნდა წამოხვიდე. ისეთი გემრიელი პურის ჭამა იქნება, ისეთი, რომ მოგეწონება.

— გმადლობ, ამხანაგო ტრიფონ, ჩემთვის უხერხულია, დაუპატიჟებლად ოჯახში მისვლა

— მადლობა ვახშმის შემდეგ მასპინძელს გადაუხადე, გაიგე? ახლა კი წავიდეთ, დროს ნუ ვკარგავთ.

ზურაბი ბევრი ეხვეწა, ბევრი ემუდარა, ხან რა მოისაბაბა, ხან რა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ტრიფონმა, რაკი ერთი თქვა, ვინღა გადაათქმევინებდა. ღონივრად დაებღაუჭა ზურაბს და ძალისძალით ხორცკომბინატის დირექტორის სახლის კიბეზე აიყვანა.

*

* *

დარბაზივით ფართო ოთახში ისეთი მდიდრული მაგიდა იყო გაშლილი, მაძღარ კაცსაც თვალს მოსტაცებდა. რა გინდა, სულო და გულო, სუფრაზე არ ყოფილიყო. ნედლი თევზი, ხიზილალა, ჩახოხბილი ვარიები, ცივად მოხარშული დედლები, ინდაურის საცივი, შემწვარი გოჭები.

სუფრის თავში ხორცკომბინატის დირექტორი ნიკო ბერიძე იჯდა. დაბალი და ჩასუქებული კაცი იყო. დიდი მრგვალი მუცლით მაგიდას მიბჯენოდა. როცა ნიკო ჩაისუნთქავდა, მუცელი ამოისუნთქავდა, ხოლო, როცა თვითონ ამოისუნთქავდა, მუცელი ჩაისუნთქავდა, გეგონებოდათ, მუცელი ნიკოსი კი არა, სხვისი იყო.

— იფ, იფ, ღვინო კი არა, თაფლია! — პირველი ჭიქის დალევისთანავე მასპინძლის გასაგონად წაილაპარაკა მის გვერდში მჯდომმა შამპანიური კომბინატის დირექტორმა დიმიტრი რცხილაძემ.

— მართლაც თაფლივით ღვინოა, ჩემო დიმიტრი, მადლობელი ვარ, გადამეხადოს, — მიუგო ულვაშების წმენდით ნიკომ და სტუმრების გამოცლილ ჭიქებს თვალი მოავლო. — ჩემო დიმიტრი, შენ კი არ გეპატიება, ჭიქა უნდა გამოსცალო.

რაც არ უნდა დიდი სუფრა ყოფილიყო, შამპანკომბინატის დირექტორი, როგორც წესი, ყველაზე მეტ ღვინოს სვამდა, მაგრამ ღვინის სმის დაწყებისას, ჯერ ნახევარ ჭიქას დალევდა ხოლმე, მერე კი ნელ-ნელა უმატებდა, თითქოს სიჩქარეს ილებსო.

— არა უშავს რა, ჩემო ნიკო, გამოვასწორებ, — მიუგო დიმიტრიმ და ჭიქა ღვინით შეავსო.

სუფრის წევრები თავაუღებლივ ჭამდნენ. სამრეწველო მაღაზიის გამგე სიმონ მშვიდობაძე, ეშხიანი, ყოჩაღად მოლაპარაკე, ხანში შესული კაცი, რომელიც თამადა იყო, ზედიზედ სვამდა სადღეგრძელოებს.

კაცებიც და ქალებიც, იმის შიშით სადღეგრძელოს თქმაში დრო არ დავკარგოთო, ფეხზე აუდგომლად წარმოთქვამდნენ „გაუმარჯოსო“, და ჭიქასჭიქაზე სცლიდნენ.

როცა სტუმრებმა კუჭებს საიმედო ბოძები შეუყენეს, მხიარული საუბარი გაჩაღდა.

ნიკოს ცოლის ბიძაშვილი შამპანკომბინატის დირექტორის გვერდით იჯდა. ჯულიეტა ოცდაორი წლისაც არ იქნებოდა. მისი მშვენივრად მოღერებული, თოვლივით თეთრი ყელი ლამაზად მოჩანდა წითელი ხავერდის კაბაში. კოხტა ცხვირი, გადაჭიმული წარბები და გრძელი წამწამები მისი სილამაზის სამკაულს შეადგენდნენ.

დიდი შავი თვალები ვარსკვლავებივით უელავდა, ეს ასე ითქმის, თორემ სად არის ისეთი ვარსკვლავი, რომელსაც შეეძლოს დაანთოს სიყვარულის ცეცხლი, რასაც ამ წარმტაც ქალიშვილის ვერცხლისწყალივით სწრაფი და დაუდეგარი თვალები აჩაღებდა ირგვლივ.

ჯულიეტა ერთ წუთსაც არ ჩერდებოდა, სკამზე ჩიკორივით ტრიალებდა, ყველას უცინოდა, ყველას ეპასუხებოდა.

მისი სიკეკლუცით მოხიბლული მამაკაცები თავს იდებდნენ, მაღალფარდოვან სიტყვებს წარმოთქვამდნენ და ქვეშ-ქვეშ ჯულიეტას უთვალთვალებდნენ. გულმოსული ცოლები ქმრებს თვალებს უბრიალებდნენ და მუჯლუგუნს სცემდნენ.

— რაც ამ ქალაქში ვმუშაობ, ათამდე ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე გამოიცვალა, მაგრამ ასე არავინ დამნანებია, — ამბობდა პურკომბინატის დირექტორი.

— მაშ, მაშ, რა კეთილი კაცი იყო, — დაუდასტურა რესტორან „ლიახვის“ დირექტორმა, რომელიც ქალაქის საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის ნათესავი იყო. მისი წყალობით მოიპოვა მან რესტორანის დირექტორობაც და ამ სუფრაზე ადგილიც. — მთელი დღე „ზიმით“ დაბრძანდებოდა. ფანჯრიდან ათვალიერებდა ქალაქსა და ახალ-ახალ ამბებს გებულობდა. რესტორანშიც უყვარდა სალამსაღამოობით მეგობრებთან ერთად შემოვლა.

— ეჰ, ჩემთან კომბინატში კი ერთხელაც არ ყოფილა. მხოლოდ მისი მძღოლი მოდიოდა ხოლმე დილდილობით საკატლეტე ხორცისა და სუკების წასაღებად. ღმერთმა შეარგოს, რაც მან კატლეტი და მწვადი ჭამა, ასეთ კაცზე ალალია, — თქვა ხორცკომბინატის დირექტორმა და მწარედ ამოიოხრა.

— ამბობენ, ქალაქის საბჭოს თავმჯდომარედ თბილისიდან გზავნიან კაცსო — წაილაპარაკა სამრეწველო მაღაზიის გამგემ.

— არა, სიმონ მატვეევიჩ, ასე როგორ შეიძლება, განა ჩვენს ქალაქში ისეთი კაცი არ მოიძებნება, ვისი არჩევაც ქალაქის საბჭოს თავმჯდომარედ შეიძლებოდეს?! — უკმაყოფილოდ თქვა პურკომბინატის დირექტორმა და გოჭის თავი შუაზე გაჩეხა.

— შესაფერისი კაცი როგორ არ გამოინახება, მაგრამ ვინ არის დამყენებელი.

— რაღა შორს წავიდეთ, განა, თვითონ სიმონ მატვეევიჩს, რომელიც მშენებელი ინჟინერია და მაღაზიაში კი მუშაობს, გაუძნელდება ქალაქის ხელმძღვანელობა?! — ხმამაღლა ყველა სიტყვის მკაფიო გამოთქმით წარმოთქვა ხორცკომბინატის დირექტორმა.

— რას ბრძანებთ, მეგობრებო, რად მინდა დაწინაურება, ისედაც ურიგო ადგილზე არ ვმუშაობ, — თქვა სამრეწველო მაღაზიის გამგემ, მაღალ შუბლზე კი გარკვევით ეწერა: „სად არის სამართალი, თორემ მე აქამდისაც უნდა ვყოფილიყავ საბჭოს თავმჯდომარედ“.

სუფრის წევრებს სიმონ მატვეევიჩის ქება-დიდებით ყბები მოეღალათ, ცამდე აიყვანეს და, ალბათ, ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის „ზიმშიც“ ჩააბრძანებდნენ, რომ ლუდ-ლიმონათის ქარხნის დირექტორს, რომელსაც კოხტად აწკეპილი ულვაშები და ერთმანეთზე გადაბმული დიდი შავი წარბები ჰქონდა, არ დაეძახა:

— სიტყვა სხვანაირად კი არ ჩამომართვათ, მეგობრებო, თქვენზე ნაკლებ არც მე გამეხარდება სიმონ მატვეევიჩის დაწინაურება, მაგრამ არ შემიძლია ერთი სამწუხარო ამბავი არ გაცნობოთ.

ლუდ-ლიმონათის ქარხნის დირექტორს სადილის წინ საძეხვე საამქროს გამგე ტელეფონით დაელაპარაკა, დღეს ქალაქკომში ვიყავ და გავიგე, რომ საკონსერვო ქარხნის ცვლის ინჟინერს ირჩევენ ქალაქის საბჭოს თავმჯდომარედო. ტრიფონმა გვარი და სახელიც უთხრა, მაგრამ ლუდ-ლიმონათის ქარხნის დირექტორს დაავიწყდა.

— რა ამბავი, რა? — ერთდროულად იკითხეს ყურებდაცქვეტილებმა.

— მეგობრებო! — მიმართა თავმომწონედ ლუდ-ლიმონათის ქარხნის დირექტორმა, — მე დანამდვილებით ვიცი, ვინც უნდა აირჩიონ ქალაქის საბჭოს თავმჯდომარედ.

— ვინ, ვინ?

ქალებმაც კი, რომლებიც ერთმანეთში საუბრობდნენ და კაცების ლაპარაკს ყურადღებას არ აქცევდნენ, ლუდ-ლიმონათის ქარხნის დირექტორს ცნობისმოყვარეობით შეხედეს.

მასპინძელმა მასთან მიირბინა და მხარზე ხელის დაკვრით უთხრა:

— თქვი, ლევან, ნურაფ⁻ისა მოგერიდება, აქ ყველა შინაურია.

ლევანი ფეხზე წამოდგა, სტუმრებს სათითაოდ შეხედა და დიდმნიშვნელოვნად თქვა:

— ერთი უბრალო კაცია.

— კი, მაგრამ სახელი და გვარი არ აქვს? — იკითხა შამპანკომბინატის დირექტორმა, რომელიც ისე უცქეროდა ლუდ-ლიმონათის ქარხნის დირექტორს, თითქოს უნდოდა ეთქვა, შენი არაფერი მჯერაო.

— მოვა დრო და გაიგებთ.

— ის მაინც გვითხარი, სად მუშაობს ან რა სპეციალობის კაცია? — არ ეშვებოდა სამრეწველო მაღაზიის გამგე.

— როგორც ამბობენ, საკონსერვო ქარხნის ინჟინერია.

უცბად ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, გეგონებოდათ ბაყაყებით სავსე გუბეში გველი შესრიალდაო.

ვინ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ასე, რომ ოთახში ტრიფონი და ზურაბი არ შემოსულიყვნენ.

— სალამი და გამარჯვება, პურისმჭამელო ძმებო! — დაიძახა ტრიფონმა, — ნება მიბოძეთ, წარმოგიდგინოთ ჩემი კარგი მეგობარი და ყველასაგან დიდად პატივცემული ინჟინერი ზურაბ მხეიძე!

— დაბრძანდით, პატივცემულო ტრიფონ! — ნაძალადევი თავაზიანობით მიმართა ხორცკომბინატის დირექტორმა და დიასახლისს გასძახა, სტუმრებს სკამები მოართვიო.

ზურაბი თავის დაკვრით მიესალმა სუფრის წევრებს და ლუდ-ლიმონათის ქარხნის დირექტორის გვერდით დაჯდა. ტრიფონი კი ჯულიეტას მიუჯდა.

— პატივცემულო მაგიდის წევრებო, — ორ-ორი ჩაის ჭიქა უნდა მიირთვან ტრიფონმა და მისმა მეგობარმა, — დაიძახა თამადამ და თეფშით ორი სავსე ჭიქა ტრიფონს გადააწოდა.

ტრიფონი წამოდგა, ლუკმა გადაყლაპა და ულვაშებზე ხელი გადაისვა.

— ეს თქვენს გამოთქმულ სადღეგრძელოებს გაუმარჯოს! — წარმოთქვა მან და ორივე ჭიქა ზედიზედ შეუსვენებლივ გამოსცალა.

ტრიფონმა ჭიქები შეავსო, ზურაბს მიაწოდა.

ზურაბი წამოდგა, სადღეგრძელოს თქმას აპირებდა, მაგრამ სუფრის წევრები ისე ხმამაღლა საუბრობდნენ, რომ დაჯდომა ამჯობინა.

ტრიფონმა მას ხელის მოძრაობით ანიშნა, დალიეო. ზურაბიც შეუდგა ჭიქების გამოცლას.

ღვინის მსმელი და მოქეიფე კაცი არ იყო ზურაბი, მაგრამ მშიერ კუჭზე ორმა ჭიქა ღვინომ უცბად გაამხიარულა და ღვინის სმის ხასიათზე დააყენა.

თამადა ისეთი დალაგებით და სხაპასხუპით ახასიათებდა სუფრის წევრებს, თითქოს სადღეგრძელოები წინასწარ აქვს გაზეპირებულიო.

ვინც არ უნდა ედღეგრძელებინა, ჯერ მის სამსახურებრივ მდგომარეობაზე ლაპარაკობდა, მერე ოჯახურზე და თავის სიტყვას ასე ამთავრებდა:— გაუმარჯოს ამ პატიოსან, ალალ, ყელამდე მართალ კაცსო.

ტრიფონი არც თვითონ სტოვებდა ჭიქაში წვეთს და ზურაბსაც ძალას ატანდა, დალიე, დალიეო.

ზურაბი ჯულიეტას თვალს არ აცილებდა. ატენურ ღვინოზე ნაკლებ როდი ათრობდა მისი სილამაზე. სულ იმის ცდაში იყო, როგორმე გამოლაპარაკებოდა, მაგრამ ვერა და ვერ მოახერხა, რადგან ჯულიეტა ერთთავად სამრეწველო მაღაზიის გამგესთან საუბრობდა.

ისედაც მთვრალ ტრიფონს ღვინო მალე მოეკიდა, მაგიდას დაეყრდნო და ჩაეძინა.

ზურაბიც კარგა გვარიანად შექეიფიანდა. წახალისდა, ძალა და გამბედაობა შეემატა. მორიდებით როდიღა უცქეროდა ჯულიეტას. ერთთავად ულიმოდა, რაც არ უნდა მიეტანათ სუფრაზე, ყველაფერს სთავაზობდა. ქალიშვილი ცივად უხდიდა მადლობას და მის მიწოდებულ საჭმელებს ახლო არ ეკარებოდა.

ლუდ-ლიმონათის ქარხნის დირექტორი წარამარა ზურაბს უცქეროდა, ერთხელ მისკენაც გადაიხარა და რაღაც უთხრა, მაგრამ სუფრაზე ისეთი ხმაური იყო, რომ ზურაბმა ვერაფერი გაიგო.

დიასახლისმა მწვადები შემოიტანა. უცბად ამოძრავდნენ დანა-ჩანგლები.

ლევანმა ჩამოვარდნილი სიჩუმით ისარგებლა და ზურაბს შეეკითხა:

— მეგობარო, შენ რა, ინჟინერი ხარ?

— დიახ, ბატონო!

— სად მუშაობ?

— საკონსერვო ქარხანაში.

— მერე, ქარხანაში ყრია რამე?

ზურაბს გაეცინა. სიცილის დასაფარავად ჩაახველა და მოგვიანებით მიუგო:

— როგორ არა, ეზოში ყუთები და კასრები ყრია.

ლევანმა თვალები დაახამხამა და ზურაბს თვალებდაჭყეტილი დააცქერდა.

— არა, ძმაო, მე ამას არ გეკითხები, — წაიბურტყუნა მან.

— მაშ რას მეკითხები?

— აბა, როგორ გითხრა, — ცოტა ხანს სიტყვა ეძება და უცბად წაილაპარაკა, — ჰო, ქარხანაში თუ გამოდის რამე?

ზურაბმა ამჯერად კი ისე ხმამაღლა გაიცინა, რომ ჩახველებით შეუძლებელი გახდა სიცილის დაფარვა.

— რატომ იცინი? — შეეკითხა განაწყენებული ლუდ-ლიმონათის ქარხნის დირექტორი.

— როგორ არ გავიცინო, ჩვენს ქარხანაში, წლიურად სულ ცოტა, ოცი მილიონი ქილა კონსერვი გამოდის, შენ კი მეკითხები, თუ გამოდის რამეო.

ლუდ-ლიმონათის ქარხნის დირექტორმა ალმაცერად შეხედა ზურაბს, დამცინავად ჩაიცინა და გვერდზე შეტრიალდა.

ღვინის სმა სულ უფრო ჩაღდებოდა. მამაკაცებს ისე დაებერათ მუცლები, მარტო ქამრები კი არა, ღილებიც შეიხსნეს. თამადა ხან წყვილი ჭიქით წარმოთქვამდა სადღეგრძელოს, ხან ჯამით, ბოლოს ყანწზე გადავიდა. შუახანს მიტანებული დიასახლისი, რომელსაც გიშერივით შავი (რა თქმა უნდა შეღებილი) თმა ლამაზად ჰქონდა დახვეული, სუფრას გარს უვლიდა, რიგრიგობით სტუმრებთან ჩერდებოდა, ნაცნობებს ესალმებოდა უცნობებს ეცნაურებოდა. თან ერთთავად კისკისებდა, ალბათ, უნდოდა ყველას მხიარული სჩვენებოდა, როცა ზურაბს გვერდით ჩაუარა, შუბლზე კოპები დაისხა, ცალი წარბი მაღლა აზიდა და ზედ არ შეხედა.

ხორცკომბინატის დირექტორმა ჯულიეტას სთხოვა, გვიმღერე რამეო. ჯულიეტამ ჯერ იუარა, სიმღერა არ ვიციო, მაგრამ სტუმრები რომ არ მოეშვნენ, პრანჭვა-გრეხით მივიდა როიალთან.

ჯულიეტა როიალს კარგად უკრავდა, სიმღერითაც კარგად მღეროდა. ეგ არის, რომ მხრებში ირხეოდა, მეტისმეტად ინაზებოდა. სიმღერის შუალედებში ჭაღს გახედავდა ხოლმე, რადგან იცოდა, რომ თვალები მშვენივრად უელავდა. ჯერ ბოშური რომანსი იმღერა. სტუმრებმა ჯულიეტა ტაშით დააჯილდოეს.

— ჯულიეტა, ქართული გვიმღერე რამე, ქართული! — დაიძახა თამადამ.

— მხოლოდ სასიყვარულო, — სიცილით დაუმატა მასპინძელმა.

ჯულიეტამ ეშხიანად გადახედა სტუმრებს, სწრაფად აათამაშა ბროლის თითები კლავიშებზე და „რომ იცოდე ჩემი გულის დარდები“ დაამღერა. სტუმრებმა ბანი მისცეს.

მღეროდა ზურაბიც და თან ჯულიეტას მისჩერებოდა, თითქოს მასაც დიდი დარდები ჰქონოდა და ამ დარდების წყარო ჯულიეტა ყოფილიყო.

სიმღერის შემდეგ ცეკვა გაჩაღდა.

ჯულიეტამ ცეკვაშიც გამოიჩინა თავი. კაცთან თუ ქალთან განურჩევლად ყველასთან იცეკვა.

უკრავდა ზურაბი ტაშს, თან თვალს ადევნებდა მსუბუქად მოსრიალე ჯულიეტას და მაგიდის ქვეშ ფეხებს აყოლებდა. ეგონა, ან ახლა, ან ახლა დაუკრავდნენ თავს, მაგრამ მისკენ მიხედვითაც არავინ იხედებოდა. ვინ არ იცეკვა. ხორცკომბინატის დირექტორმაც კი, რომელიც სიმსუქნით ძლივს სუნთქავდა, ხელები გაშალა, სუფრის გასწვრივ გაიარ-გამოიარა და მეუღლე ჩაითამაშა. აბა, ახლა უნდა გენახათ ტაში!

— შენი ჭირიმე, კოხტა ბიჭო, შენი ჭირიმე! — გაიძახოდა თამადა, ტაშის კვრით და ხელებს ისე შლიდა, რომ გვერდში მსხდომი სტუმრები განზე გადგნენ, ცხვირში არ გაგვარტყასო. ცეკვით რომ გული იჯერეს, თამადამ წარმოთქვა:

— მეგობრებო, შემოსწრებულ სტუმარსაც გაუმარჯოს.

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს! — გაიმეორეს გულცივად სუფრის წევრებმა და მათაც, ასევე, როგორც თამადამ, ღვინო ჭიქებიდან ოდნავ მოსვეს. თავში კეტი რომ დაგერტყათ ზურაბისათვის, ალბათ, ისე არ ეტკინებოდა, როგორც ცივად წარმოთქმულმა სადღეგრძელომ ატკინა გული.

„რით ვარ ამათზე ნაკლები, რით?“ — ეკითხებოდა იგი თავის თავს და სიმწარით ქვედა ტუჩს იკვნეტდა.

— ახლა კი სიმონ მატვეევიჩს გაუმარჯოს, ნამდვილ ვაჟკაცს, სახელოვან მუშაკსა და შესანიშნავ თამადას! ვაშაა! — დაიძახა პურკომბინატის დირექტორმა

— ვაშაა! — შესძახეს სტუმრებმა და ისე ღონივრად დასცხეს ტაში, რომ მძინარე ტრიფონმა შეშინებულივით დააჭყიტა თვალები.

— ძვირფასო მეგობრებო, ერთი სადღეგრძელო დამრჩა დასალევი და ნება მომეცით შევსვა! — თვალების სრესით დაიძახა ტრიფონმა.

სუფრა ხმაურობდა.

ქალები ერთმანეთში საუბრობდნენ, ნახევრად გონებადაკარგული ლუდ-ლიმონათის ქარხნის დირექტორი თამადას ადღეგრძელებდა, სასიმღეროდ გამზადებული ჯულიეტა ცალი თითით როიალზე რაღაცას უკრავდა.

— სმენა იყოს და გაგონება, — განაგრძობდა ტრიფონი და ჩანგალს თეფშზე ღონივრად არტყამდა. — მე მინდა, მეგობრებო, ამ ყანწით დავლიო ჩემი საუკეთესო მეგობრის ზურაბის სადღეგრძელო. რომ იტყვიან, ოქრო კაციაო, სწორედ ასეთია ზურაბი. ხვალ-ზეგ იგი დიდ საქმეს შეუდგება. იმედია, არ დაგვივიწყებს და გაგვიწევს დახმარება-მზრუნველობას. აბა, მაშ რა გგონიათ, მე აქ უბრალო კაცს კი არ მოვიყვანდი. დიახ, ზურაბი დიდად პატივსაცემი და დასაფასებელი კაცია. მაშ გაუმარჯოს ზურაბს, გაუმარჯოს მის ხვალინდელ ნათელ დღეს. ვაშაა!

— ვაშაა! — დაიძახა ლუდ-ლიმონათის ქარხნის დირექტორმა, მაგრამ რომ დაინახა მის მეტი არავინ ყვიროდა, უმალ გაჩუმდა.

— ოღონდ ყანწით უნდა შეისვას ეს სადღეგრძელო, იმიტომ, რომ მე საძეხვე საამქროს გამგე ტრიფონ ბარბაქაძე ამას მოვითხოვ.

ტრიფონმა ლუდ-ლიმონათის ქარხნის დირექტორს სავსე ყანწი გადააწოდა, მისკენ გადაიხარა და წასჩურჩულა:

— ლევან, აბა შენ იცი, როგორ სადღეგრძელოს დალევ, ეს ის არის, წელან რომ გელაპარაკე.

— განა არა, სულ ეჭვებში ვიყავი, ის ხომ არ არის-მეთქი, — ჩურჩულითვე მიუგო ლევანმა, წელში გასწორდა სტუმრებს სათითაოდ შეხედა და ზედიზედ ჩაახველა, ალბათ, უნდოდა ერთდროულად ხმაც ჩაეწმინდა და სტუმრების ყურადღებაც მიეპყრო.

ოთახში უცბად ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, ბუზი რომ გაფრენილიყო, იმასაც გაიგონებდით, მაგრამ ლევანი ვერაფერს ვერ ამბობდა. იმიტომ კი არა, რომ არ იცოდა, რა ეთქვა, იცოდა, როგორ არ იცოდა, მაგრამ ისეთი სიტყვები უნდოდა მოენახა, რომ ზურაბის გულიც მოეგო და სტუმრებიც განეცვიფრებინა.

— გაუმარჯოს ზურაბს ამ... — ძლივს წარმოთქვა მან, კიდევ ერთხელ შეხედა სათითაოდ სტუმრებს, ჩახველებითაც ჩაახველა, მაგრამ უცბად სათქმელი დაავიწყდა. სხვა რომ ვერაფერი მოისაზრა, ტრიფონის სიტყვებით დაიწყო:

— მე მინდა, მეგობრებო, ამ ყანწით დავლიო ჩემი საუკეთესო მეგობრის ზურაბის სადღეგრძელო, რომ იტყვიან ოქრო კაციაო, სწორედ ასეთია ზურაბი. ხვალ-ზეგ იგი დიდი კაცი იქნება, მაშ! გაუმარჯოს ზურაბს, ვაშააა!

ტრიფონი და რესტორან „ლიახვის“ დირექტორი ფეხზე წამოდგნენ და ხმამაღლა დაიყვირეს:

— ვაშააა!

— ეს ის ხომ არ არის? — წასჩურჩულა ტრიფონს პურკომბინატის დირექტორმა.

ტრიფონმა, რომელსაც სიმთვრალეში სმენა ეკარგებოდა, ვერც კი გაიგო, რას ეკითხებოდნენ და უარყოფის ნიშნად თავი გაუქნია.

ეს კი პურკომბინატის დირექტორმა, ისე გაიგო, ვითომც ამ ამბავს მას არ უმხელდნენ, ამან ძლიერ აალელვა იგი და გულმოსული ფეხზე წამოხტა.

თავის მხრივ შამპანიური კომბინატის დირექტორმა ლუდ-ლიმონათის ქარხნის დირექტორს უჩურჩულა:

— ეს რა, ლევან, ის ხომ არ არის, ქალაქის საბჭოს თავმჯდომარედ რომ ირჩევენ?

— ის არის, ის, — მიუგო ლუდ-ლიმონათის ქარხნის დირექტორმა. „ის არის, ის“ — ამ სიტყვებმა თვალის დახამხამებაში შემოურბინა სუფრას.

— ყანწი შემივსეთ, ყანწი! — ყვიროდა პურკომბინატის დირექტორი, რომელიც აქამდე ღვინის ჭიქითაც არ სვამდა. გულში კი ფიქრობდა: „ვითომ მიმალავთ კიდეც, არა, არც ისეთი პატარა ვარ, რომ მომატყუოთ. ღვინის სმაც ვიცი და ხალხის პატივისცემაც“.

— შენ ეი, დედაკაცო, სად ხარ, სად დაიკარგე, ან შენი მოსამსახურე სადღაა. — ყვიროდა ხორცკომბინატის დირექტორი და სუფრის გასწვრივ დარბოდა. — გესმის თუ არა, ქალო, ნურაფერს დაინანებთ, ნურც გოჭებს, ნურც ინდაურებს, ნურც ქათმებს, ყველაფერი გამოიტათ, გამოიტათ! ტკბილეულიც მოგვაშველეთ, ყურძენიც, ვაშლიც, ჩურჩხელებიც...

სუფრა საჭმელებით შეავსეს. ზურაბს ერთ მხარეს ხორცკომბინატის დირექტორი მიუჯდა, ხოლო მეორე მხარეს ჯულიეტა მოუსვეს.

თამადამ ტრიფონს რაღაც უჩურჩულა. ამ უკანასკნელმა თავი გააქნია, ვერაფერი გავიგეო. თამადამ კიდევ უჩურჩულა. ტრიფონმა უარყოფის ნიშნად კვლავ თავი გააქნია, მესამედ რომ უჩურჩულა, ტრიფონმა სიცილით მიუგო:

— ასე გეთქვა, შე კაცო, ამდენ ხანს რას მაწვალებდი! — ტრიფონმა თითი შუბლზე მიიდო, თითქოს რაღაცას იგონებსო, ბოლოს ხელი ჩაიქნია, წამოდგა და ზურაბს შეეკითხა:

— ზურაბ, ჩემო ძვირფასო, მამათქვენს გიორგი ერქვა, არა?

— არა, მამაჩემს პეტრე ერქვა.

ტრიფონი დაჯდა, თამადისაკენ გადაიხარა და, ვითომ უჩურჩულა კიდეც, მაგრამ, ისე, ხმამაღლა გამოუვიდა, რომ ყველამ გაიგონა.

— სიმონ მატვეევიჩ, ზურაბის მამას პეტრე რქმევია.

— არ ვაძლევ არავის სადღეგრძელოს უფლებას! — წამოხტა თამადა, რომელსაც ორი სავსე ყანწი ეჭირა. — მეგობრებო, პირველი ყანწით გაუმარჯოს ზურაბ პეტროვიჩს, ამ შესანიშნავ ადამიანს, შესანიშნავ ქართველს, ნამდვილ ვაჟკაცს. მეორე ყანწით კი მინდა შევსვა მისი მომავლის, მისი ხვალინდელი ნათელი დღის სადღეგრძელო. ვაშაა!

— ვაშააა! — აგუგუნდა სუფრა.

როცა სტუმრებმა ზურაბის სადღეგრძელო შესვეს, ჯულიეტა როიალს მიუჯდა.

— გვიმღერე რამე, ჯულიეტა, გვიმღერე რამე, — მიმართეს სტუმრებმა.

ჯულიეტამ კლავიშებზე თითები აათამაშა და დაამღერა: „მხოლოდ შენ ერთს“.

მთელი გრძნობით, მთელი გატაცებით მღეროდა ჯულიეტა და ერთთავად ზურაბს შესცქეროდა, თითქოს მარტო მას უმღერისო.

ზურაბის გარდა არავინ უსმენდა ჯულიეტას. სტუმრები ხმადაბლა ერთმანეთში საუბრობდნენ.

— ჭირივით მეჯავრება ღვინის მსმელი კაცი, — უთხრა პურკომბინატის დირექტორმა სამრეწველო მაღაზიის გამგეს, როცა ნახევარმეტრიანი ყანწი ძირამდე გამოსცალა. — რა უნდა ელაპარაკო ტრიფონისთანა ადამიანს, ღვინოს ხარივითა სვამს. თუ ერთი შევიდა რესტორანში, შესვლით კი ცისმარე



დღე შედის, თვითონ არამც და არამც არ გამოვა, სანამ არ ასწევენ და არ გამოიტანენ. მეო, გაიძახის, რაც საძეხვე საამქროს გამგედ დამაყენეს, ძეხვის ხარისხი გაუმჯობესდაო. ვის რას ვკითხავ, მინდა ღვინოს დავლევ, მინდა ლიმონათსაო. კი არ გეგონოთ, რომ ეს ძეხვი, — ძეხვით სავსე თეფში ხიმონს გადაუდგა, — მის საამქროში იყოს დამზადებული. არა, არ გაიფიქროთ. გუშინ კაცი გაგზავნა თბილისში და იქიდან ჩამოიტანა. ყველას რომ მოატყუოს, მე ვერ ამიხვევს თვალებს, კარგად ვიცი მისი ასავალ-დასავალი.

— წუხელ საშინელი სიზმარი ვნახე — უყვებოდა ხორცკომბინატის დირექტორი შამპანკომბინატის დირექტორს, — კაბინეტში ვიჯექი და რომელიღაც მოდების ჟურნალს ვფურცლავდი. უცბად რაღაც უცნაური ხმები შემომესმა. კაბინეტში მთავარი ბუღალტერი შემოიჭრა, მეუბნება, თავს უშველე ბატონო ნიკოლოზ, ალყა შემოგვარტყეს, ალყაო. განცვიფრებული შევცქეროდი ბუღალტერს და ვფიქრობდი, საცოდავი ნამდვილად ჭკუაზე, შეშლილა-მეთქი. ამასობაში ვხედავ, საწყობის გამგეც შემოვარდა. მკვდრის ფერი ადევს სახეზე და გაიძახის, ძმებო, თავს უშველეთ, თავს უშველეთო.

— რა იყო, რა მოხდა, გამაგებინეთ? — შევეკითხე განცვიფრებით.

— რაღა რა მოხდა, ალყა გვაქვს შემორტყმული, ალყა! — ორივემ ერთად მიპასუხა.

— ვინ შემოგვარტყა ალყა, ვინ?

— გაიხედე და დაინახავ, ვინც.

აკანკალებული ხელით გავაღე კარი და აი რა დავინახე: კომბინატს ირგვლივ წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის ჯოგები მოსდგომოდნენ და ისე შემზარავად ბღაოდნენ, მეორედ მოსვლა მეგონა.

მეც კი შემეშინდა, მაგრამ სხვა უჩემო ჭკუაზე შეიშლებოდა. ჯოგებს ორ-ორი სული პირუტყვი გამოეყო და წაბლა ბუღას მეთაურობით ჩვენკენ გამოემართნენ.

გაქცევა დავაპირე, მაგრამ უმალ მივხვდი, რომ ალყას ადვილად ვერ გავარღვევდი.



პირუტყვთა დელეგაცია ჩვენ წინ შეჩერდა.

წაბლა ბუღა, რომელიც ამ ორი კვირის წინ დავკალით და ნახევარი ტონა ხორცი გამოვიდა, ამხანაგებს გამოეყო და ჩემს წინ შეჩერდა. ერთი საშინლად დაიბღავლა და ადამიანის ენით მითხრა:

— დირექტორო, ხომ მიცანი?

— გიცანი, — მივუგე აკანკალებული ხმით.

— ჩემს ამხანაგებსაც ხომ იცნობ? — კისერი მოიღერა და დელეგაციის წევრებს სათითაოდ შეხედა.

— როგორ არა, ვცნობ, ისინი თითქმის ყველა ამ თვეში დავკალით.

თანხმობის ნიშნად დელეგაციის წევრებმა დაიბღავლეს და თავები დაიქნიეს.

— აგერ, აი იმ ჯოგებსაც ხომ ხედავ? — ბუღამ რქებით კომბინატის გარშემო თავმოყრილ საქონელზე მიმითითა. — ისინი სულ ამ კომბინატში არიან დაკლული. ჩვენ კი მათი წარმომადგენლები ვართ. გვინდა გაცნობოთ, რომ მოთმინების ფიალა აგვევსო და ახლა უნდა გაგასამართლოთ.

— რატომ, რა არის მიზეზი?

— როგორ თუ რა არის. სანამ სული გვედგა, დაბალ ხარისხში ჩაგვიბარეთ, ჩვენი ხორცი კი მაღალ ხარისხში გაჰყიდეთ, — მომიგო ბუღამ. დასტურის ნიშნად, ისე შემზარავად დაიბღავლეს ჯოგებმა, რომ საწოლში ერთ მეტრზე ავხტი და

მძინარემ, არც მე მოვრთე მათზე ნაკლები ბღავილი. — კომბინატის დირექტორმა თავი ისეთნაირად გადააქნ-გადმოაქნია, თითქოს იმის თქმა უნდოდა, ამაზე საშინელი სიზმარი არასოდეს მინახავსო. — კიდევ კარგი, რომ დროზე გავიგეთ, ვინც ყოფილა ზურაბ პეტროვიჩი, თორემ ნამდვილად ამიხდებოდა ეს დაწყევლილი სიზმარი.

— მაშ, მაშ! ამთავითვე უნდა როგორმე ზურაბ პეტროვიჩს ვასიამოვნოთ, მისი გული მოვიგოთ, თორემ მერე გვიანღა იქნება. ხომ იცი, რა დიდი მნიშვნელობა აქვს პირველ შთაბეჭდილებას. ნიკო, მასპინძელი ხარ და, სჯობია, ჯერ შენ გამოელაპარაკო, ამისთანა რამეებში დიდი გამოცდილება გაქვს და ენაც გიჭრის.

— დარდი ნუ გაქვს, ჩემო დიმიტრი, ყოფილი საბჭოს თავმჯდომარეც პირველ ხანებში მაგაზე ნაკლებ არ იჭიმებოდა, მაგრამ მალე ისე დაგვიმეგობრდა, ჩვენ თავს არავინ ერჩივნა. იმედია, ამასაც დავიმეგობრებთ.

ხორცკომბინატის დირექტორი მორიდებით შეტრიალდა ზურაბისაკენ, მხარზე ხელი დაადო და ნაძალადევი ღიმილით შეეკითხა:

— ზურაბ პეტროვიჩ, თავს ხომ კარგად გრძნობთ?

— გმადლობ, გმადლობ! — მიუგო ჯულიეტას სიმღერის სმენით გართულმა ზურაბმა.

— ოჰ, დიდად მოხარული ვარ თქვენი სტუმრობით, — თქვა ხორცკომბინატის დირექტორმა, კეფა მოიფხანა და მცირე ხნის შემდეგ დაუმატა: — ზურაბ პეტროვიჩ, გინდა დაიჯერეთ, გინდა არა, მე მაშინ ვგრძნობ თავს ყველაზე ბედნიერად, როცა უფროსებს პატივსა ვცემ და ვმეგობრობ მათთან. სხვებივით ცხოვრებას ქონებით კი არა, შეძენილი მეგობრებით ვითვლი, კარგი მეგობარი უახლოეს ნათესავს მირჩევნია, ზურაბ პეტროვიჩ, მოდი და ჩვენც ვიყოთ მეგობრები, თანახმა ხარ?

— საწინააღმდეგო არაფერი მაქვს — მიუგო ზურაბმა და ხორცკომბინატის დირექტორის გამოშვერილ ხელს თავისი ხელი შეაგება.

— რაკიღა მეგობრები ვართ, ვიყოთ გულახდილები. თქვენ, ალბათ, ამ დღეებში ქეიფს მოაწყობთ?

— ვაპირებდი, მაგრამ გადავიფიქრე.

— რატომ?

— სამსახურში მიწყობენ მეგობრები გაცილებას და, მგონი, ესეც კმარა.

— იქნებ, სხვა არის რაიმე მიზეზი?

— არა, სხვა რა უნდა იყოს. ეგ არის, რომ დრო არა მაქვს.

— ზურაბ პეტროვიჩ, გადაიხადეთ, ნურაფერს ნუ მოერიდებით. აბა რის მეგობრები ვართ. ხორცი კომბინატიდან წამოიღეთ, თქვენ მძღოლს უთხარით, კარგად იცის, როდის უნდა მოვიდეს კომბინატში, ან როგორ უნდა წაიღოს.

— შენ რა, სხვა ვინმედ ხომ არ მთვლი?! არც ავტომანქანა მაქვს და არც მძღოლი მყავს.

„ასეთი ახალგაზრდა და ასეთი ფრთხილი. რა იცის, რომ მე ყველაფერი ვიცი“, — გაიფიქრა ხორცკომბინატის დირექტორმა და მიუგო:

— ამას რას ბრძანებთ, კარგად ვიცი, ვინცა ხართ და ისიც ვიცი, როგორც უნდა მოგექცეთ.

შამპანკომბინატის დირექტორს, რომელიც ნიკოს გვერდით იჯდა, თავი ისე ეჭირა, ვითომ ჯულიეტას სიმღერით იყო გატაცებული, სინამდვილეში კი კურდღელივით ყურებდაცქვეტილი უსმენდა ნიკოსა და ზურაბის საუბარს. როცა ნიკოს სიტყვა არ მოეწონებოდა, მუჯლუგუნს სცემდა, ფეხს ფეხზე ადგამდა, თვალის ჩაკვრით რაღაცას ანიშნებდა.

ლაპარაკის აზარტში შესულ ხორცკომბინატის დირექტორს ეგონა, ყოველივე ამით შამპანკომბინატის დირექტორი იმას ანიშნებდა, გეყოფა ლაპარაკი, ცოტა ხანს ადგილი დამითმე, ზურაბ პეტროვიჩს მეც ვეტყვი ორიოდე სიტყვასო. ეს კი ხორცკომბინატის დირექტორს ნერვებს უღიზიანებდა. მეგობარს თვალის ჩაკვრით ანიშნებდა, ცოტა კიდევ დამაცაო, და საუბარს განაგრძობდა.

— საერთოდ რატომ სწუხდებით, — მიუგო მცირე ფიქრის შემდეგ ზურაბმა, — თუ ხორცი დამჭირდა, მაღაზიაშიც იოლად ვიყიდი.

— ამას არ გირჩევთ, არა, პატივცემულო ზურაბ, თქვენთან რა მაქვს დასამალი, კომბინატიდან რომ ხორცს მოგცემთ, ისეთს მთელი ქალაქის მაღაზიები რომ შემოიაროთ, ვერ იშოვით.

— ძალიან საინტერესოა. გამოდის, რომ მხოლოდ კომბინატიდან ყიდით მაღალი ხარისხის ხორცს?

— არა, უკაცრავად, კარგად ვერ გამოვთქვი, კომბინატიდან ხორცს კი არ ვყიდით, ეს ისე, არ ვიცი როგორა ვთქვა, დიახ, ეს ისე, კი არ იფიქროთ, რომ არ ვიცოდე, რა უნდა ვთქვა, აზრი აი აქა მაქვს, — შუბლზე ხელი მიირტყა, — დიახ, აქა მაქვს, მაგრამ შესაფერი სიტყვები ვერ გამომინახავს, — აი, ხომ გითხარით, უცბად გამახსენდა, ხორცს კი არ ვყიდით, ზოგიერთ ამხანაგს ვუგზავნით.

— ესეც საინტერესოა... ეს კი ველარ მოითმინა შამპანკომბინატის დირექტორმა და მეგობარს ყურში წასჩურჩულა:

— ძვირფასო ნიკო, ასეთ რამეებს აკეთებენ, ლაპარაკით კი არ ლაპარაკობენ.

„მართლაც, რა ჭკუის კოლოფი ვარ. ეს რა სათქმელია. ზურაბ პეტროვიჩისათვის, რასაკვირველია, უხერხულია ამაზე ლაპარაკი“, გაიფიქრა ხორცკომბინატის დირექტორმა, და ხმადაბლა წაილაპარაკა:

— გასაგებია, ყველაფერს ისე გავაკეთებ, როგორც საჭიროა.

შამპანკომბინატის დირექტორი მასპინძელს თვალის ჩაკვრით ანიშნებდა ცოტა ხანს განზე გადექიო. ხორცკომბინატის დირექტორი უაზროდ აქეთიქით იხედებოდა. ვითომ ვერ ხვდებოდა, რას სთხოვდნენ, მაგრამ დიმიტრი თვალებითა და ხელის წაკვრით, ისე დაჟინებით სთხოვდა ადგილის დათმობას, რომ დიდი ყოყმანის შემდეგ იძულებული გახდა სუფრის ბოლოში გადამჯდარიყო.

შამპანკომბინატის დირექტორი, როგორც კი მასპინძლის სკამზე დაჯდა, ზურაბისაკენ გადიხარა და მოწიწებით შეეკითხა.

— ზურაბ პეტროვიჩ, როგორ ბრძანდებით?

— გმადლობთ, არა მიშავსრა. შენ როგორღა გიკითხო?

— გმადლობთ, ზურაბ პეტროვიჩ, — სტუმრებს თვალი მოავლო, თითქოს ეშინია, ჩემი ნათქვამი სხვებმაც არ გამიგონო, — სხვანაირად კი არ ჩამომართვათ. რა ვქნა, ხასიათია ეს ჩემი. ჭირივით მეჯავრება უთავბოლოდ მოლაპარაკე ადამიანი. დიიიახ!

ზურაბმა თვალი გაუშტერა შამპანკომბინატის დირექტორს, რაც ამ უკანასკნელმა ასე გაიგო. შენი სიტყვები ჩემთვის გაუგებარიაო.

— აი იმ ვაჟბატონზე მოგახსენებთ, — თვალის ჩაკვრით მასპინძელზე ანიშნა, — კაცი დაბერდა, ჭკუა კი ისევ ბავშვისა აქვს. თუმცა რა ჩემი საქმეა, ყველა თავის თავს მოუვლის. დიიიახ! გავკადნიერდები და შეგეკითხებით, რომელი ღვინო უფრო გიყვართ, თეთრი, თუ წითელი?

— ოღონდ ღვინო იყოს კარგი, ფერს არავითარ მნიშვნელობას არ ვაძლევ, — სიცილით მიუგო ზურაბმა.

შამპანკომბინატის დირექტორს ეგონა, ზურაბს ის გაეხარდა, ღვინოზე სიტყვა რომ ჩამოვაგდეო. ღიმილით ულვაშებზე ხელი გადაისვა და ხმადაბლა, თითქოს თავისთვის წაილაპარაკა:

— გასაგებია, გასაგებია. მაშ, თეთრსაც შევარჩევ, წითელსაც. დიიიახ!

— რაშია საქმე, ვისთვის აპირებ ღვინის შერჩევას?

— ვისთვის? როგორ თუ ვისთვის! — კისერი მოიფხანა, — ჰო, მართლა, ისეთი ხომ არაფერი წამომცდენია. არა, ხომ. მაშ, მოგახსენებთ, განა არ იცით, რომ სარაიონო გამოფენაზე ჩვენმა კომბინატმაც უნდა გამოიტანოს ღვინო. დიიიახ! ხომ მოგწონთ, ზურაბ პეტროვიჩ ჩემი მოხერხებული ლაპარაკი?

— მე შენი ვერაფერი გამიგია!

— ახლავე მოგახსენებთ, ზურაბ პეტროვიჩ. დიიიახ! კვლავ გავკადნიერდები და შეგეკითხებით, კასრის ღვინო უფრო მოგწონთ, თუ ქვევრისა?

„ისე მეკითხება, გეგონება ელექტროინჟინერი კი არა, მეღვინე აგრონომი ვიყო“, — გაიცინა ზურაბმა და მოგვიანებით მიუგო:

— მე გარჩევა არა მაქვს, ისე კი ამბობენ, ქვევრისა სჯობიაო.

— გასაგებია, ზურაბ პეტროვიჩ, გასაგებია. გავკადნიერდები და კიდევ ერთსაც შეგეკითხებით: ვახშამზე რამდენი ლიტრი ღვინო დაგჭირდებათ. ფუ ეშმაკსა! ესე იგი, მინდოდა შეგკითხოდით, რამდენი ლიტრის დალევა შეგიძლიათ?

— თუ ღვინო მომეწონა, ორ ლიტრს თავისუფლად დავლევ.

— ღვინო, რასაკვირველია, მოგეწონებათ. დიიიახ! მაშ, ორასი ლიტრი უნდა ვივარაუდო. ფუ ეშმაკს! ისევ წამომცდა ეს ოხერი. რა ცუდია, როცა კაცი გაუფრთხილებლად ლაპარაკობს. ვაითუ არ გეყოთ ორი ლიტრი, მე პირადად, რაც არ უნდა პატარა ვახშამი მოვაწყო, სულ ცოტა, ორი-სამი ლიტრი ღვინო მეხარჯება. დიიიახ!

— რაშია საქმე, ძმობილო! მართალია, გადაკრულში ხარ, მაგრამ გონება ხომ არ დაგიკარგავს, რომ ასე არეული ლაპარაკობ? — შეეკითხა ზურაბი, რომელსაც შამპანკომბინატის დირექტორის სერიო-



ზულობაში ეჭვიც შეეპარა და გაკვირვებით შესცქეროდა.

— მაპატიეთ, ზურაბ პეტროვიჩ, რა თქმა უნდა, ეს ხალაპარაკო არ არის.

შამპანკომბინატის დირექტორი თავდახრილი გასცილდა ზურაბს და ხორცკომბინატის დირექტორს თვალის ჩაკვრით ანიშნა, ჩემთან მოდი, სათქმელი მაქვსო. ნიკოს ეგონა, ალბათ, ზურაბ პეტროვიჩმა ჩემს შესახებ უთხრა რამეო, უმალ წამოდგა და წიგნების კარადასთან გაჩერებულ დიმიტრისთან მივიდა.

— როგორ არის საქმე? — შეეკითხა იგი მისვლისთანავე.

— რაღაც თავისებური კაცია, გალაპარაკებს, ყურსაც გიგდებს, მაგრამ თვალები ისეთნაირად უციმციმებს, თითქოს დაგცინისო. სხვა მხრივ რა უჭირს, ეტყობა კეთილი კაცია, — მიუგო დიმიტრიმ.

— რაზე შეატყვე, რომ კეთილია, შუბლზე ხომ არ აწერია?

— იმაზე შევატყვე, ძმაო, რომ ქალები უყვარს. რაც ეს ამბავი გავიგე, ერთთავად მას ვუცქერი. და, წარმოგიდგენია, ჯულიეტასთვის თვალი არ მოუცილებია.

— კი, მაგრამ მარტო ამაზე იმედის დამყარება არ შეიძლება.

ჯულიეტა ზურაბს მისჩერებოდა და რაღაცას ანიშნებდა.

„ალბათ, სათქმელი აქვს რამე და ჩემთან მოსვლას ვერ ბედავს“, — გაიფიქრა ზურაბმა და გადასწყვიტა თვითონ მისულიყო ჯულიეტასთან. წამოდგომაც დააპირა, მაგრამ სწორედ ამ დროს თამადა მიუჯდა გვერდით.

— ზურაბ პეტროვიჩ, ნება მომეცით თავი გაგაცნოთ, მე გახლავართ სამრეწველო მაღაზიის გამგე სიმონ მშვიდობაძე, — მიმართა მან, მორიდებით თავი დახარა და ხელი გაუწოდა.

— ფრიად მოხარული ვარ, — მიუგო ზურაბმა და ხელი ცივად ჩამოართვა. დანახვისთანავე, რატომღაც არ მოეწონა ეს ლამაზი შეხედულების ხანში შესული კაცი, რომლის ღრმად ჩაცვენილი თვალები, ისე სწრაფად ხტოდნენ აქეთ-იქით, როგორც სათაგურში მომწყვდეული თაგვები.

— მეც ფრიად მოხარული ვარ, რომ გავიგე თქვენი ასე ვთქვათ, დაწინაურება.

— რაო, რაო, რა გაიგე?

— არა, არაფერი არ გამიგია, — ენა დაება და უმალ დაუმატა, — ჰო, ის გავიგე, რომ ხვალ მაცივრებს ვღებულობთ... დიიიახ, ფრიად მოხარული ვარ. მართლა, ოჯახში მაცივარს ხომ არ საჭიროებთ? უფრო გასაგებად რომ ვთქვა, — მიიხედმოიხედა, ზურაბისაკენ გადიხარა და წასჩურჩულა, — მაცივარი ხომ არ გინდათ?

— არა, ჯერჯერობით შეძენას არ ვაპირებ.

— თუ ფული გაკლიათ, ეს საფიქრებელი არ არის. ყოველთვის როდია ფული საჭირო, შინაურები ვართ, მერეც გავსწორდებით.

— რატომ მალაპარაკებ ტყუილუბრალოდ, აკი გითხარი, მაცივრის ყიდვას არ ვაპირებ-მეთქი, — მიუგო ზურაბმა, გულში კი გაიფიქრა: „რანაირი ხალხი არ არის ქვეყანაზე“, — წამოდგა და ჯულიეტასაკენ გაემართა.

— ჩემთვის ყველაფერი ნათელია, — თვალთან ერთად სიტყვაც გააყოლა სამრეწველო მაღაზიის გამგემ, გულში კი გაიფიქრა: „გეცოტავება არა? ჯერ უნდა დაიმსახურო, ძმობილო, და მერე იქნებ როიალზეც არ გალაპარაკო“.

ზურაბი ჯულიეტას წინ შეჩერდა. იგი სავარძელში იჯდა, ხელში ალბომი ეჭირა და ფოტოსურათებს ათვალიერებდა. თუ აქამდე ჯულიეტა წარამარა ზურაბისაკენ იხედებოდა, ახლა ყურადღებას არ აქცევდა, თითქოს გაბუტულია და თვალს არიდებსო.

უხერხულობაში ჩავარდნილი ზურაბი ვერც ჯულიეტას გვერდით დაჯდომას ბედავდა, ვერც რამის თქმას ახერხებდა, უძრავად იდგა და ისე მისჩერებოდა, თითქოს ისეთი რამ ეპოვოს, რასაც დიდი ხანია ეძებდა, მაგრამ გული ეთანაღრება, იქნებ ის არ არისო.

— ჯულიეტა, აღტაცებული ვარ შენი სიმღერით! — როგორც იყო მოახერხა ზურაბმა ამის თქმა.

— გმადლობთ, გმადლობთ! — მიუგო ჯულიეტამ ნაღვლიანად, გვერდზე გაიწია, მისი გაბრწყინებული თვალები კი ამბობდნენ: „განა, ჩემი სილამაზით კი არ ხარ აღტაცებული?“

ზურაბი სავარძლის განაპირას ჩამოჯდა.

ჯულიეტა ნელ-ნელა ფურცლავდა ალბომს. ზურაბი თვალს ადევნებდა მის პატარა ლამაზ თითებს და ფიქრობდა: „ეს-ეს არის ჯულიეტა მღეროდა და მხიარულობდა, ნეტავ რა მოხდა ისეთი, რომ ასე მოიწყინა და ყველასაგან განცალკევდა“.

— ჯულიეტა, აღტაცებული ვარ შენი სიმღერით! — ისევ ეს გაიმეორა ზურაბმა, რადგან სხვა ვერაფერი მოიფიქრა.

— ნეტავ რა მემღერება! — მიუგო ჯულიეტამ და წამწამები დაბლა დახარა.

— როგორ თუ რა გემღერება, შენ ახლა ისეთ ასაკში ხარ, მხოლოდ უნდა მღეროდე და ხარობდე.

— ეჰ, რას ვიზამ, ასეთი ყოფილა ჩემი ხვედრი, — ჯულიეტამ მძიმედ ამოიოხრა, საბრალო შეხედულება მიიღო და წამწამები ისე აახამხამა, თითქოს ცრემლებით აქვს მიწებებულიო. — გასულ წელს სამედიცინო ინსტიტუტში ვაბარებდი. მამაჩემის ნათესავმა, რომელიც ინსტიტუტში ლექციებს კითხულობს, დიდი იმედი მოგვცა, ჯულიეტას ინსტიტუტში უსათუოდ მოვაწყობო. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, თავს სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტად ვთვლიდი. დილიდან-საღამომდე ნათესავ-მეგობრებში დავდიოდი და ვტრაბახობდი საშუალო სკოლა სამებზე იმიტომ დავამთავრე, მასწავლებლები მყავდნენ გადაკიდებული, ნახავთ ინსტიტუტში მისაღები გამოცდები თუ სულ ხუთებზე არ ჩავაბარო-მეთქი. არ მოგიყვებით, თუ როგორ გავედი პირველ გამოცდაზე, სიმართლე რომ გითხრათ, აღარც მახსოვს, რა კითხვები შემხვდა, ან რა პასუხი გავეცი. მახსოვს მხოლოდ კომისიის თავმჯდომარის სიტყვები, საგანი ძალიან სუსტად იციო. გავიფიქრე, ალბათ, ასე სხვების გასაგონად მეუბნება-მეთქი. სწრაფად გამოვედი აუდიტორიიდან, გავშალე საგამოცდო ფურცელი და ორიანი რომ დავინახე, თვალთ დამიბნელდა. ასე ჩამივარდა კოვზი ნაცარში. წელს ჩვენი ქალაქის პედაგოგიურ ინსტიტუტში გადავწყვიტე მოვეწყო. ვფიქრობ, არ გამიძნელდება ჩაბარება. სამედიცინო ინსტიტუტში რომ ვაბარებდი, ამასაც ხომ აქვს ცოტაოდენი მნიშვნელობა, თანაც აქაური ვარ და როგორ არ უნდა გამიწიონ ანგარიში.

— მარტო ამაზე იმედის დამყარება არ კმარა, მთავარი მაინც...

— დიახ, დიახ, მეც სწორედ ეს უნდა მოგახსენოთ, — ჯულიეტამ სიტყვის დამთავრება არ დააცალა ზურაბს, — რასაკვირველია, მთავარი მაინც დახმარებაა. ძალიან გთხოვთ, ძვირფასო ზურაბ, დამეხმაროთ. მართალია, მე პედაგოგობა არ მომწონს და სკოლაშიც არასოდეს ვიმუშავებ მასწავლებლად, მაგრამ მინდა უმაღლესი დავამთავრო და დიპლომი ავიღო.

— სიამოვნებით... მხოლოდ ჩემთვის გაუგებარია, რა დახმარება შემიძლია გაგიწიო?

— ახლავე მოგახსენებთ, ინსტიტუტის დირექტორს დაურეკეთ, ვითომ მე თქვენი ნათესავი ვარ და ესეც საკმარისია.

— სამწუხაროდ ინსტიტუტის დირექტორს არ ვიცნობ. კიდევაც რომ ვიცნობდე, ცარიელი დარეკვით რა გამოვა!

— გამოვა, გამოვა. მართალია თქვენ არ იცნობთ, მაგრამ ის მოვალეა გიცნობდეთ და, ალბათ, გაეხარდება კიდეც, რომ დაურეკავთ.

— გასულ წელს, ჩემი და აბარებდა ამავე ინსტიტუტში გამოცდებს, ქულები არ ეყო და...

— გასულ წელს სხვა იყო, წელს კი სხვაა.

— ვითომ წელს რა არის?

— ძვირფასო ზურაბ, ეს თქვენ ჩემზე უკეთ იცით. ოღონდ დამეხმარეთ, დედას ვფიცავ, არასოდეს დაგივიწყებთ, აღელვებულ მტკვარში რომ მითხრათ გადავარდიო, ამასაც შეგისრულებთ.

— რა ვქნა, რის გაკეთებაც არ შემიძლია, ვერ შეგპირდები.

— მეგობრებო! — სწორედ ამ დროს, დაიძახა თამადამ, — ვთხოვოთ ზურაბ პეტროვიჩს შესვას სამადლობელი.

— გთხოვთ, ზურაბ პეტროვიჩ, გთხოვთ! — დაიძახეს ერთდროულად სტუმრებმა.

მასპინძელმა ჩაის ჭიქა გაავსო და მოწიწებით მიართვა მაგიდასთან მისულ ზურაბს.

ფეხზე ამდგარი სუფრის წევრები სულგანაბული შესცქეროდნენ ზურაბს, რომელსაც ოდნავ აწეული ჭიქისთვის ისე გაეშტერებია თვალი, თითქოს რაღაცას იგონებსო.

— ძვირფასო მეგობრებო! — დაიწყო მან ხმადაბლა, ისე რომ ჭიქისთვის თვალი არ მოუცილებია. — ადამიანი იმით ფასდება, რაც გაუკეთებია და არა იმით, რის გაკეთებაც განუზრახავს. მე როდი დამიმსახურებია ის გადაჭარბებული ქებადიდება, რომლითაც შემამკეთ. მართალია ყამირ მიწებზე მივემგზავრები...

— როგორ თუ მიემგზავრები! — ისე საშინლად შეჰყვირა საძეხვე საამქროს გამგემ, რომ სუფრის წევრებს ტანში შიშის ჟრუანტელმა დაურბინა.

— დიახ მივემგზავრები, — მშვიდად მიუგო ზურაბმა.

— ამას რას ამბობ, ხომ არ გვეხუმრები? იკითხა შემკრთალი ხმით მასპინძელმა.

— განა ასეთ რამეებზე ხუმრობენ?! — ზურაბის სახეზე დამცინავმა ღიმილმა გაითამაშა. — მადლობა მომიხსენებია სადღეგრძელოსათვის. გაგიმარჯოთ!

სუფრის წევრები, განცვიფრებული თვალებით, ხან ერთმანეთს უცქეროდნენ, ხან ზურაბს, რომელიც ნელ-ნელა სვამდა ღვინოს.

— მეგობრებო კიდევ ერთხელ გმადლობთ, მშვიდობით ბრძანდებოდეთ! — ზურაბმა სუფრის გასწვრივ ხელი გაიქნია და სწრაფად გავიდა ოთახიდან.

ფეხზე ამდგარი სუფრის წევრები პირდაღებული შესცქეროდნენ მოხურულ კარებს, თითქოს ზურაბის უკან მობრუნებას ელიანო.

— შეიძლება კაცმა სიბერემდე იცოცხლოს და ჭკუა მაინც ვერ ისწავლოს, — თქვა ხმადაბლა ხორცკომბინატის დირექტორმა, როცა კიბეზე ჩამავალი ზურაბის ფეხის ხმა მიწყდა. მართალია იგი საძეხვე საამქროს გამგეს უცქეროდა, მაგრამ ძნელი გასაგები იყო, თუ ვის შეეხებოდა მისი სიტყვები, საკუთარ თავს, საძეხვე საამქროს გამგეს, თუ ყველა იქ მყოფთ.



# ვ. ი. ლენინი და სოციალისტური კულტურა

გენიალური რევოლუციონერი და მოაზროვნე, კომუნისტური პარტიის და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელი ვ. ი. ლენინი იყო ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური კულტურის მშენებლობის თეორეტიკოსი და ორგანიზატორი. ლენინმა ღრმად დაასაბუთა სოციალისტური კულტურის წარმოშობისა და განვითარების კანონზომიერება, გვიჩვენა კულტურული რევოლუციისათვის ბრძოლის გზები და განსაზღვრა მისი ამოცანები. ლენინმა დაიცვა და განავითარა სოციალისტური კულტურის იდეური საფუძვლები, მოგვცა მეთოდოლოგიური და პრაქტიკული მითითებები ჩვენს ქვეყანაში კულტურული მშენებლობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

ჩვენი ქვეყნის ხალხებმა კულტურის ყველა მონაპოვარით სარგებლობის უფლება მოიპოვეს მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, როცა ეროვნული და სოციალური ჩაგვრისაგან გათავისუფლებული მასები დაეწაფნენ განათლების, მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის, კულტურის ყველა მიღწევას.

სოციალისტური კულტურის ერთ-ერთ თავისებურებად ლენინი თვლიდა იმას, რომ იგი ყოველმხრივ შეიძლება განვითარდეს მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში. ლენინი ხაზს უსვამდა სახელმწიფო და კულტურული მშენებლობის ურთიერთდამოკიდებულებას და აღნიშნავდა, რომ პროლეტარიატის დიქტატურა წარმოადგენს სოციალისტური კულტურის ჩამოყალიბებისა და ყოველმხრივ განვითარების ძირითად, აუცილებელ პირობას. სოციალისტური კულტურის განვითარებისათვის გადამწყვეტია ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისათვის, სოციალიზმის აშენებისათვის.

ლენინი მიუთითებდა მასების დიდ როლზე ახალი, სოციალისტური კულტურის მშენებლობაში. მასების შემოქმედებითი ენერგიისადმი ლენინის რწმენა, მშრომელებისადმი ღრმა სიყვარული გამოწვეული იყო იმის შეგნებით, რომ ხალხის მასები წარმოადგენენ ისტორიის შემოქმედს, ისტორიული პროგრესის ძირითად ძალას. ლენინი ყოველთვის ასაბუთებდა, რომ სოციალისტური კულტურის მშენებლობა არ შემოიფარგლება გონებრივი მუშაკების მოღვაწეობით, იგი პირდაპირ დამოკიდებულებაშია მშრომელთა ფართო მასების პოლიტიკურ აქტივობასთან, სოციალისტურ შეგნებულობასთან. ლენინი კომუნისტური აღზრდის გადამწყვეტ ფაქტორად თვლიდა საბჭოთა დემოკრატიას, მასების აქტიურ მონაწილეობას კომუნიზმის მშენებლობაში.

ჩვენში კულტურული რევოლუციის განხორციელების დიდი ფაქტორი იყო ის, რომ მასში აქტიურად მონაწილეობდნენ მშრომელი მასები. ახალი, სახალხო ინტელიგენცია მასობრივად დაიძრა მეცნიერებასა და ტექნიკაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში; მასები დაეუფლნენ ცოდნისა და კულტურის საფუძვლებს. საბჭოთა კულტურის ხალხურობა, მასში მშრომელთა ფართო მასების მონაწილეობა ვლინდება, აგრეთვე, იმითაც, რომ სოციალისტურმა რევოლუციამ წინა თაობების კულტურის ყველა მიღწევა გახადა საერთო-სახალხო მონაპოვრად და ადამიანთა გონების მთელი მიღწევები ჩააყენა ხალხის სამსახურში. ამიტომ იყო, რომ ლენინი უდიდეს ყურადღებას აქცევდა წარსულის კულტურული მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულების საკითხს. ჩვენი ამოცანაა, გვასწავლიდა ლენინი, წარსული კულტურის საუკეთესო ნიმუშების, ტრადიციების განვითარება, კლასიკური კულტურული მემკვიდრეობის ათვისება, გადამუშავება და გამდიდრება.

კაცობრიობის კულტურის უძვირფასესი მონაპოვარის კრიტიკული გამოყენების ლენინურ პოლიტიკას თანმიმდევრულად ახორციელებს კომუნისტური პარტია, რომელიც შეურიგებელ ბრძოლას ეწევა ბურჟუაზიული იდეოლოგიის, ფორმალიზმისა და ესთეტიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ. პარტია თავის მოღვაწეობაში გამოდის იმ ლენინური დებულებიდან, რომ ბურჟუაზიული საზოგადოების პირობებში არ არსებობს ერთიანი ეროვნული კულტურა, რომ ყოველ ბურჟუაზიულ ეროვნულ კულტურაში არის დემოკრატიული კულტურა და რეაქციული კულტურა, რომელთა შორისაც წარმოებს ბრძოლა.

პარტია ხელმძღვანელობს აგრეთვე იმ ლენინური დებულებით, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში არსებულმა კონკურენციამ და მაქსიმალური მოგების მიღებისათვის ბრძოლამ არ შეიძლება არ გამოიწვიოს ტექნიკური მეცნიერების, ბუნებისმეტყველების განვითარება. ამიტომ პარტია მიგვითითებს შევისწავლოთ არა მარტო ჩვენი ქვეყნის წარსული და თანამედროვე კულტურა, არამედ აგრეთვე გამოვიყენოთ და დავეუფლოთ მსოფლიო მეცნიერებისა და ტექნიკის მთელ მონაპოვარს.

ვ. ი. ლენინი აყალიბებდა რა სოციალისტური კულტურის იდეურ საფუძვლებსა და თავისებურებებს, მის განმასხვავებელ თავისებურებად და ძირითად უპირატესობად თვლიდა იმას, რომ მას განუყრელი კავშირი აქვს პრაქტიკასთან, ცხოვრებასთან და ამ კავშირის მეშვეობით მდიდრდება და წინ მიდის იგი. არსად ხალხის მასები ისე არ არიან დაინტერესებული კულტურით, როგორც ჩვენში, არსად კულტურის საკითხები არ ისმება ისე ღრმად და თანმიმდევრობით, როგორც ჩვენში, — გვასწავლიდა ვ. ი. ლენინი. არსად ერები ისე არ არიან დაინტერესებული სოციალისტური კულტურის განვითარებით, როგორც ჩვენში, სადაც სოციალისტურ ერებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი კულტურული მშენებლობის ფართოდ გაშლისათვის.

პარტია ხელმძღვანელობს ლენინიზმის იმ ძირითადი დებულებით, რომ ყოველ ერს შესწევს უნარი საერთო-საკაცობრიო კულტურაში შეიტანოს თავისი განსაკუთრებული განძი. საბჭოთა ხალხი თავის კულტურას ავითარებს აგრეთვე სხვა ხალხებთან ურთიერთობაში, შექმნილ კულტურულ ღირებულებათა ურთიერთგამდიდრების გზით.

ამ ურთიერთობის საუკეთესო ილუსტრაციაა უცხოეთის მხატვრული და მეცნიერული-ტექნიკური ლიტერატურის თარგმნა და გამოცემა საბჭოთა ხალხების ენებზე. მაგალითად 1918-1955 წლებში სულ გამოცემულ იქნა 1.726 უცხო ავტორის 365 მილიონი წიგნი. ასევე დიდი რაოდენობით იცემა საბჭოთა ავტორების წიგნები სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, აგრეთვე კაპიტალისტურ ქვეყნებში.

საბჭოთა კულტურის პარტიულობა, ხალხურობა და ჰუმანურობა, პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი, წარსულის კულტურის პროგრესული მონაპოვრის კრიტიკული ათვისება, კულტურულ მშენებლობაში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლი — აი საკითხები, რომელთაც ლენინი სისტემატურად ამუშავებდა. ლენინის ნაშრომებში ჩვენ ვნახულობთ სახელმძღვანელო მითითებებს, რომლებიც ეხებიან კულტურის ყველა დარგს — სახალხო განათლებას, მასობრივ პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობას, მეცნიერებას, ხელოვნებას, ლიტერატურას, პრესას და სხვ. ლენინი ამ საკითხებს დიდ ყურადღებას უთმობდა როგორც თავის ნაშრომებში, ისე პრაქტიკულ მოღვაწეობაში სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე მუშაობის დროს.

ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის პროცესში მოხდა კულტურული რევოლუცია, ჩამოყალიბდა და გაიფურჩქნა ახალი, შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნული კულტურა. სოციალისტური კულტურა წარმოადგენს ახალ ნაბიჯს მსოფლიო კულტურის განვითარებაში. „არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანას, აღნიშნა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა პარტიის XX ყრილობაზე, ისეთი რაოდენობით არა აქვს სკოლები, ტექნიკუმები, უმაღლესი სასწავლებლები, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები, საცდელი სადგურები და ლაბორატორიები, თეატრები და კლუბები, ბიბლიოთეკები და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, როგორც საბჭოთა კავშირს".

ვ. ი. ლენინი სოციალისტური კულტურის განვითარებაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სახალხო განათლებას, წერა-კითხვის უცოდინარობის სრულ ლიკვიდაციას და ამის შედეგად მასების უდიდეს კულტურულ აღმავლობას. პარტიისა და მთავრობის ზრუნვის შედეგად ჩვენმა ქვეყანამ უდიდესი მიღწევები მოიპოვა ამ დარგში. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე განხორციელდა, განხორციელებულია საყოველთაო შვიდწლიანი სწავლება როგორც ქალაქად, ისე სოფლად, ხოლო დიდ ქალაქებში ძირითადად შემოღებულია ათწლიანი განათლება, სკოლებსა და ტექნიკუმებში თითქმის 35 მილიონი მოსწავლეა, უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს 1 მილიონ 865 ათასი სტუდენტი.

გაცილებით დიდი ამოცანებია დასახული მეექვსე ხუთწლიანი გეგმით. უახლოეს ხუთ წელიწადში ძირითადად უნდა განხორციელდეს საყოველთაო საშუალო განათლება. მნიშვნელოვანი ამოცანებია დასახული სკოლებში სასწავლო პროცესების ცხოვრებასთან, პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირის განხორციელებისათვის, სწრაფი ტემპით მოხდება სკოლაში პოლიტექნიკური სწავლების დანერგვა.

ჩვენს ქვეყანაში კულტურული რევოლუციის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია ახალი, სოციალისტური ინტელიგენციის წარმოშობა, რომელიც ხალხის ინტერესებს ემსახურება. მეექვსე ხუთწლედში უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე სპეციალისტების საერთო გამოშვება მეხუთე ხუთწლედთან შედარებით დაახლოებით ერთნახევარჯერ გაიზრდება, ხოლო მძიმე მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის დარგებისათვის — დაახლოებით ორჯერ. მეექვსე ხუთწლიანი გეგმის დირექტივები ითვალისწინებს არა მარტო სპეციალისტების რაოდენობრივ ზრდას, არამედ, აგრეთვე, მათი მომზადების ხარისხის გაუმჯობესებას.

მშრომელთა კულტურული დონისა და შეგნებულობის ამაღლებისათვის ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან საბჭოთა მასწავლებლები. ამიტომ ზრუნავდა ლენინი მასწავლებლებისათვის. პარტიისა და მთავრობის განუხრელი მზრუნველობის შედეგად ჩვენს ქვეყანაში მასწავლებელი გარემოსილია უდიდესი ყურადღებით, სახალხო მასწავლებლის როლი ისეთ სიმაღლეზეა დაყენებული, რომელზეც იგი არასდროს არ მდგარა, არ დგას და არც შეიძლება იდგეს კაპიტალისტურ სამყაროში.

ვ. ი. ლენინი ლიტერატურას თვლიდა კომუნიზმის მშენებელი ხალხის მძლავრ იარაღად. საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება, რომლებიც ვითარდება ლიტერატურის პარტიულობის პრინციპის ლენინურ დებულებებზე დაყრდნობით, დიდ დახმარებას უწევს საბჭოთა ადამიანებს მათს ბრძოლაში ახალი საზოგადოების მშენებლობისათვის. ლენინი გვასწავლიდა, რომ ლიტერატურა ხალხს ეკუთვნის, იგი უნდა დაუკავშირდეს ხალხს, შეიჭრას მასებში, ემსახუროს ადამიანთა კომუნისტურ აღზრდას.

მასების კომუნისტური აღზრდისა და კულტურული დონის ამაღლებისათვის ბრძოლის მნიშვნელოვანი რგოლია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები. ვ. ი. ლენინი კულტურულ მშენებლობაში დიდ ყურადღებას აქცევდა მოსახლეობის, განსაკუთრებით სოფლის მოსახლეობის კულტურულ აღმავლობას. თავის ცნობილ სტატიაში „კოოპერაციის შესახებ" იგი წერდა, რომ გლეხებს შორის კულტურული მუშაობა პირდაპირ კავშირშია სოციალიზმის აშენების ეკონომიურ ამოცანებთან, აღნიშნავდა, რომ სრული კოოპერირება შეუძლებელია, თუ კულტურული რევოლუცია არ მოხდა. პარტიამ, ხელმძღვანელობდა რა ლენინის ამ მითითებით, დიდი მუშაობა გასწია იმისათვის, რომ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა დაეკავშირებინა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის ყოველდღიურ ამოცანებთან და ამ დარგში მნიშვნელოვანი წარმატებაც მოიპოვა. დიდად განვითარდა კულტურის ისეთი დარგები, როგორიც არის კინო, თეატრი, რადიო, ტელეხედვა, წიგნის გამოცემა და სხვ. მარტო გასულ წელს საქართველოს თეატრებმა დადგეს 131 ახალი სპექტაკლი, მათ შორის 60 — თანამედროვე თემებზე, კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა" გამოუშვა კინოსურათები, რომლებიც გულთბილად მიიღეს მაყურებლებმა.

ვ. ი. ლენინი კულტურულ მშენებლობაში დიდ ადგილს უთმობდა გაზეთებს, ჟურნალებს, წიგნებს. პარტიის ყოველდღიური მზრუნველობის შედეგად ჩვენს ქვეყანაში პრესა წარმატებით ასრულებს იმ ამოცანებს, რაც დიდმა ლენინმა დაუსახა მას.

ვ. ი. ლენინი დაუცხრომლად ზრუნავდა მეცნიერების განვითარებისათვის, ამოცანად უსახავდა მას გადაეწყვიტა ცხოვრების პრაქტიკული საკითხები, მჭიდროდ დაკავშირებოდა წარმოებას. ჩვენში შექმნილია უაღრესად ხელსაყრელი პირობები მეცნიერების განვითარებისათვის, ყოველწლიურად იზრდება ასიგნობანი მეცნიერულ გამოკვლევებზე. წელს ამ მიზნით გამოყოფილია 13,6 მილიარდი მანეთი — 17,2 პროცენტით მეტი, ვიდრე გასულ წელს.

სოციალისტური მშენებლობის წარმატების, კულტურის, მეცნიერების უაღრესად განვითარების შედეგად გარდაიქმნა საბჭოთა ადამიანის სახე, გაიზარდა ახალი, სოციალისტური ადამიანი, რომელსაც ამოძრავებს კეთილშობილური მისწრაფება, სამშობლოსათვის თავდადება და საერთო სახალხო ინტერესი. სოციალისტური კულტურა გამსჭვალულია ნამდვილი ჰუმანიზმითა და მშრომელთა სოლიდარობის გრძნობით. საბჭოთა კულტურა ვითარდება კომუნისტური პარტიის წარმმართველი ხელმძღვანელობით, მისი იდეოლოგიისა და პოლიტიკის მძლავრი ზემოქმედებით.

პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შეიარაღებულ საბჭოთა ხალხს ლენინის მოძღვრება სოციალისტური კულტურის შესახებ მუდამ გაუნათებს გზას ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის შემდგომი წარმატებებისათვის.

დ. კაკაბაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ვლადიმერ ილიას ძე ლენინი




ეროვნული ბიბლიოთეკა

საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

ვ. ი. ლენინის გამოსვლა კომკავშირის III ყრილობაზე.

სურათი შესრულებულია მხატვართა ბრიგადის — ბ. ვ. იოგანსონის, ვ. ვ. სოკოლოვის, დ. კ. ტეგინის, ნ. ნ. ჩებაკოვისა და ნ. პ. ფაიდიშ-კრანდიევსკაიას შემადგენლობით.

ბრიგადას ხელმძღვანელობდა მხატვარი ბ. ვ. იოგანსონი.

ელექტრონული ბიბლიოთეკა



# ლეონარდო და ვინჩი

კონსტანტინე გამსახურდია

ცნობილია: ვინც თავის ეპოქას დიდ სამსახურს გაუწევს, მისი გენიის შორეული გამოსხივება სხვა ეპოქებსაც გადაწვდება უთუოდ.

რენესანსის ეპოქის ერთ-ერთ მოღვაწეს მიაწერენ ასეთ გახუმრებას: იეჰოვას მხოლოდ გენიოსი შეუქმნიაო მსგავსად თავისი სახისა. სწორედ ასეთ ადამიანებს აჯილდოებს ბუნება პროჟექტორისებრ სხივმოსილებით. ამიტომაც თავიანთი ეპოქის ელიპსს გადაღმაც გზას უნათებენ ისინი ყოველი დროის ადამიანებს.

ფრიდრიხ ენგელსი ლეონარდოს გულისხმობდა, ალბათ, როცა რენესანსის ტიტანებს ახსენებდა:

„ეს იყო უდიდესი პროგრესული გადატრიალება, რომელიც განიცადა კაცობრიობამ. ეპოქა, რომელსაც ტიტანები ესაჭიროებოდა, ეპოქა, რომელმაც შექმნა აზრის, ვნებიანობის, ხასიათის მრავალმხრივობის და განსწავლულობის ტიტანები“.

ისინი მოხუცებაში გადამდგარნიც ალქურვილნი იყვნენ იმ შეუმუსვრელი სიჯიქითა და ძალმოსილებით, რაც ეგზომი დიდოსტატობით გამოამჟღავნა გრანიტში სულჩადგმულ მოსეს სახით მიქელ-ანჯელომ, რომელიც უკვე მიხრწნილების ასაკშიაც ჭაბუკურის ვნებიანობით ებრძოდა მარმარილოს ლოდებს და იძახოდა:

„ოჰ, ღმერთო, რა ძლიერი ხარ ჩემში!“

საკმარისია დააკვირდეთ ლეონარდოს ავტოპორტრეტს.

მაღალშუბლიანი, უთმო, ძვალმსხვილი, ჯიუტი თავი. წარბებს ზემოთ ნაოჭების ენერგიულად გასმული ხაზები, საფეთქლების ქვემოთ — პატრიარქული, ჭაღლისებრ ხვეული წვერით გარსშემორტყმული, ენერგიული სახე ასეთივე ცხვირი, ზემო ტუჩის არეში მკვრივი მუსკულები და დაფანჩულ წარბებს ქვეშ ღრმადშეხიზნული თვალები, ქორული მრისხანებით გამომზირალნი.

ლეონარდო და ვინჩი დაბადებულია 1452 წელს, დაბა ვინჩში, პროვინციელი ნოტარიუსის სენ პიეტროსა და ვინმე კატარინას ურთიერთთან შეუღლების შედეგად.

ლეონარდოს მამა, ნოტარიუსი, სენ პიეტრო, რომელსაც წინაპრებისაგან ჰქონია ნაანდერძევი ეს საქმე, ჩვენის დღევანდელი ტერმინოლოგიით უთუოდ წვრილი ბურჟუა იქნებოდა, ესე იგი მოქალაქე და არა აზნაური.

ცხადია, ახლად ძალმოცემული იტალიური ბურჟუაზიის წრეში, ამ ინსტიტუტის წარმომადგენელს, ლეონარდოს მამას დიდი შრომისმოყვარეობა და სიზუსტე დასჭირდებოდა. ეს სიზუსტე და საქმიანობა, ალბათ, ოჯახიდან ჰქონდა თანდაყოლილი ყრმა ლეონარდოს.

ლეონარდოს ბიოგრაფი ვაზარი „ზესთაზენარულ ძალებს“ მიაწერს ლეონარდოს მრავალმხრივ ტალანტებს და მის გენიოსობას, ჩვენთვის კი ნათელია, რომ ამ შემთხვევაში მთავარი მიზეზია ოჯახიდან გამოყოლილი ტრადიციები შრომისა და თავათ ლეონარდოს პიროვნული გენია.

ფლორენციაში ლეონარდო დაუმოწაფეს მხატვარსა და მოქანდაკეს ანდრეა დელლა ვეროკკიოს.

„ლეონარდო სიამოვნებით დაეთანხმა მამას. ჭაბუკს ეწადა არა მარტო მხატვრობა ესწავლა თავისი ოსტატისაგან, არამედ ევარჯიშნა ყველა დარგში, რაც კი დაკავშირებულია ამ ხელოვნებასთან“.

ბოლოს მან გამოიჩინა განსაკუთრებული ცოდნა გეომეტრიისა, მოახდინა ცდები ქანდაკების ხელოვნებაში, თაბაშირისაგან ჩამოასხა მოცინარი ქალების სახეები და ბავშვების თავები, ასე რომ, ეს ქმნილებები უკვე „გამოცდილი ოსტატის“ ნახელოვნებს ჰგავდნენ.

ხუროთმოძღვრული ცდებიც მოახდინა, შენობების ნახაზები გააკეთა და „ჯერ კიდევ ყრმამ საკითხი დააყენა მდინარე არნოს საშუალებით პიზასა და ფლორენციას შორის არხი გაეკეთებინათ“ (ვაზარი).

დაუცხრომლად მუშაობს ჭაბუკი, აკეთებს მოდელებს, ნახაზებს, მთებში გასაყვან გვირაბების, დიდი ტვირთების გადასატან ბერკეტებისა და კრანების პროექტებს ხაზავს.

ლეონარდო ფლორენციის ხელისუფალთ წარუდგენს პროექტს, თუ როგორ უნდა ასწიონ სან ჯიოვანის ტაძარი და შენობის დაუზიანებლად გასასვლელი ესკალადები გააკეთონ მის ქვეშ.

1484 წელს, ლეონარდო მიიწვია მილანში ჰერცოგმა სფორცამ, ლოდოვიკო ილ მორომ, რენესანსის ეპოქის ტიპიურმა მბრძანებელმა.

რა თქმა უნდა, ლოდოვიკო არ ყოფილა ისეთი უზნეო, როგორც ჩეზარე ბორჯია, მაგრამ იგიც საკმაოდ დიდი ტირანი იყო და გადასახადებით სულსა ხდიდა ხალხს.

მას პატივმოყვარეობის საქმედ მიაჩნდა, მხატვრებს, პოეტებს და ხუროთმოძღვრებს დაემშვენებინათ მისი სასახლის კარი.

საინტერესოა ის თვითწარდგენა, რომელიც ლეონარდოს გაუგზავნია ლოდოვიკო სფორცასთვის:

„უბრწყინვალესო მბრძანებელო! მე მემარჯვება აშენება ისეთი ხიდებისა, რომელთა გადატან-გადმოტანა ფრიად ადვილია, ამგვარი ხიდების მეშვეობით, შესაძლოა უკან მივსდიოთ მტერს და გავაქციოთ კიდევაც იგი.

შემიძლია აგრეთვე სხვანაირი, საიმედო სახელდახელო ხიდებიც გავაკეთო, ისეთნი, რომელნიც ცეცხლისა და ბრძოლის დროსაც იქნებიან სახმარნი, მსუბუქნი და ხელმარჯვენი ასაღებად და სხვა ადვილას მოსაწყობად. იგიც შემიძლია მტრის მიერ აგებული ხიდები გავანადგურო და დავწვა.

შემიძლია, აგრეთვე, რომელიმე ადგილის გარემოცვისას, ბლისკინები დავაშრო, სხვადასხვაგვარი ბონდები გავაკეთო, აგრეთვე, ნაირ-ნაირნი საჭურველნი გარემოცვისათვის საჭირონი.

თუ ხელოვნურად გაკეთებული ბექობის სიმაღლისა, ან ადგილის მიუვალობის გამო შეუძლებელი იქნება ქვემეხებით დაზიანება (ციხისა) მე შემიძლია მთელი ციხე დავანგრიო, უკეთუ იგი ტინიან ქარაფზე არაა აგებული.

მე შემიძლია ქვემეხები გავაკეთო ფრიად ხელმარჯვენი და გადასატანად ადვილად მოსახმარნი, რომელნიც გრიგალისებრი სისწრაფით აღმოაფრქვევენ ქვებსა და კვამლს, შიშის ზარს დასცემენ მტერს და მის ბანაკში მოახდენენ აღრევას“.

აქვე აღნუსხული აქვს ლეონარდოს სხვა ტექნიკური საშუალებანი: მტრის ციხის ქვეშ გვირაბების გაკეთება, სიმაგრეების ან მდინარეთა კალაპოტებს ქვეშ გვირაბების მოწყობა. „შემიძლია გავაკეთო დახურული ფორნები, შეხაფერი არტილერიით, მორტირები და ტარანები — საერთოდ სხვადასხვაგვარი საშუალებანი მტრისათვის ზიანის მიმყენებელნი — მრავალგვარი მანქანა ზღვა-

ში გამართულ ბრძოლებისათვის საჭირო, უსასტიკესი ცეცხლის გამძლე ხომალდები, ასაფეთქებელი ნივთიერებანი, კვამლის დასაყენებელნი“.

ბოლოს დასძენს ლეონარდო:

„ხოლო მშვიდობის დროს, შემიძლია სასარგებლო ვიქნე ხუროთმოძღვრების დარგში, როგორც კერძო, ისე საზოგადო შენობათა აგებისას. შემიძლია ვიმუშავო, როგორც მოქანდაკემ, სულ ერთია, მარმარილო მექნება ხელთ, ბრინჯაო, თუ თიხა, ფერწერაშიაც გავაკეთებ ყოველივეს, რისი გაკეთებაც შესაძლოა, და ვისაც გნებავთ, მას გავეჯიბრები.

შემიძლია გავაკეთო ბრინჯაოს ცხენი, რომელიც მარადიულ სახელს მოუხვეჭს განსვენებულ მამათქვენს და სფორცას დინასტიას“.

ვაზარი მოგვითხრობს, თუ როგორ მიიღეს მილანში ლეონარდო ლოდოვიკო სფორცას სასახლეში, ჰერცოგს ლირა ჰყვარებია და ლეონარდოს ჩაუტანია თურმე „უცნაური“ ინსტრუმენტი, რომელსაც ცხენის თავის ფიგურა ჰქონია ვერცხლისაგან ჩამოსხმული ლეონარდოსვე ხელით.

გარდა ამისა, სახელდახელოდ შეთხზულ ლექსებს კითხულობდა თურმე ლოდოვიკოს კარზე ლეონარდო, მაგრამ ეს ლექსები არ შემონახულან.

ლეონარდოს დაუწყია ბრინჯაოს ცხენის ქანდაკება, ჯერ დინგელისაგან გაუკეთებია მოდელი. თავათ თიხისაგან გაფორმებული მოდელი ისეთი უზარმაზარი ყოფილა, რომ ამაზე უფრო ძალოვანი და მშვენიერი ჯერ არავის ენახა.

დიდხანს უმუშავნია ლეონარდოს ამ ქმნილების დასამთავრებლად. ამ ბრინჯაოს ცხენს ცუდი ბედი ეწია თურმე, 1499 წელს საფრანგეთის მეფე ლუდ XIII შემოიჭრა ფლორენციაში, განდევნა ლოდოვიკო სფორცა და ფრანგმა მოისარებმა დაანგრიეს ლეონარდოს თიხისაგან გაკეთებული ბრინჯაოს ცხენის მოდელი.

ასე რომ, ვაზარი დამწუხრებული შენიშნავს, დაიღუპაო როგორც ეს მოდელი, ისე დინგელის მოდელიცა და ლეონარდოს ტრაქტატი, ცხენის ანატომიის გამო.

წარმოსადგენია, რამდენად უმართებულოა ისტორიკოსი ვაზარი, როცა ჭაბუკი ლეონარდოს გამო წერს: ლეონარდო ბევრს არ მუშაობდა, ცხენის მოვლით ერთობოდაო.

ხოლო როცა ლეონარდოს მილანურ პერიოდს და ამ ბრინჯაოს ცხენის სკულპტურის ვერ დამთავრების ფატალურ შემთხვევას ეხება, მაინც იჩენს ერთგვარ მიუდგომლობას:

„...ლეონარდოს მრავალი ნაწარმოები, დაუსრულებელნი დარჩნენ, მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მისი ფრიად აღზევებული და სრულყოფილი სული, რომელიც მიზნად ისახავდა ზომაზე მეტად დიად მიზნებს, დაბრკოლებებს აწყდებოდა ხოლმე და ამის მიზეზი იყო მისი მისწრაფება სრულყოფილობის წიაღში უფრო მეტი სრულყოფილობის ძიება, ხოლო ხარისხიანობაში უფრო მეტი ხარისხიანობის მიღწევა.

ასე და ამგვარად, პეტრარკას სიტყვით რომ ვთქვათ, „მეტას წადილი ხელს უშლიდა შემოქმედებას“.

გენიოსები მხოლოდ ერთ რამეში ჰგვანან დილეტანტებს, სახელდობრ ექსპანსიურობაში, მაგრამ საქმე ისაა, გენიოსის ეს თვისება ნაყოფიერია იმ შემთხვევაშიაც, როცა იგი მხოლოდ გვანიშნებს, ორიოდე ფრაგმენტს დაგვიტოვებს და ეს უფრო შთამაგონებელი რჩება, ვიდრე ხელმოცარულთა მიერ დატოვებული დასრულებული ნაწარმოებნი.

როცა ჩვენ შექსპირს ვკითხულობთ, ასე გვგონია იგი სამეფო კარზედაც უნდა იყოს ნამყოფი მინისტრად ან კარისკაცად, მხედართმთავარიც რომელილაც ომისა, გემის კაპიტანი, ექიმი, ალქიმიკოსი, ბოტანიკოსი, ზოოტექნიკოსი, გველების მგეშავი, იგი თავისი დროის ინჟინერიც უნდა ყოფილიყო, ხუროთმოძღვარიც და გეოგრაფიც, რომელსაც თავის ეპოქაში ცნობილი სამყარო ფეხით მოუვლია, ყოველი ხელობა შეუთვისებია და ყოველი კაცის მესაიდუმლე ყოფილა, გულთმისანიცა და ჭინკების სამზარეულოს წინამდგომიცა.

რუსთაველი ისე აღწერს არაბეთს, ინდოეთს, ხატაეთს, ციხეების შემუსვრას, კატარღების ურთიერთთან შებრძოლებას, მეფეთა კარზე ატეხილ ცილობას, ასე გეგონება სარდალიც ყოფილაო, მსოფლიო მოგზაურიც, ციხისთავიცა და მეხომალდეც, მიჯნურიცა და მეფეც, მონაცა და ყმაცა, კაცთა ვნებების გულთამხილავი, უებარი ექიმი ადამიანის სულისა და ხორცისა, დიდი რაინდი ან რომელიმე ფილოსოფიური სკოლის მეთაური თავის ეპოქისა.

ასეთივე დიდი უნივერსალისტი იყო გოეტე, პოეტი, ფილოსოფოსი, ბოტანიკოსი, ოპტიკოსი, მინისტრი, ფინანსისტი და ლითონების მცნობი, ისტორიკოსი, მემატიანე თავისი ეპოქისა.

მუსიკაშიაც აგრეა: დიდმა კომპოზიტორმა, ან დირიჟორმა ყოველგვარი მუსიკალური ინსტრუმენტის მოხმარა უნდა იცოდეს და ყოველი მათგანისგან ბგერის ინტონაცია უნდა ესმოდეს, უამისოდ ისინი ვერც ოპერას დასწერენ, ვერც ორკესტრს უხელმძღვანელებენ.

ასეთი უნივერსალისტი იყო ლეონარდო და ვინჩი, ხელოვანი, რომელიც არ დაკმაყოფილდა მარტო ფერწერისა და მოქანდაკის სარბიელით, რადგან მისი საუკუნე, რენესანსის ეპოქა იყო ასეთი მრავალკიდოვანი, მრავალხმოვანი, მრავალი ნიუანსის შემცველი და გამომსახველი.

დღესაც მრავლის მეტყველია მისი „ტრაქტატი დელლა პიტურა“ — ტრაქტატი ფერწერის შესახებ. მოვიყვანოთ რამდენიმე სტრიქონი:

„თუ ფერწერის ოსტატი მოისურვებს ხილვას ლამაზი საგნებისა, რომელნიც მას სიყვარულს შთააგონებენ, მის ხელშია ამ საგნების შექმნა, ხოლო უკეთუ იგი მოისურვებს მახინჯი საგნები ნახოს, რომელნიც საშინელნი არიან, ან არადა სასაცილონი, სახუმარო რამეები, ან ჭეშმარიტად საცოდავნი, იგი ამ უკანასკნელთა მიმართ მბრძანებელია და გამგებელი“.

„...თვით ოცნებაც ვერა ხედავს ისეთ შესანიშნავ საგნებს, როგორსაც თვალი...“ წერს ლეონარდო.

თვალს აქებს ლეონარდო ისევე, როგორც გოეტე, რადგან ლეონარდო ისევე გატაცებული იყო ოპტიკით, როგორც გოეტე, თვალის მეშვეობით ახდენს ლეონარდო, როგორც ბუნებისმეტყველი, ფერების ოსტატი და ოპტიკოსი ცდას. ხოლო „ცდა ეს სიბრძნის დედაა“.

„...მე ეგრე მგონია, ფუჭია და მცდარი ყოველივე მეცნიერება, რაც ცდისაგან არ იღებს სათავეს“.

ლეონარდოს იმავე ტრაქტატში ვკითხულობთ: „ასტროლოგიაში არ არსებობს არც ერთი დარგი, რომელიც სამზერი ხაზების საქმე არ იყოს, სამზერი ხაზებისა და პერსპექტივისა. და ეს უკანასკნელი ფერწერის ასულია, რადგან ფერწერის ოსტატი სწორედ იგია, ვინც თავისი ხელოვნების კარნახით წარმოშვა ეს პერსპექტივა“.

დიდი ენერგია შეალია ლეონარდომ პერსპექტივისა და ანატომიის შესწავლას. ლეონარდოს მთელი ტომი 235 ნახაზისაგან შემდგარი, დაცულია ამჟამად ლონდონის ერთ-ერთ მუზეუმში.

მილანში შენახულია მისი ნახაზები და გამოკვლევანი ადამიანის სხეულის პროპორციების შესახებ. 1509 წელს გამოქვეყნდა ლეონარდოს „დე დივინა პროპორციონე“.

ცნობილია მისი შრომები მათემატიკისა და ფიზიკის მრავალგვარი პრობლემების შესახებ.

როგორც ლეონარდოს ანონიმი ბიოგრაფი მოგვითხრობს, ლეონარდოს დაუმზადებია საფრენი აპარატი. ფიეზოლეს მახლობლად ერთ მოტვლეპილ გორაკიდან ააფრინა თურმე ლეონარდომ ეს „თვითმფრინავი“, მაგრამ ეს აპარატი გაუჩინარებულა ეთერში.

შვეციის სამეცნიერო აკადემიამ გამოაქვეყნა ამ სამი ათეული წლის წინათ ლეონარდოს მანამდის უცნობი ნახაზები, რომელნიც შეიცავენ ერთგვარ სქემას წყალქვეშა ნავისას.

ლეონარდოსგან ბევრს ისწავლის ჩვენი თანადროულობაც.

ფრიად საინტერესოა ლეონარდო, როგორც ოსტატი სიტყვისა.

მოკლედ თქმაში, აფორისტულ მეტყველებაში, სატევრისებრი სიბასრით ელავს ლეონარდოს სიტყვა.

„მხატვრების უდიდესი ნაკლი, ერთი და იმავე მოძრაობების გამეორებაა. მხატვარს ესაჭიროება მათემატიკა, რომელსაც კავშირი აქვს მის საქმიანობასთან, შორს ყოფნა ისეთი ამხანაგებისაგან, რომელნიც შრომას გაურბიან, ტვინი, რომელსაც შეუძლია ცვალებადობა განიცადოს საგნების მრავალსახეობების მიხედვით.

პატარა ოთახები და ბინები გონების მოკრეფაში გშველიან, ხოლო ვრცელნი ფანტავენ ყურადღებას. საცოდავია შეგირდი, რომელიც თავის ოსტატს ვერ აღემატება.

ყოველთვის კარგი როდია იგი, რაც ლამაზია, ამას ვამბობ იმ მხატვართა საგულისხმოდ, რომელნიც ფერადების სილამაზეს ეპოტინებიან, არცთუ დიდი გულის დაწყვეტის გარეშე იყენებენ სავსებით ძაბუნსა და თითქმის უხილავ ნაჩრდილევს, რადგან საკმარისად ვერ აფასებენ მათ რელიეფურობას. ამ საქმიანობაში ისინი ემსგავსებიან მათ, რომელთაც სჩვევიათ ლამაზი სიტყვებით არაფრის თქმა.

იგულისხმე: თუ შენ უაღრესი სიბნელის გამოხატვა გწადია, შედარებისათვის ამოუყენე მას უაღრესი სითეთრე და ასეთი უაღრესი სითეთრე უაღრეს სიბნელეს დაუპირისპირე.

მოცინარი არ განირჩევა მტირალისაგან, არც თვალების, არც ტუჩ-პირის, არც ლაწვების მიხედვით, მხოლოდ წარბების მდგომარეობა იძლევა სხვაობას. წარბებს შეიყრის მტირალი, ხოლო მოცინარი ზეაწევს მათ.

მტირალს ხელები შეეშველება, სამოსისა და თმების მგლეჯელნი და ფრჩხილები სახის მხოკავნი, და ეს ყოველივე არ ემართება მას, ვინც იცინის.

სილამაზე და სიმახინჯე ძალას იკრეფენ, როცა ერთიმეორეს მიეახლებიან.

ფერწერის ოსტატი ორ მთავარ საგანს უნდა გამოსახავდეს: ადამიანსა და მის სულიერ ვითარებას. პირველი მათგანი ადვილია, მეორე ძნელია, რადგან ეს უკანასკნელი ჟესტიკულაციით, სხეულის მოძრაობით უნდა გამოისახოს.

ეს ყოველივე მუნჯებისგან უნდა ისწავლოთ, რადგან მათ ყველა ადამიანზე უკეთ ემარჯვებათ ასეთი რამე.

ადამიანები და სიტყვები უკვე მოცემულნი არიან და შენ მხატვარო, თუ აღარ იცი როგორ უნდა მოუარო შენს ფიგურებს, მაშინ იმ ორატორს დაემსგავსები, რომელსაც თავისი სიტყვების გამოყენება არ ემარჯვება.

როგორც კი სიქველე წარმოიშობა, იგი მყისვე გაიჩენს მოქიშპედ შურს და უმალ სხეული დარჩება უჩრდილოდ, ვიდრე სიქველე უშუროდ“.

განსაკუთრებული ლაპიდარობითა და დიდის სიმახვილით დაწერილია ლეონარდოს პარაბოლები — იგავები.

*

„რუმ იმდენი ხრეში ჩაითრია თავის სადენში, ბოლოს იძულებული გახდა თავისი კალაპოტი დაეთმო“.

*

„ქაღალდმა შენიშნა მელნის ლაქებით დათითხნილი რომ შეიქმნა და წუწუნი დაიწყო, ისინი მოსდგნენ და უმტკიცეს, რომ სწორედ ამ სიტყვებისთვის ინახავდნენ მას, რომელნიც ზედ ჰქონდათ წარწერილნი“.

*

„ვიდრე ლეღვის ხე გაბერწებული იდგა, ზედაც არ უყურებდნენ გამვლელნი, მაგრამ როცა ნაკიანმა წელმა გაიარა, მან ნაყოფი მოისხა და კაცთა შექებას მოელოდა, შტოები დადრიკეს და დაუმსხვრიეს“.

*

„ავრეხი უკმაყოფილო იყო, როცა არხეინად იდგა ღობის გადაღმა, მაგრამ როცა ლერწები გადააშვირა გზაზე და მოპირდაპირე ღობეს მოებღაუჭა, გამვლელებმა მტვრევა დაუწყეს მას“.

*

„არწივს მოუნდა ბუს გაპამპულება, მაგრამ თავათ მოჰყვა სასირე ბადეში, ადამიანმა შეიპყრო იგი და მოაშთო“.

*

„ვირს დაეძინა გაყინულ ტბის ხობოკვერაზე, მაგრამ ცხოველის სხეულის სითბომ გაალღო ყინული და მძინარე ვირს ტბის ფსკერზე გამოეღვიძა, მაგრამ წყალმა დაახრჩო იგი“.

*

„ერთ კაცს უთხრეს: ადექ, მზე ამოვიდაო, მან მიუგო: მე რომ მზისოდენა გზა მქონდეს გასავლელი და იმოდენა საქმე გასაკეთებელი, ახლა ამდგარიც ვიქნებოდიო. რადგან მე სულ მცირე გზა მიდევს წინ, არც ადგომა მნებავსო ჯერ“.

თუ მთქნარებისა და ჭამისაგან თავმობეზრებულ უქნარებს მოსწყინდებათ ხოლმე ხანგრძლივად ცხოვრება, გენიოსებს დრო აღარ რჩებათ წინასწარ განზრახული დიდი გეგმების მოსათავებლად.

ამიტომაც მათ მოკლედ ეჩვენებოდათ თავისი საკმაოდ ხანგრძლივი სიცოცხლე. გოეტეც ხშირად იმეორებდა რომაულ ანდაზას: სიცოცხლე მოკლეაო და ხელოვნება გრძელი („არს ლონგა, ვიტა ბრევის ესტ“).

ლეონარდო დავინჩი

ვაზარი აგვიწერს ლეონარდოს, როგორც უჩვეულო ფიზიკური სილამაზისა და ძალის პატრონს, რომელიც „მარჯვენა ხელით გლეჯდა კედელზე მიკრულ რკინის რგოლებსა და ცხენის ნალებს ამსხვრევდა".

„თანაბარის გულითადობით ეკცოდა ყოველ მეგობარს, განურჩევლად იმისა, მდიდარი იყო იგი თუ ღარიბი, თუ მათ სიქველე და ნიჭი მოსდგამდა".

ლეონარდოს უზომოდ გაფაქიზებული გემოვნება და უაღრესად განვითარებული ინტელექტი ისე თვითკრიტიკული იყო, იგი ველარ პოულობდა სრულყოფის სამანებს, უფრო და უფრო მეტი მუშაობა ეწადა და ჟამთა სიავის მეოხებითაც მისი დიდი ქმნილებები დაუსრულებელნი რჩებოდნენ.

რამდენად ბეცია ხანდახან თანამედროვე მსაჯული ცოცხალი დიდოსტატის მიმართ, ამის საბუთად კმარა ვაზარის საყვედური: ლეონარდო ცოტას მუშაობდაო, ან არადა ის საყვედური ლეონარდოს კონგენიოსური თანამედროვის — მიქელ-ანჯელოსი, რომელიც ესროლა ამ უკანასკნელმა ლეონარდოს ხანტა ტრინიტას ეკლესიის მოედანზე: „...შენ ბრინჯაოს ცხენის პროექტი გააკეთე, მაგრამ ვერ დაასრულე".

ეს კიდევ არაფერი, უქნარობისა და კეთილი ცხოვრებისაგან გალაღებულმა რომის პაპმა ლეომაც სინჯა გონებამახვილობა გამოიჩინა ლეონარდოს მიმართ: „ჭეშმარიტად ვერასდროს ვერაფერს შეჰქმნის ის კაცი, ვინც საქმის მოთავებას ფიქრობს უკვე და ჯერ არც დაუწყია იგი".

რენესანსის ეპოქის ადამიანი იყო ლეონარდო, არა მარტო თავისი პირადი ცხოვრებით, არამედ იშვიათი სილამაზითაც. იგი ფიზიკურად ძლიერი ადამიანი იყო, კაცი, რომელიც თანაბარის ოსტატობით უკრავდა ლირას, თხზავდა ლექსებს, თანაბარის ძალით ეწეოდა ფერწერას, სკულპტურას, ხუროთმოძღვრებას, მათემატიკურ ფორმულებს წერდა, ფერისა და პერსპექტივის კანონებს ეძიებდა, სივრცეების დასაძლევ ტექნიკის პრობლემებს აყენებდა, იგავებს წერდა და ეს ყოველივე ხელს არ უშლიდა თავის დროის უდიდესი მხატვარიც ყოფილიყო.

თუ შუა საუკუნეთა სქოლასტიკამ, კათოლიკურმა ბნელმეტყველებამ მწერლობა და მხატვრობა მიიყვანა ვნებაგამომშრალ ადამიანების ჩვენებამდის, ისე როგორც პოეზიაში დანტემ, ფერწერაში ლეონარდომ წამოაყენა წინ დიდი პრინციპები ადამიანობისა, ჰუმანიზმისა.

ეკლესიის მიერ დათრგუნვილი ვნება ადამიანისა ღვთიურ ვნებას წინ დაუყენა მიქელ-ანჯელომ, რაფაელი და ლეონარდო თითქმის იმავე ბიბლიურ თემებს შეეხნენ, იეჰოვას, ანგელოზებს, წმინდანებს და მადონებს ხატავდნენ ესენიც, ისევე როგორც რომაელი და ბიზანტიელი მხატვრები და ფერწერის ოსტატები, და ამ უკანასკნელთა ხელიდან გამოსულ ხორცდაშრეტილ, უვნებო ანგელოზების, სკელეტად ქცეულ სხეულების ნაცვლად, რენესანსის ოსტატებმა ხელოვნებაში გამოაჩინეს ნამდვილი ხორციელი ადამიანები, რომელთაც მხოლოდ სახელები შერჩენოდათ ძველი.

ავიღოთ თუნდაც ლეონარდოს „იოანე ნათლისმცემელი", რომელსაც უზარმაზარი ძელის ჯვარი ჩაუხუტებია. ეს უაღრესად ფემინიზირებული იოანე, უცნაურად მოგვაგონებს ანტიურ ჰერმესებს, ან არადა ლეონარდოს „წმ. ანნა", რომელიც ბატკანთან მოთამაშე იესოს ზედ დასცქერის, არც მის ზემოტანის ხორცშესხმულობაში, არც მის სახეზე, რომელსაც ღიმილი შეხდგომია თვალის გუგებში, ტუჩ-პირის მახლობელ კუნთებში, არაფერია „წმინდანური", ასე შეეძლო რომელიმე ფლორენციელ უბრალო ქალს გაეღიმა, რაიმე საამური სანახაობის მაცქერალს.

თუ სქოლასტიკური და მისტიკური ძველი მხატვრობა ადამიანის გამოსახვაში ყოველივე ადამიანურის გაძევებას მიელტვოდნენ, ლეონარდოს მთელი შემოქმედება პირუკუ ტენდენციას მისდევს: ღვთიურის მიჩქმალვას და ადამიანურის გამოჩინებას.

თემატიკის აბსოლუტურ სიახლეს ვერ დაანებებდა რენესანსის დროინდელ მხატვარს პაპის კურია და კათოლიციზმი, რომელიც თვით იმ ეპოქაშიაც ძლიერი იყო, ბოლოს იგივე პაპები და ტირანები იყვნენ შემკვეთლები და მატერიალური რესურსების გამღებნი.

სამაგიეროდ ლეონარდომ შეჰქმნა ახალი მეთოდები პერსპექტივისა, ფერადების შეხამებისა და კომბინირებისა, ჩრდილისა და შუქის ახლებურად გამოყენებისა.

პერსპექტივის კანონებისა, ფერადების თეორიისა და ანატომიის შესწავლამ შეაძლებინა ოსტატს ისეთი დიდი რელიეფურობის გამომჟღავნება, როგორსაც ვხედავთ არა მარტო მის მიერ დახატულ პორტრეტებზე, არამედ ცხენებს ფიგურების მოცემისას. მისი ცხენების მოდრეკილი ქედები და ამობორცვილი გავა ისე რელიეფური ხორციანობითაა მოცემული მის ნახატებში, მათ მნახველს გავაზე ხელის მოცაცუნება მოუნდება უთუოდ.

მთელი კულტურული კაცობრიობა შეაშფოთა ამ ორიოდე ათეული წლის წინათ ლეონარდოს „ლა ჯოკონდა"-ს ლუვრიდან მოპარვამ, ეს სურათი გააკეთა და ვინჩიმ ფრანჩესკო დელ ჯოკონდოს შეკვეთით, მოდელი იყო მონნა ლიზა, ფრანჩესკოს ცოლი.

ადამიანის სხეული ასეთის სიზუსტით ჯერ არავის დაუხატავს, ის ბრწყინვალე ციმციმი, რომელიც გადასდის ადამიანს, არა სიცილის დროს, არამედ როცა იგი გაღიმებას აპირებს და როგორც ცას იალონზე შეუდგება ხოლმე საგამთენიო ლიცლიცი, ისე მჟღავნდება თვალის თეთრონებში ასეთივე რამ.

იგავმიუწვდენელის ოსტატობით გამჟღავნებულია აქ ღიმილის გამოკრთომა სახის ყოველ ნაკვთზე, თვალის უპეებსა და ტუჩ-პირის მახლობელ კუნთებში, ღაწვების გარშემო და ტუჩ-პირის კიდეებში.

იგივე ვაზარი მოგვითხრობს, როგორ მოაყვანინა ლეონარდომ მონნა ლიზას გასაღიმებლად ხუმარები, ლირაზე დამკვრელნი და მომღერალნი.

ძნელი მომცინარის გამოხატვა როდია, არამედ ადამიანის სახის მიმიკის გამოსახვა ისეთ მომენტში, როცა ღიმილს აპირებს იგი და ეს ღიმილი შეუდგება სახის კუნთებს და შესძრავს მათ.

ჯოკონდასა და მისი ღიმილის გამო იმდენი ლიტერატურაა დაგროვილი, მათი მიმოხილვა შორს წაგვიყვანდა. როგორც ყოველი დიდი ქმნილება მრავალგვარი განმარტების საბაბს იძლევა, ისე ყველას თავისებურად ესმის მისი ღიმილი.

მე პირადად მგონია: ეკლესიისა და არისტოკრატიის მიერ დადგენილი ეტიკეტები ნებას არ აძლევდნენ „წარჩინებული კაცის" ცოლს ფრივოლური განწყობილება გაემჟღავნებინა, მაგრამ რენესანსის ჟამინდელი მხატვარი შეუჩნდა მას და მოჰგვარა ისეთი ღიმილი, რომლითაც დასცინის იგი, როგორც გამომშრალ ეკლესიურ დოგმებს, ისე აზნაურულ ეტიკეტებს.

## ლეონარდო და ვინჩი

რა სიტყვებით უნდა გამოისახოს ის ხალისი და სიკასკასე, რომელიც გამოსჭვივის „მადონა ბენუას" სახეზე, რომლითაც ახალგაზრდა დედა შესციცინებს თავის პირმშოს.

როცა ლეონარდოს „წმ. იერონიმეს" ვაკვირდებით, აქ ლეონარდოს ლოცვისა და მარხულობისაგან დაშრეტილი წმინდანი როდი აინტერესებს, არამედ დაბერებული, დაუძლურებული და მოხუცებული სხეულის ანატომიის მოცემა. ლეონარდო თანაბარის ოსტატობით ხატავს როგორც მონნა ლიზას, მადონა ლიტეს და ბელლე ფერონიერეს, იზაბელლა დაესტეს სილამაზეს, ისე იუდას სიმახინჯეს, მოღალატის საზიზღარ თავს და ვაგლახად მოდრეკილ კისერს, რომელსაც ორმოები ატყვია თავ-კისერის განზე მიდრეკისას.

იმასაც ამბობენ, როცა ლეონარდო ქუჩაში შეეყრებოდა რომელიმე მახინჯს, მთელი საათობით უკან მისდევდა და აკვირდებოდა მას.

ლეონარდოს სურათები და ნახაზები გაბნეულნი არიან მთელი ევროპის მუზეუმებში. ზოგი მილანშია, ზოგი ფლორენციაში, ზოგი პარიზის ლუვრში, ვინძორში, ლონდონში, ვენაში, ბერლინში, ლენინგრადში.

სიჭაბუკის დროინდელ ნამუშევართაგან მრავალი დაკარგულია, სადავოდ გამხდარია. ლეონარდოსადმი მიწერილ „ხარება"-ს (ფლორენციის მუზეუმისა) რიდოლფო გარლანდაიოს მიაწერენ. სადავოა „ბეატრიჩე დესტე" (მილანი) ლეონარდოსა და ამბროჯიო დე-პრედის შორის, ამასვე ამტკიცებენ ზოგიერთი მკვლევარები ლეონარდოს სახელით ცნობილი პორტრეტის „ლა ბელლე ფერონიერეს" გამო.

ლეონარდოს უდიდესი ქმნილება „საიდუმლო სერობა" შეკვეთილია ჰერცოგ ლოდოვიკო სფორცას მიერ. მხატვარს გაუჭირდა თურმე აქ მოცემული სახეების მთელი გალერეადან ქრისტეს და იუდას სახის გაკეთება, რადგან ერთში უდიდესი სათნოება უნდა გამოესახა, ხოლო მეორეში უმძაფრესი სიმახინჯე.

ჩვეულებრივად ამ ფრესკის დასრულებასაც აყოვნებდა ლეონარდო, ხშირად რამდენიმე საათის განმავლობაში გახევებული იდგა, ფუნჯი ეჭირა ხელში და ფიქრობდა. მონასტრის პრიორი, წინამდგომი ჩააცივდა თურმე მხატვარს, გინდა თუ არა მალე დაასრულეო ფრესკა.

თავათ რომ ვერაფერს გახდა პრიორი, მან ჰერცოგთან უჩივლა მხატვარს. ლეონარდომ თავის მხრით სთხოვა ჰერცოგს, იუდას თავის მოდელი ვერსად მიპოვნია, თუ ნებას მომცემ ამ პრიორის თავს გამოვიყენებო.

მე მქონდა ბედნიერება 1919 წელს იტალიაში მოგზაურობის დროს თავათ მენახა ლეონარდოს „საიდუმლო სერობის" ფრესკა, „სანტა მარია" დელლა გრაციეს მონასტრის ერთ-ერთ კედელზე, სამწუხაროდ სავსებით დაზიანებული.

სამი ფანჯრის, შუქის სამი სათავის გასწვრივ დადგმულ გრძელ მაგიდას უსხედან ქრისტე და მისი თორმეტი მოწაფე. ქრისტე განმარტოებულად ზის და ორივე კიდისკენ სამ-სამნი სხედან.

როგორც ლეგენდის მიხედვით ვიცით, ქრისტეს ორიოდე სიტყვამ: ერთი თქვენგანი გამცემსო, შეაშფოთა თორმეტი კაცი. თორმეტივეს სახე შიშის, გაოცების, სიძულვილის, აღშფოთების, საშინელის, გაუგონარის და შემზარავი ამბის გამცდელნი, იგავმიუწვდენელის ოსტატობითაა გადმოცემული.

„საიდუმლო სერობაში" დიდის ხელოვანებით გამოყენებულია ლეონარდოს ანატომიური დაკვირვებანი, პერსპექტივის გრძნობა, ნაჩრდილისა და ნაშუქის ვარირება, კონტრასტების ურთიერთთან დაპირისპირების ხერხი. ქრისტეს ოდნავ განზე გადაუწევია თავი, როგორც უმწეო, უდანაშაულო კაცს, რომელიც მინდობია ბედს, მაგიდაზე დაწყობილი დუნედ გაწვდილი მარცხენა ხელის გული გაუშვერია, და ეს ხელის გული თავათ მეტყველებს: ბრალი არ მიძევსო.

პეტრე რაღაცას უჩურჩულებს მასწავლებლის გვერდით მჯდარ იოანეს, რომელსაც მოქანცულ ქალსავით მიუდრეკია მარჯვენისკენ სათნო თავი, ხოლო იუდას ღალატის საფასად მიღებული ოცდაათი ვერცხლი მაგრად ჩაუბღუჯავს ცალი ხელით და დასცქერის თავის მსხვერპლს — ქრისტეს.

იოანეს და ქრისტეს გულით უძრაობას უპირისპირდება ზეწამომდგარი ურწმუნო თომას ზეაშვერილი თითი. ცენტრში დამყარებულ სიმშვიდეს უპირისპირდება ის მღელვარება, რომელსაც გადაურბენია მხარმარცხნითა და მხარმარჯვნით მსხდარ ადამიანების ტუჩებზე, მხრებზე.

სახისა და ზემოტანის ნაირნაირი მოძრაობით ისინი ამჟღავნებენ მრავალგვარ ემოციას და იგივე ცენტრში დამყარებული სათნოებისათვის ხაზის გასასმელად, ეს აღშფოთების ტალღა, მაგიდის მოპირდაპირე კიდეებთან აღწევს კულმინაციის წერტილს.

და ეს ვარირება ემოციებისა, ეს სტატიურობაში დაჭერილი დინამიკა, ისეთის სიძლიერითაა განსახიერებული, აგრე ეგონება მაცქერალს, სულ მცირე რამ უნდა მოხდეს და ხმა ამოხდებათ ამ შეშფოთებულ სახეებს და ხორცშესხმულნი გადმოვლენო ფრესკიდან ძირს. ვაზარიც აღიარებს, რომ ლეონარდოს ოსტატობა სწორედ ის იყო, რომ იგი თავის ფიგურებს „სუნთქვისა და მოძრაობის უნარს ანიჭებდა".

ისე როგორც სხვა თავის ქმნილებებში, ამ ბიბლიურ თემაში ლეონარდოს უმთავრესი მიზანია ადამიანური ვნებების გამოსახვა, მაქსიმალურის რელიეფობითა და დინამიურობით.

შუა საუკუნეთა ხელოვნების უმთავრესი თემა იყო ღმერთი და მისი ანგელოზები, რენესანსის დიდოსტატებმა და მათ შორის ლეონარდომ, ხელოვნების უმთავრეს საგნად დასახეს ადამიანი და მისი ვნებები.

1516 წელს საფრანგეთის მეფემ ფრანც პირველმა წინადადება მისცა ლეონარდოს მისი კარის მხატვარი გამხდარიყო და საფრანგეთს თან გაჰყოლოდა. იანვრის დამლევს აიყარა მეფის ბანაკი და ლეონარდოც თან გაჰყვა. მეფის სასახლეში, კლაუს კოშკში, მას საუკეთესო პირობები შეუქმნეს, „მხოლოდ ხატვისა და ჭვრეტისათვის" მოცლილს.

აქვე დასწერა მან თავისი დაკვირვებანი ფრინველთა ფრენისათვის. ხანდახან მეფე მოიხმობდა მას დიდ მშენებლობათა კონსულტანტად, მრჩევლად. ამასობაში ლეონარდო უკვე ამჩნევდა, რომ მისი მაგარი სხეული, მოუსვენარი და შრომით აღსავსე, ცხოვრებისაგან უკვე შერყეული იყო.

1519 წლის გაზაფხულზე მან ქვეშეცნეულად იგრძნო სიკვდილის მოახლოება და ანდერძის წერას შეუდგა კიდევაც. მან განაწესა არა მარტო თავისი მემკვიდრეობისა და ქონების დარიგების დეტალები, თვით დაკრძალვის ცერემონიებიცა.

1519 წლის 2 მაისს ლეონარდოს ცხედარი გააპატიოსნა მისმა ერთგულმა მეგობარმა, ფრანჩესკო მელციმ.

ამბობენ: ლეონარდო და ვინჩი, რომელიც მთელი თავისი, საკმაოდ ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ტიტანისებური ძალით ებრძოდა სიკვდილსა და დავიწყებას, სტიროდა თურმე სასიკვდილო სარეცელზე მწოლარე, ნაღვლობდა: რომ „ეგზომ ცოტა" გააკეთა ადამიანებისა და ხელოვნებისათვის.

ასე თავმოდრეკილი გაეყარა სიცოცხლეს იგი, ვისი ღვაწლის ჩამოსათვლელად მთელი ტომიც არ გვეყოფოდა.

# დიდი სპორტული ბრძოლისათვის




**მ. კაკაბაძე, გ. აკოფოვი**

ჩვენს მახსოვრობაში ახლაც ნათლადაა აღბეჭდილი 1952 წლის ზაფხული — ჰელსინკი, XV ოლიმპიური თამაშობანი. მაშინ ჩვენი დიადი ქვეყნის სპორტსმენებს პირველი მკაცრი გამოცდა უნდა დაეჭირათ მთელი მსოფლიოს სპორტული საზოგადოების წინაშე. ჩვენი ქვეყნის წარგზავნილებმა ბრწყინვალედ ჩააბარეს ეს საპასუხისმგებლო გამოცდა და თვალნათლივ უჩვენეს მთელ მსოფლიოს ჩვენი შესანიშნავი მიღწევები. მაშინ ბევრი საზღვარგარეთული გაზეთი გაკვირვებით წერდა იმის შესახებ, რომ საბჭოთა სპორტსმენების გამოსვლებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, ისინი — საბჭოთა სპორტსმენები — მთელ რიგ შემთხვევებში „ადამიანის ფანტაზიის საზღვართან“ დგანან და მათ „ზღაპრული გაწვრთნილება გვიჩვენესო“... ასე აღინიშნა საბჭოთა სპორტსმენების პირველი გამოსვლა ოლიმპიურ თამაშობებში.

ჩემპიონატის გახსნის დღეს ერთ-ერთმა რეაქციულმა ფრანგულმა გაზეთმა გამკენწლავად შენიშნა: „ჩვენ, რა თქმა უნდა, გაგებული გვაქვს საბჭოთა შტანგისტების სარეკორდო მიღწევები, მაგრამ საინტერესოა, რამდენი გრამია რუსულ კილოგრამში — 600 თუ 700?“. ასპარეზობის დამთავრებამდე, მას შემდეგ, რაც ერთ-ერთმა საბჭოთა სპორტსმენმა ბრწყინვალედ მოიპოვა ჩემპიონის ოქროს მედალი და ერთ საღამოს სამი მსოფლიო რეკორდი დაამყარა, იგივე გაზეთი იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ „რუსულ კილოგრამში ზუსტად 1.000 ფრანგული გრამია“.

მას შემდეგ საბჭოთა შტანგისტებმა, მოჭიდავეებმა, მოჭადრაკეებმა, ფრენბურთელებმა, კალათბურთელებმა, მსროლელებმა, ნიჩბოსნებმა არა ერთხელ დაამტკიცეს თავიანთი შესანიშნავი კლასი და საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის მატიანეში არა ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს.

XV ოლიმპიური თამაშობებისაგან მიღებული შთაბეჭდილებანი ჯერ განელებულიც არ იყო, რომ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში გაცხოველებულ მზადებას შეუდგნენ მომავალი ოლიმპიური თამაშობების ღირსეულად შეხვედრისათვის.

ავსტრალიის ქალაქ მელბურნში 1956 წლის ნოემბერში აღიმართება XVI ოლიმპიური თამაშობების დროშა. ამ დროშაზე გამოსახულია ხუთი, ერთმანეთს გადაჭდობილი რგოლი, მსოფლიოს ხუთი კონტინენტის ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის დიადი სიმბოლო.

XVI ოლიმპიურ თამაშობებში საბჭოთა დელეგაციის წარმატებითი მონაწილეობისათვის მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებებია დასახული. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადას, რომელიც გაიმართება 1956 წლის ივლის-აგვისტოში ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში.

თავისი მასშტაბებით ეს სპარტაკიადა ბევრად აღემატება ჩვენს ქვეყანაში ჩატარებულ ყველა სპორტულ ღონისძიებას. მარტო მის ფინალურ ნაწილში მონაწილეობა უნდა მიიღოს 10.000 სპორტსმენმა — ყველა 16 რესპუბლიკის, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის წარმომადგენლებმა. ამ სპარტაკიადაზე საბოლოოდ დადგინდება მელბურნის ოლიმპიადაზე გასაგზავნი ნაკრები გუნდების შემადგენლობანი. საბჭოთა სპორტის ისტორიაში დიდი მოვლენა იყო პირველი საკავშირო სპარტაკიადა, რომელიც 1928 წელს გაიმართა. მას შემდეგ 27-მა წელმა განვლო. ამ ხნის განმავლობაში პარტიისა და მთავრობის შეუნელებელი მზრუნველობის შედეგად არნახული ტემპით განვითარდა მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობა, სპორტული დაოსტატების დონე და ხარისხი.

გასულმა 1955 წლის სპორტულმა სეზონმა მრავალი ახალი წარმატება მოიტანა. კიდევ უფრო განმტკიცდა ჩვენი ფიზკულტურული მოძრაობა, რომელიც მილიონთა მოძრაობად იქცა. სპორტულ სისტემატურ მეცადინეობაში ჩაება ათასობით და ათიათასობით ჭაბუკი და ქალიშვილი, რომელთა რიგებიდან ძველ, ათასგზის ბრძოლებში გამობრძმედილ თაობას მხარში ამოუდგა ღირსეული ცვლა. ახლა უკვე არავის აღარ უკვირს, თუ, მაგალითად, 15-16 წლის მოსწავლე უკან ჩამოიტოვებს სახელმოხვეჭილ რეკორდსმენს, ან სპორტის ოსტატის ნორმას შეასრულებს... ამის მკაფიო დადასტურებაა, თუნდაც, სსრ კავშირის უძლიერეს მძლეოსანთა თბილისში გამართული შარშანდელი ტურნირი, სადაც სპორტის ოსტატთა რიგებს 18 ახალი წევრი შეემატა და ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედალი მანამდე ნაკლებად ცნობილმა გ. ვინოგრადოვამ, გ. დოლქენკოვამ, ს. რჟიშჩინმა და კიდევ თხუთმეტმა სხვამ დაიმსახურა პირველად.

როგორც ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, ასევე საქართველოშიც გაცხოველებული მზადება მიმდინარეობს სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის. ამ უაღრესად საინტერესო და საპასუხისმგებლო ასპარეზობაში სასახელოდ მონაწილეობის მიზნით 1956 წლის მაისში, როგორც ცნობილია, გაიმართება საქართველოს რესპუბლიკური სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში შედის ასპარეზობა სპორტის 21 სახეობაში.

საქართველოს რესპუბლიკურ სპარტაკიადას წინ უძღვის მრავალრიცხოვანი ასპარეზობა ფიზკულტურის ძირეულ კოლექტივებში, რაიონებში, ქალაქებში, ოლქსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში. ბევრგან — ფიზკულტურის ძირეულ კოლექტივებში — დიდი ინტერესით აღინიშნა ეს მასობრივი შეჯიბრებანი. სპარტაკიადის წინა ასპარეზობანი განაპირობებენ საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის ახალ მძლავრ აღმავლობას, თან მოიტანენ ახალ სარეკორდო მაჩვენებლებს, გამოავლენენ ახალგაზრდა ნიჭიერ სპორტსმენებს, — რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებში მოხვედრის ღირსეულ კანდიდატებს.

## ოლიმპიური თამაშების ირგვლივ

ოლიმპიურმა თამაშებმა თავისი სახელწოდება მიიღეს ძველი საბერძნეთის ქალაქ ოლიმპიდან. ამ თამაშების ჩასახვას შორეულ საუკუნეთა სიღრმეში მივყავართ, თანაც ლიტერატურაში საკმაოდ გავრცელებულია მტკიცება იმისა, რომ ოლიმპიური თამაშების დაწყება უნდა მიეწეროს 776 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ამ დროისათვის ოლიმპიადამ საბერძნეთში ჰპოვა საერთო აღიარება, როგორც საზოგადოებრივ - პოლიტიკური მნიშვნელობის უაღრესად თვალსაჩინო ღონისძიებამ, შეიძლება ჩაითვალოს, რომ მის წარმოშობას უფრო ადრინდელი წარსული აქვს.

* * *

ოლიმპიური თამაშების წესები კრძალავდნენ თამაშებში ქალთა მონაწილეობას; უფრო მეტიც, ისინი უკრძალავდნენ ქალებს — დასწრებოდნენ დღესასწაულს, როგორც მაყურებლები. ერთ ისტორიკოსს აღწერილი აქვს ლეგენდა იმის შესახებ, თუ როგორ „გაძვრა“ ქალი ოლიმპიურ თამაშებზე. ამ ქალს სურდა თავისი ვაჟის გამოსვლის მოწმე გამხდარიყო, ჩაიცვა მამაკაცის ტანსაცმელი და სტადიონზე იმ ადგილიდან შევიდა, სადაც ტანვარჯიშის მასწავლებლები იმყოფებოდნენ. როდესაც მისმა ვაჟმა გამარჯვება მოიპოვა, დედის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა და იგი აღტაცებული მიიჭრა თავის პირმშოსთან, დაუწყო ხვევნა-კოცნა, მაგრამ ამასობაში იგი „გამომჟღავნდა“ — მას ჩაძვრა მამაკაცის ტანისამოსი. მსაჯებმა, გადმოგვცემს ლეგენდა, ამ საქციელში კანონის დარღვევა დაინახეს და, რომ შემდეგში ასეთი რამ არ განმეორებულიყო, დაადგინეს: ტანვარჯიშის მასწავლებლები, რომლებიც მონაწილეთა უშუალო სიახლოვეს იმყოფებიან, თამაშებზე უნდა იყვნენ სრულიად... ტიტველნი.

* * *

...არა ერთი საუკუნე გავიდა, სანამ ადამიანებმა გაიხსენეს ოლიმპიური თამაშები და მათ განახლებაზე დაიწყეს ფიქრი. ამის ერთ-ერთი ინიციატორი იყო ფრანგი პედაგოგი, სპორტის დიდი ენთუზიასტი პიერ დე კუბერტენი, რომელმაც XIX საუკუნის დამლევს ოლიმპიადების განახლების საკითხი აღძრა. 1894 წელს მოწვეულმა „საერთაშორისო ატლეტურმა კავშირმა“ 34 სახელმწიფოს წარმომადგენელთა მონაწილეობით ოლიმპიური თამაშების, როგორც საერთაშორისო ასპარეზობათა განახლების გადაწყვეტილება მიიღო. კონგრესმა აირჩია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი. თანამედროვე ციკლის პირველი ოლიმპიური თამაშების ჩატარება გადაწყდა ათენში, 1896 წელს, ხოლო შემდგომში, ძველი ბერძნული ტრადიციის თანახმად, ოთხ წელიწადში ერთხელ. პირველი ოლიმპიადის პროგრამაში კონგრესმა შეიტანა: მძლეოსნობა, ტანვარჯიში, ფარიკაობა, ჭიდაობა, სროლა, საიალქნო სპორტი, ნიჩბოსნობა, ველო, საცხენოსნო სპორტი და ჩოგბურთი.

* * *

და აი, 1896 წელს, 24 მარტიდან 3 აპრილამდე (ძვ. სტ.) ათენის სტადიონი თითქმის მუდამ სავსე იყო 80 ათასი მაყურებლით. ათენელთა ინტერესი ამ ასპარეზობისადმი კიდევ უფრო გაიზარდა, როცა მათმა თანამემამულემ უძნელეს შეჯიბრებაში — მარათონულ რბენაში — პირველი ადგილი მოიპოვა. გამარჯვებული — გლეხი, სახელად ლუისი, საბერძნეთის ეროვნულ გმირად გამოაცხადეს. დაფნის გვირგვინის გარდა მან მიიღო 25.000 ფრანკი, მამული ათენის ახლოს, რკინიგზაზე უფასო მგზავრობის უფლება მთელი სიცოცხლის მანძილზე, ხოლო ერთმა ათენელმა მკერავმა ლუისს შეთავაზა იმდენი კოსტუმის შეკერვა, რამდენსაც გამარჯვებული ისურვებდა. უნდა შევნიშნოთ, რომ შედეგს, რომელმაც ასეთი დიდება მოუპოვა პირველ ოლიმპიურ ჩემპიონს (2:55.20,0), ახლა ჩვენში ათეულობით მეორეთანრიგოსანი უჩვენებს ხოლმე.



სტადიონი მელბურნში, სადაც ჩატარდება XVI ოლიმპიური თამაშები.

ვახტანგ გორგანელი

## მას მშრომელებში შემოჰქონდა სიბრძნე ლენინის

დილაადრიან არ დარბოდნენ ბავშვები გარეთ,
არვინ იძახდა: — გაზეთი „ისკრა!“
ის უხილავად მშრომელების აღებდა კარებს,
ის მზის სხივივით მოჰყვებოდა ანთებულ ცისკარს.
ბოლმით ავსებდა მტრებს ლენინის სტრიქონის ბრწყინვა,
და ჯაშუშები ჭოტებივით ქუჩებში ისხდნენ.
როგორც მოღრუბლულ ზეცის ქუხილს მოსდევდა წვიმა
ასევე „ისკრის“ გამოჩენას მოსდევდა ციხე.
ხწვავდნენ და მაინც
არ იწვოდა მისი ფურცლები,
თხრიდნენ და მაინც
უკვდავების ნერგმა იხარა.
როგორც ლუკმა-პურს დაეძებდნენ ქვეყნად მუშები,
ასევე „ისკრას“ დაეძებდნენ წასაკითხავად.
გადადიოდა კარისკარად, როგორც თქმულება,
იყო იმედი,
იყო შუქი ბედით დევნილის.
მას მშრომელებში შემოჰქონდა თავისუფლება,
მას მშრომელებში შემოჰქონდა სიბრძნე ლენინის;
და მის შრიალში მომავალის რეკდნენ ზარები,
მის აზრში ჩანდა ხალხს რამდენი ტანჯვა არგუნეს.
ვით უდაბნოში მარტოდ შთენილს ცის ვარსკვლავები,
ასევე „ისკრა“ გზას უკვლევდა გზადაკარგულებს.
მან განა მარტო აუხილა პეტერბურგს თვალი,
მან განა მარტო მოსკოველებს სინათლე მისცა,
მისგან ნასროლი ნაპერწკლების ელვარე ალი
ქვეყნად რამდენი გამარჯვების სათავედ იქცა.
ის შრიალებდა
    ბაქოს კართან,
        თბილისის მკერდში,
მის ხმას იკრავდა დონისა და ამურის ტალღა,
ის შრიალებდა ცადაზიდულ კარპატის მთებში,
ის შრიალებდა ტიანშანის მწვერვალის მაღლა.
დილაადრიან არ დარბოდნენ ბავშვები გარეთ,
არვინ იძახდა: — გაზეთი „ისკრა!“
ის უხილავად მშრომელების აღებდა კარებს
და მზის სხივივით მოჰყვებოდა ანთებულ ცისკარს.

აკაკი გეწაძე

## მე გაგიფერე გუთანი

ჩემი ძმა ომში დაეცა,
ტყვიამ გაუჭრა მკერდი.
კერის ღადარზე ადუღდა
ცხარე ცრემლები დედის.
საცოლე ჩუმად წავიდა,
ჩაჯდა რიონის პირას
და თავის საქმრო ბედშავმა
ხმამაღლა დაიტირა.
ძმის სასახელო გუთანმა
ყური რომ მოჰკრა ტირილს,
ვით დაჭრილ ვაჟკაცს, სისხლისფრად
შემოეჟანგა პირი.
ეზოში დარდით წაიქცა
კაკლის ხე ძველთაძველი.
ბელლის კედელზე ჟანგისფრად
შემოისისხლა ცელი.
დარდი ჟანგია გულისა,
ასეა ჩვენში თქმული:
დედაჩემს გული გაუხდა
დარდისგან დაჟანგული.

გაველ, გავტეხე ყამირი,
გავფერე გუთნის პირი:
დედა კი, რა ვქნა, ყოველდღე
სახლში მალულად ტირის.
გაველ, გავპარსე სათიბი,
ავალაპლაპე ცელი.
დედას კი, რა ვქნა, თვალებზე
არა შორდება ცრემლი.
ძმაო, მზე ისევ კაშკაშებს,
შენ რომ გიყვარდა ძლიერ:
შენმა ძმობილმა ბიჭებმა
მომხდურ დუშმანებს სძლიეს.
ჩემს გულში მზისებრ ანთია
შენი სიცოცხლე წრფელი:
მე გაგიფერე გუთანი,
მე გაგიფერე ცელი.
სიტყვა სიმღერად ვაქციე,
შენს სადიდებლად თქმული
და მხოლოდ ერთი ვერ შევძელ,
მორჩენა დედის გულის.

ზურაბ ლორთქიფანიძე

## ქუჩის საათები

ყოველი ქუჩის ბოლოში თითქმის,
თუ ცათამბჯენის შუბლზე დამდგარი,
ყველა საათი ჩვენს წამებს ითვლის
დროის მისანი და ალამდარი.

ისწრაფის მუდამ ამოდ ქღერადი
და მოწოლილი დროთა გრეხილი,
ისრების შავი სარეკელათი
ცვივა წუთებად ჩამოღერღილი.

გარემოცულებს მარადი მიზნით
ჩვენც მიგვაჩქარებს ნათელ დღიანებს.
დროჟამს მიაპობს პირბასრი ისრით,
თეთრ ციფერბლატზე წამი ფრთხიალებს.

გულანთებული სიცოცხლის ეშხით
მივყვები ქუჩას ნაცრისფერ ქვიანს,
და ყველა ისრის ჩურჩულში მესმის,
— იჩქარე, ვიდრე არ არის გვიან.

ილია აროსია

## მე მისი ელვის ვარ ქრუანტელი

მუდამ რომ მახლავს მისი ნათელი,
სიცოცხლის წყაროს თუკი ვუწოდებ,—
ის იყოს ელვა, მე ქრუანტელი
და ჩემს განთიადს წინ მიუძღოდეს!...

...მან მაგრძნობინა ნამდვილი ფასი
წუხილისა და სიამის ცრემლის,
სულზე ტკბილი და მეტად ლამაზი,
მან შემაყვარა სამშობლო ჩემი!

ვდგავარ და ვგავარ ანთებულ ასანთს,
გულიც ნაკვერცხალს დამგვანებია

და, ვამბობ:—ქვეყნად, აქამდე, არსად,
ასე, არავინ არ მყვარებია!

მას კვირტებიდან გამოჰყავს დილა
და შვების სხივებს მფენს და... უთქმელი
მეც მიტომ ფრთხილად, გამოყოფილად
და აგრე თბილად ვესათუთები.

ჩემს გულში რომ დგას მისი ნათელი,
მას დიდ ღირსებას თუკი ვუწოდებ,
მსურს ჩემს არსებას წინ მიუძღოდეს,
მე მისი ელვის ვარ ქრუანტელი!

# თედო სახოკია



თედო სახოკია მრავალმხრივი მოღვაწე იყო. ის იყო მთარგმნელი, ჟურნალისტი, ეთნოგრაფი, ლექსიკოგრაფი. მართალია მას არ გაუვლია სპეციალური ლინგვისტური ან ეთნოგრაფიული მეცნიერული სკოლა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სახოკიამ ჩვენში ამ დარგების განვითარებას თვალსაჩინო ამაგი დასდო. თედო სახოკიას საფუძვლიანი საუნივერსიტეტო განათლება ჰქონდა მიღებული, კარგად იცნობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეს და ძვირფასი მასალა შეაგროვა ჩვენი ეთნოგრაფიული ყოფის და დიალექტური ლექსიკის შესასწავლად.

თედო სახოკია საუკეთესო მთარგმნელად არის აღიარებული. მან გადმოაქართულა რუსული და უცხოური კლასიკური ლიტერატურის არა ერთი და ორი ნიმუში. ასეთებია, მაგალითად ვიქტორ ჰიუგოს „სიკვდილმისჯილის უკანასკნელი დღე“, ვოლტერის „უმანკო“, ვაზოვის „დამონებულნი“, მოპასანის მოთხრობები, ბოკაჩოს „დეკამერონი“, ანრი ბარბიუსის „ცეცხლი“ და მრავალი სხვ.

ცხრაასიან წლებში ცალ-ცალკე იბეჭდებოდა და რამდენიმე წლის წინათ ერთ წიგნად გამოიცა თედო სახოკიას „მოგზაურობანი“, რომელშიც მოცემულია მე-19 საუკუნის მიწურულის გურია-აჭარა-სამურზაყანო-აფხაზეთის აღწერა. გადაუჭარბებლივ შეიძლება ითქვას, რომ თ. სახოკიას „მოგზაურობანი“ ნიმუშია ქართული დოკუმენტური პროზისა. აქ მხატვრული გემოვნებითა და ზომიერებით გადმოშლილია ზემოხსენებული კუთხეების ცხოვრება, ყოფითი რეალიები, კოლორიტი, ბუნების აღწერა... ახლახან საბლიტგამის მიერ გამოქვეყნებული წიგნი „როგორ ვიზრდებოდით ძველად“ ქართული მემუარული ლიტერატურის შენაძენია; იგი მდიდარ მასალას იძლევა საქართველოში სახალხო განათლების ისტორიისათვის.

ქართული ლექსიკოლოგიის ისტორიაში თვალსაჩინო ადგილს დაიჭერს თ. სახოკიას კაპიტალური სამტომიანი ნაშრომი „ქართული ხატოვანი სიტყვათქმანი“. აქ წარმოდგენილია ქართული ლექსიკის ერთ-ერთი უმდიდრესი უბანი—ფრთოსანი სიტყვები და გამოთქმები, იდიომატური გამოთქმები, ქართული ფრაზეოლოგიის საინტერესო მასალა.

საგანგებო ნაშრომი უძღვნა თ. სახოკიამ „ვეფხისტყაოსნის“ ფიგურალურ სიტყვებსა და გამოთქმებს („ვეფხისტყაოსნის“ ფიგურალური სიტყვანი და გამოთქმანი“, 1938 წ.). ავტორს ამოუკრეფია რუსთაველის პოემიდან ისეთი, ხატოვანი სიტყვა-გამოთქმები, რომლებიც გადატანითი მნიშვნელობით იხმარებაან და მათი პირდაპირი მნიშვნელობით გაგება შეიძლება იყოს გაუგებრობის წყარო.

თედო სახოკია ეკუთვნის ჩვენი ახლო წარსულის იმ მოღვაწეთა რიგს რომლებიც დაუცხრომლად ზრუნავდნენ ქართული ენის სიწმინდის დასაცავად. იგი არა მხოლოდ თავისი ბრწყინვალე თარგმანებით ემსახურებოდა ქართული სალიტერატურო ენის განვითარებასა და დადგენას, არამედ ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა თეორიულ წერილებსაც, სადაც აღძრული იყო სალიტერატურო ენის მტკივნეული საკითხები. გამოირჩევა განსვენებულის რამდენიმე ფელეტონი (სათაურით: „ქართული ენა — თანამედროვეთა ლაპარაკი და წერა“), რომლებიც დაიბეჭდა „სახალხო გაზეთში“ 1911 წელს. წერილების ამ სერიაში ავტორი ეხება ქართული ენის მორფოლოგიის ბევრ საჭირბოროტო საკითხს. ანალიზს უკეთებს ქართული ზმნის დამახინჯების ნიმუშებს და ასაბუთებს მის სწორ, დაწერილობას. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ნაშრომის ის ნაწილი, რომელიც შეიცავს ქართული წინადადების კონსტრუქციის დამახინჯებათა მეტად საგულისხმო მაგალითებს.

თედო სახოკია გამსჭვალული იყო ქართველი ხალხის უსაზღვრო სიყვარულით, მან თავისი წვლილი შეიტანა — პრაქტიკული მოღვაწეობით ჩვენი ხალხის ეროვნული გამოფხიზლების დიად საქმეში. განსვენებული, როგორც პოლიტიკური მოღვაწე, არა ერთხელ მოსწყვიტეს თავის სამშობლოს ცარიზმის აგენტებმა და შორეულ უცხოეთში გადახვეწეს. მიუხედავად ამისა, მასში არასოდეს არ განელებულა საბრძოლო სულისკვეთება, იგი მოესწრო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას, როდესაც ქართველ ხალხს მიეცა შემოქმედებითი ცხოვრების მანამდე არნახული შესაძლებლობანი. თედო სახოკია ქართული საბჭოთა კულტურის აღორძინების მონაწილეც იყო.

თედო სახოკია გარდაიცვალა ამა წლის 17 თებერვალს 88 წლის ასაკში. დაკრძალულ იქნა ქართველ მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

შ. ძიძიგური



# არაბული აღმოსავლეთი ჰგმობს კოლონიალიზმს

მიმდინარე წლის პირველ თებერვალს გამოქვეყნდა ამერიკის შეერთებული
შტატების პრეზიდენტის ეიზენჰაუერისა და ინგლისის პრემიერ-მინისტრის
იდენის ერთობლივი განცხადება ინგლის-ამერიკის ვაშინგტონის მოლაპარაკე-
ბათა შედეგების შესახებ, რომელშიაც გათვალისწინებულია ზოგიერთი ერთობ-
ლივი ღონისძიებების გატარება, რაც აშკარა საფრთხეს შეუქმნის ახლო და
შუა აღმოსავლეთის ქვეყნების ეროვნულ დამოუკიდებლობასა და სუვერენი-
ტეტს. როგორც ამ ერთობლივი განცხადებიდან ჩანს, ვაშინგტონის თათბირის
მონაწილეებს განზრახული აქვთ თავიანთი საჯარისო შენაერთების გაგზავნა
არაბული აღმოსავლეთის ქვეყნებში, ისრაელსა და არაბულ სახელმწიფოთა
შორის არსებულ დაძაბულ მდგომარეობის „მოწესრიგების“ საბაბით. ამასთან,
იმპერიალისტები იმოწმებენ ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთე-
ბული შტატების 1950 წლის 25 მაისის სამმხრივ დეკლარაციას, რომელიც, მათი
მტკიცებით, უფლებას აძლევთ მათ მიიღონ ხსენებული ღონისძიება.

სავსებით ნათელია, რომ არაბული აღმოსავლეთის ქვეყნების ტერიტორია-
ზე უცხოეთის სახელმწიფოთა ჯარების შეყვანა აშკარად ეწინააღმდეგება
მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს და შექმნის საშიში შეხლა-შემოხლისა
და დაძაბულობის კერას მთელს ახლო და შუა აღმოსავლეთში. ამერიკა-
ინგლისის ეს განზრახვა იმ აგრესიული სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების შე-
კოწიწების პოლიტიკის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს, რომლის შედე-
გადაც შეკოწიწდა ყბადაღებული ბაღდადის პაქტი.

ტერმინი „არაბული აღმოსავლეთი“ გულისხმობს ახლო აღმოსავლეთისა და
ჩრდილოეთ აფრიკის იმ ქვეყნებს, რომელთა მოსახლეობა არაბულ ენაზე
მეტყველებს. არაბულ აღმოსავლეთს მიეკუთვნებიან თვით არაბეთის ნახევარ-
კუნძულის ქვეყნები: საუდიეს არაბეთი, იამანი, ომანი, კუვეიტი, ადენი, კატარი
და ბაჰრეინის კუნძულები; აგრეთვე სირია, ლიბანი, ერაყი, იორდანია, ეგვი-
პტე, სუდანი, ლიბია, ტუნისი, ალჟირი და მაროკო. არაბული აღმოსავლეთის
მოსახლეობის საერთო რიცხვი ას მილიონს აღწევს. მსოფლიოს ეს რაიონი
განსაკუთრებით მდიდარია ნავთობის საბადოებით. დღეისათვის არაბულ აღმო-
სავლეთის ნავთობის მარაგი მთელი კაპიტალისტური სამყაროს მარაგის ორ
მესამედს აღწევს, რაც იწვევს იმპერიალისტთა აღვირახსნილ აგრესიას და უც-
ხოეთის მონოპოლიების მწვავე კონკურენციას არაბულ ქვეყნებში გავლენის
სფეროების მოსაპოვებლად.

არაბული აღმოსავლეთის პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრს დღეისათ-
ვის წარმოადგენს ეგვიპტე, რომლის მოსახლეობა 22 მილიონს აღწევს. უკა-
ნასკნელი 70 წლის მანძილზე ეგვიპტე დიდი ბრიტანეთის კოლონიას წარმოად-
გენდა. ეგვიპტელი ხალხის გმირული ანტიიმპერიალისტური ბრძოლის შედე-
გად 1951 წელს ეგვიპტის პარლამენტმა გააუქმა ინგლის-ეგვიპტის 1936 წლის
არათანასწორუფლებრივი ხელშეკრულება და 1899 წლის კონვენცია სუდანის
შესახებ, რომელნიც ეგვიპტისა და სუდანის მიმართ ინგლისის სამხედრო-
პოლიტიკური ბატონობის იარაღს წარმოადგენდნენ. ეგვიპტელმა ხალხმა გა-
დაჭრით მოითხოვა ინგლისის საოკუპაციო ჯარების გაყვანა სუეცის არხის
მიდამოებიდან. ეგვიპტეში შეიქმნა მუშების, გლეხების, მოსწავლე ახალგაზრ-
დობის, ინტელიგენციისა და ეროვნული ბურჟუაზიის ერთიანი ანტიიმპერია-
ლისტური ფრონტი, რომელსაც გადამწყვეტ მომენტში ეგვიპტის ეროვნული
არმიაც შეუერთდა. 1952 წლის ზაფხულზე ხალხმა დაამხო მონარქიული რეჟიმი
და განდევნა ეგვიპტის უკანასკნელი მეფე, ინგლისის იმპერიალისტთა პირ-
წავარდნილი აგენტი, ფარუკი. ეგვიპტე დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოც-
ხადდა. ახალი კონსტიტუციის მიღებამდე ქვეყნის მმართველობა დროებით
გადაეცა ე. წ. „ხელმძღვანელ რევოლუციურ საბჭოს“, რომელიც, ძირითადად,
პატრიოტულად განწყობილი ეგვიპტელი ოფიცრებისაგან შესდგება.

ეგვიპტის ახალი მთავრობა მთელ რიგ ღონისძიებებს ატარებს ქვეყნის
ეროვნული მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სახელ-
მწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცების მიზნით. მეფე ფარუკისა და
მისი საგვარეულოს ყოფილი მამულები სახელმწიფო საკუთრებად გამოცხად-
და; გაუქმდა ფაშების წოდება; ტარდება აგრარული რეფორმა, რომელიც ით-
ვალისწინებს მსხვილი მიწათმფლობელობის საგრძნობ შეზღუდვას; ეგვიპტის
მთავრობა, რომელსაც სათავეში უდგას პოლკოვნიკი გემალ აბდულ-ნასერი, გადა-
მჭრელ ზომებს იღებს, რათა მიაღწიოს ქვეყნის მეურნეობის აღორძინებას და
ყოველმხრივ უწყობს ხელს ეროვნული მრეწველობის განვითარებას. ამ მიზ-
ნით უკანასკნელი წლების მანძილზე ეგვიპტე მტკიცე სავაჭრო და ეკონომიურ
ურთიერთობას ამყარებს სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან. დღეისათვის
ეგვიპტეს სავაჭრო-ეკონომიური ხელშეკრულებები დადებული აქვს საბჭოთა
კავშირთან, ჩინეთთან, ჩეხოსლოვაკიასთან, უნგრეთთან, პოლონეთთან, რუმი-
ნეთთან და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან. თავის სასოფლო-სა-
მეურნეო პროდუქციის სანაცვლოდ ეგვიპტე ამ ქვეყნებში ყიდულობს მისთვის
მეტად საჭირო სამრეწველო მოწყობილობას, მანქანა-იარაღებს, ლითონის
ნაწარმს, სამედიცინო პრეპარატებს და მოწყობილობას და სხვ. თანახმად
ამას წინათ ხელმოწერილი ხელშეკრულებისა ატო-
მური ენერგიის მშვიდობიანი მიზნებისათვის გამო-
ყენების მიზნით საბჭოთა კავშირი აუშენებს ეგ-
ვიპტეს ატომგულის ფიზიკურ ლაბორატორიას.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ეგვიპტის
მთავრობის გადაწყვეტილება — თავისი ეროვნული
დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით შეი-
ძინოსს სამხედრო საჭურველი და იარაღი ჩეხო-
სლოვაკიასა და ჩინეთის სახალხო რესპუბ-
ლიკაში. ეს ღონისძიება უთუოდ შეუწყობს ხელს
ეგვიპტის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შემდგომ განმტკიცებას.

ეგვიპტელი და სუდანელი ხალხების ერთობლივი ეროვნულ-განმათავისუფ-
ლებელი ბრძოლის შედეგად დამოუკიდებლობა მოიპოვა აგრეთვე სუდანმა,
რომელიც სამოცი წლის მანძილზე გმინავდა ინგლისელ კოლონიზატორთა
ბატონობის უღელქვეშ. 1955 წლის დეკემბერში სუდანი გამოცხადდა დამოუ-
კიდებელ რესპუბლიკად. ამასთან დაკავშირებით სუდანის პრემიერ-მინისტრმა
პროფესორმა ისმაილ ალ-აზჰარიმ განაცხადა რომ, საგარეო პოლიტიკის საკით-
ხებში სუდანი მტკიცედ ითანამშრომლებს ეგვიპტესთან, და, რომ სუდანი,
ისევე როგორც ეგვიპტე და სხვა არაბული ქვეყნები, გმობს აგრესიული
სამხედრო-პოლიტიკური ბლოკებისა და პაქტების შექმნის პოლიტიკას. სუდა-
ნის დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადების ფაქტი მშვიდობისა და
თავისუფლებისმოყვარე ხალხების მორიგ გამარჯვებას წარმოადგენს და
ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ კოლონიალიზმმა კიდევ ერთი, მორიგი
მარცხი განიცადა.

სირიისა და ლიბანის ხალხთა ერთსულოვანი მოთხოვნისა და გმირული
ანტიიმპერიალისტური ბრძოლის შედეგად კოლონიზატორები იძულებულნი
იყვნენ გაეუქმებინათ 1946 წელს საფრანგეთის მანდატი სირიასა და ლიბანზე
და გაეყვანათ თავიანთი საოკუპაციო ჯარები ამ ქვეყნების ტერიტორიებიდან.
სირია და ლიბანი დამოუკიდებელ რესპუბლიკებად გამოცხადდნენ. 1949-1951
წლების მანძილზე ამერიკა-ინგლისის იმპერიალისტთა აშკარა ხრიკებისა და
ჩარევის შედეგად სირიაში ოთხჯერ მოხდა სახელმწიფო გადატრიალება, რის
შედეგადაც ქვეყანაში დამყარდა ამერიკული ორიენტაციის სირიელი პოლ-
კოვნიკის ადიბ შიშეკლის სამხედრო-პოლიციური დიქტატურა. იპერიალისტთა
აგრესიულ ხრიკებს სირიელმა ხალხმა ერთიანი ანტიიმპერიალისტური ფრონ-
ტის შექმნით უპასუხა, რომელმაც ქვეყნის პატრიოტული ძალები გააერთიანა.
1954 წელს სირიელმა ხალხმა დაამხო პოლკოვნიკ ადიბ შიშეკლის დიქტატუ-
რა, აღადგინა ქვეყანაში დემოკრატიული წყობილება და წარმატებით განაგრ-
ძობს ბრძოლას ეროვნული დამოუკიდებლობისა და მშვიდობის განმტკიცები-
სათვის. უკანასკნელმა საპარლამენტო არჩევნებმა სირიაში (1954 წ.) ცხადჰყვეს
დემოკრატიული ძალების მორიგი გამარჯვება. აღსანიშნავია, რომ ამ არჩევ-
ნების დროს, პირველად არაბული აღმოსავლეთის ისტორიაში, პარლამენტში
არჩეული იქნა დეპუტატი — კომუნისტი.

არაბულმა ქვეყნებმა გადაჭრით დაჰგმეს ნური საიდის მთავრობის გადაწ-
ყვეტილება ბაღდადის პაქტთან შეერთების შესახებ და თავიანთი ერთსულო-
ვანი გადაწყვეტილებით გარიცხეს ერაყი არაბულ სახელმწიფოთა ლიგის
შემადგენლობიდან.

გასული წლის დეკემბერში იმპერიალისტებმა სცადეს ძალით ჩაეთრიათ
ბაღდადის ბლოკში იორდანია. ეს პატარა არაბული ქვეყანა, რომლის მოსახ-
ლეობა სულ 1.350 ათას სულს შეადგენს, არაბული აღმოსავლეთის შუაგულში
მდებარეობს და მისი ჩათრევა ბაღდადის აგრესიულ პაქტში საშუალებას
მისცემდა იმპერიალისტურ სახელმწიფოებს გაეძლიერებინათ თავიანთი ზემო-
ქმედება სირიაზე, ეგვიპტეზე, საუდიეს არაბეთზე და სხვა არაბულ ქვეყნებზე.
მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ინგლის-ამერიკის იმპერიალისტებს იორდა-
ნიაში გავლენიანი სანდო პირები ჰყავდათ, ე. წ. „არაბული ლეგიონის“ მთა-
ვარსარდლის — ინგლისელი გენერლის ჯონ ბაგოტ გლაბ-ფაშას სახით, მათ
ვერ შესძლეს თავიანთი აგრესიული ზრახვების განხორციელება, რადგანაც
იორდანიის ხალხის თავდადებულმა ანტიიმპერიალისტურმა ბრძოლამ სრული
თანაგრძნობა და მხარდაჭერა ჰპოვა მთელს არაბულ აღმოსავლეთში. იორდანე-
ლი ხალხის ერთსულოვანი მოთხოვნით გენერალ ჯონ გლაბი და „არაბულ
ლეგიონში“ მყოფი სხვა ინგლისელი ოფიცრები გადააყენეს და განდევნეს
იორდანიიდან.

მარცხი განიცადა აგრეთვე იმპერიალისტთა ცდებმა ეგვიპტე-ისრაილისა
და სირია-ისრაილის საზღვრებზე პროვოკაციული სამხედრო ინციდენტე-
ბის მოწყობით აეძულებინათ სირიისა და ეგვიპტის მთავრობები შეერთე-
ბოდნენ ბაღდადის აგრესიულ ბლოკს. ეგვიპტემ, სირიამ, ლიბანმა და საუ-
დიეს არაბეთმა დასდეს ურთიერთდახმარების ხელშეკრულებები, რომე-
ლიც დაუპირისპირეს ბაღდადის ბლოკს. მათ თავიანთი დახმარება შესთავა-
ზეს აგრეთვე იორდანიას, რათა ხელი შეუშალონ კოლონიზატორთა ზემოქმე-
დებას ამ ქვეყანაზე და ხელი შეუწყონ იორდანიის დამოუკიდებლობის განმტ-
კიცებას.

იორდანიის ამბებმა ნათელჰყო, რომ არაბული აღმოსავლეთი გადაჭრით
გმობს ბაღდადის პაქტს, კოლონიალიზმის ამ უახლეს სახესხვაობას ახლო და
შუა აღმოსავლეთში. ხედავენ რა, რომ აგრესიული სამხედრო-პოლიტიკური
ბლოკების შეკოწიწების პოლიტიკამ სამარცხვინო მარცხი განიცადა, და, რომ,
ყბადაღებული ბაღდადის პაქტი შესაძლოა „საპნის ბუშტივით გასკდეს“,
ამერიკა-ინგლისის იმპერიალისტები ლამობენ თავიანთი შეიარაღებული ძალე-
ბის შეყვანით შეუშალონ ხელი არაბული ქვეყნების დამოუკიდებელ განვითა-
რებას და შეინარჩუნონ იქ თავიანთი პოზიციები. არაბული აღმოსავლეთის
ხალხები გმობენ იმპერიალისტთა ამ აგრესიულ ზრახვებს და მტკიცედ ილაშქ-
რებენ მათ საშინაო საქმეებში უცხოელ კოლონიზატორთა ჩარევის წინააღმდეგ.

1956 წლის თებერვალში სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ
სპეციალური განცხადება გამოაქვეყნა ახლო და შუა აღმოსავლეთში ინგლის-
ამერიკის ღონისძიებათა შესახებ, რომელშიაც ნათქვამია, რომ „ისეთი აქტი,
როგორიც არის უცხოეთის ჯარების შეყვანა ახლო და შუა აღმოსავლეთის
ქვეყნების ტერიტორიებზე, ისე რომ ამაზე არ იყოს დაინტერესებულ სახელ-
მწიფოთა თანხმობა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების
საბჭოს, როგორც ისეთი ორგანოს სანქცია, რომელსაც მთავარი პასუხისმგებ-
ლობა ეკისრება მშვიდობის დაცვისათვის, გაერთიანებული ერების ორგანიზა-
ციის წესდებისა და მთელი რიგი ქვეყნების სახელმწიფო სუვერენიტეტის
უხეში დარღვევა იქნებოდა“.

არაბული ქვეყნების ხალხები დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ სსრ კავში-
რის საგარეო საქმეთა სამინისტროს ამ განცხადებას, რომელმაც კიდევ ერთ-
ხელ ცხადჰყო, რომ საბჭოთა კავშირი ყოველმხრივ თანაუგრძნობს არაბული
აღმოსავლეთის ხალხთა ბრძოლას ეროვნული დამოუკიდებლობისა და მშვი-
დობის მოსაპოვებლად.

არაბული აღმოსავლეთის ხალხთა ბრძოლა თავიანთი ეროვნული დამოუკი-
დებლობისათვის წარმოადგენს იმ ძვირფას წვლილს, რომელიც ამ ხალხებს
შეაქვთ მთელს მსოფლიოში უშიშროე-
ბის უზრუნველყოფისა და მშვიდობის
განმტკიცების კეთილშობილურ საქ-
მეში.


**შოთა კურდღელაშვილი**

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი














# ჩეხოსლოვაკიაში

დოც. პ. წულუკიძე

საბჭოთა დელეგაცია, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორების — ვ. სტოლნიკოვის, ს. შესტოპეროვისა და პ. წულუკიძის შემადგენლობით, პრაღაში გაემგზავრა ჰიდროტექნიკური ბეტონის საკითხებზე საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად. ჩვენ ვმგზავრობდით მოსკოვი-პრაღის მატარებლით. ამ ორ ქალაქს შორის მანძილის დაფარვას სამი დღე-ღამე სჭირდება. ორი — საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, დაახლოებით 18 საათი კი — ჩეხოსლოვაკიის მიწაზე. სასაზღვრო პუნქტში ჩვენი ვაგონი მაღლა ასწიეს და მოკლე ღერძიან ბორბლებზე დააყენეს, რადგან რკინიგზის ხაზი საბჭოთა კავშირში უფრო ფართოა, ვიდრე — ევროპაში. დილის ექვს საათზე მატარებლიდან უკვე შეიძლებოდა ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიის დათვალიერება. იგი ძალზე წააგავს ზემო იმერეთის რელიეფს და საკმაოდ დაქსელილია რკინიგზის ხაზით. ჩვენ გავიარეთ ქალაქები — კოშიცა, ჟილინა, ოლემოუცა, გარდუბიცა და ღამის 12 საათზე პრაღაში ჩავედით. სადგურზე შეგვხვდა პროფესორი ბ. ჰაცარი და სხვადასხვა ორგანიზაციათა და ინსტიტუტთა წარმომადგენლები, სასტუმროში კი — ჩეხოსლოვაკიის აკადემიის პრეზიდიუმის წარმომადგენელი — სლობოდა, რომელიც, ჩემდა გასაკვირველად, ქართულად მომესალმა: „გამარჯობა, ბატონო წულუკიძე". ვკითხე, კარგად ფლობდა თუ არა ქართულ ენას. „სამწუხაროდ, არა — მიპასუხა მან, — მაგრამ ცოტ-ცოტას ვლაპარაკობ, რადგან ჩვენს მეცნიერებათა აკადემიაში ხშირად ჩამოდიან საქართველოდან. მაგალითად, ამ ზაფხულს პრაღაში ტარდებოდა საერთაშორისო კონფერენცია დრეკადობის თეორიის საკითხებზე, ჩვენ მოვიწვიეთ აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი და პროფესორი ი. ვეკუა. სამწუხაროდ, მხოლოდ ვეკუა ჩამოვიდა. წელს თქვენ მეორე ქართველი სტუმარი ხართ".

მეორე დღეს საბჭოთა საელჩოში და საკონსულოში ვიზიტის შემდეგ, ჩვენ გავიცანით საზღვარგარეთიდან ჩამოსული ზოგიერთი პროფესორი.

ჩვენი კონფერენცია ლიუბლიცის სასახლეში მუშაობდა. ეს სასახლე, რომელიც პრაღიდან 30-35 კილომეტრითაა დაშორებული, საკმაოდ დიდი და კეთილმოწყობილია. იგი ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს ეკუთვნის.

კონფერენციის პირველ დღეს ჩვენ გავიცანით

---

დასასრული. იხ. ჟურნ. „დროშა" № 3.

სტუმრები და ჩეხოსლოვაკიის აკადემიისა და სამინისტროების ოფიციალური პირები. კონფერენციაზე ჩამოვიდნენ ისეთი ცნობილი სპეციალისტები, როგორიცაა პროფესორი როში (შვეიცარია), სტეოპოე, ცოლაკოლო (რუმინეთი). კონფერენციის გახსნისას სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა, ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი და თეორიული მექანიკის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ბ. ჰაცარმა აღნიშნა დიდი მნიშვნელობა კონფერენციისა, რომელიც ხელს შეუწყობს აზრთა გაცვლა-გამოცვლას სხვადასხვა ქვეყნებში მომუშავე მეცნიერებს შორის.

კონფერენციამ რამდენიმე დღეს გასტანა. მომხსენებლებს შეკითხვას არ აძლევდნენ, სამაგიეროდ სპეციალურად დანიშნულ დროს ხდებოდა მოხსენებათა განხილვა. საღამოობით, ვახშმის შემდეგ, დაინტერესებული პირები მიმართავდნენ მომხსენებელთ სხვადასხვა საკითხის განსამარტავად.

კონფერენციამ 18 მოხსენება მოისმინა, მათ შორის 3—საბჭოთა სპეციალისტების — სტოლნიკოვის, შესტოპეროვისა და ამ სტრიქონების ავტორისა. ჩვენს მოხსენებებს მაღალი შეფასება მისცეს.

ჩემი მოხსენება ეხებოდა მსუბუქ ბეტონსა და რკინა-ბეტონს, რომლებიც მსოფლიო პრაქტიკაში პირველად იქნა გამოყენებული საქართველოსა და სომხეთის ჰიდროტექნიკურ ნაგებობებზე. ამ მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. მრავალმა სპეციალისტმა მომმართა შეკითხვით. კონფერენციის დამთავრების შემდეგ, ინჟინერთა საზოგადოების თავმჯდომარის თხოვნით, ჩვენ გავიმეორეთ ჩვენი მოხსენებები პრაღაში, ინჟინერთა ფართო აუდიტორიის წინაშე.

ერთ დღეს მე გამაცნეს მოხუცი ჩეხი მოქალაქე, რომელიც თურმე რევოლუციამდელ თბილისში ცხოვრობდა. მას აინტერესებდა საქართველოს ახალი მშენებლობანი, ქართველი სპორტსმენების მიღწევები. სხვათა შორის, მოიკითხა გ. ეგნატაშვილი და გ. ნიკოლაძე. მე ყველაფერი დაწვრილებით ვუამბე.

პრაღაში დავათვალიერეთ ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები. ვიყავით კინოში, თეატრში, ვარიეტეში. ყურადღებას იპყრობს ქალაქის სისუფთავე, ქუჩების სივიწროვისა და ტრანსპორტის სიმრავლის მიუხედავად — მოძრაობის მოწესრიგებულობა.

ქალაქის ცხოვრება ადრე იწყება. დილის 7 საათზე უკვე გახსნილია საკვები პროდუქტებისა და სამრეწველო მაღაზიები, აგრეთვე, სასაუზმეები. სამაგიეროდ მათ ადრე ხურავენ. სხვა მაღაზიებს 10-12 საათზე აღებენ და გვიან ჰკეტავენ. ღამის 10-11 საათისთვის ქალაქი წყნარდება. სამუშაო დღე ჩეხოსლოვაკიაში შაბათობით სხვა დღეებზე ადრე მთავრდება.

სავაჭრო ორგანიზაციები ჩეხოსლოვაკიაში განსაკუთრებულ ადგილს უთმობენ რეკლამებსა და მაღაზიათა ვიტრინების გაფორმებას, ეს ალამაზებს და აცოცხლებს ქუჩების ცხოვრებას. მაღაზიებში უხვადაა ფართო მოხმარების საგნები, საბავშვო სათამაშოები, საბურჭალო ნივთები. კარგადაა მოწყობილი კაფე, რესტორნები, სასაუზმეები, ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით წიგნის მაღაზიებს.

ჩეხოსლოვაკიაში კარგად არის დაყენებული ლუდის წარმოების საქმე. პილზენის ლუდს მსოფლიოში სახელი აქვს განთქმული. ნაციონალურ კერძად ითვლება შემწვარი ბატი, რომელსაც განსაკუთრებულ საწებელს უკეთებენ. გემრიელი და ნოყიერია პრაღული შაშხი.

ჩეხოსლოვაკიაში ბევრი ლაპარაკობს გერმანულად, ახალგაზრდობის უმეტესი ნაწილი ცდილობს ზედმიწევნით დაეუფლოს რუსულ ენას.

პროფესორმა ჰაცარმა და მისმა მოადგილემ ბ. კუნიცინმა, რომლებმაც კარგად იციან რუსული ენა, დიდი დახმარება გაგვიწიეს პრაღისა და რესპუბლიკის სხვა ქალაქთა ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერებისას. ჩვენ ვნახეთ პრაღის გრადი (კრემლი), როგორც ჩეხები უწოდებენ, ეს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ისტორიული ძეგლია. 930-იან წლებში აქ დაიწყეს წმინდა ვიტის ტაძრის მშენებლობა, საბოლოოდ კი 1929 წელს დაამთავრეს. 1000 წელიწადს აშენებდნენ ამ მონუმენტურ ძეგლს, რომელიც ულამაზესია ცენტრალურ ევროპაში.

IX საუკუნიდან დღემდე პრაღის კრემლი ჩეხეთისა და ჩეხოსლოვაკიის მთავრობის რეზიდენციად ითვლება. 1500 წელს აშენებულ ვლადისლავის დარბაზში ტარდებოდა სხვადასხვა საზეიმო დღესასწაულები; ჩეხოსლოვაკიის მეფეთა კურთხევა, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრემიერების კლემენტ გოტვალდისა და, მისი სიკვდილის შემდეგ, პრეზიდენტ ა. ზაპოტოცკის არჩევნები. ბრწყინვალეა XVI საუკუნეში აშენებული ესპანური დარბაზი, რომელმაც მრავალგზის რეკონსტრუქცია განიცადა, ახლა კი გაფორმებულია ახალ რენესანსულ სტილზე. მოოქროვილი კედლები და ჭერი, სარკეთა სიჭარბე, ეფექტური განათება (ჭაღებში სამი ათასზე მეტი ელნათურაა) დარბაზს დიდებულ შესახედაობას ანიჭებს. აქ ტარდება საზეიმო კრებები და ქვეყნის გამოჩენილ მუშაკთა დაჯილდოება.

პრაღაში მრავალი ისტორიული ძეგლია. შეიძლება ითქვას, რომ პრაღა ქალაქი-მუზეუმია.

ჩეხოსლოვაკიაში მოგზაურობისას ჩვენ ძირითადად ვათვალიერებდით დიდ ჰიდროცენტრალებისა და წყალდამჭერ კაშხალთა მშენებლობებს. თუკი სახალხო-დემოკრატიულ წესწყობილების დამყარებამდე ჩეხოსლოვაკიაში 5 ჰიდროსადგური



ბეტონის კაშხალი მდინარე ვაგზე.



ლიბლიცე მელნიკთან. ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემია (აგებულია 1699 წ.). ი. ე. პურკინიეს სახელობის მეცნიერ მუშაკთა სახლი.

იყო, რომელთაც 50 წლის განმავლობაში აშენებდნენ. (წყალსაცავთა საერთო მოცულობა 266 მლნ. კუბომეტრი) 1948 წლიდან დაწყებული საფუძველი ეყრება 12 დიდ ჰიდროსადგურის მშენებლობას მდინარე ვაგზე და ვლტავაზე (წყალსაცავთა საერთო მოცულობა 1 მლრ. კუბომეტრი). მათი ნაწილი უკვე ექსპლოატაციაში შევიდა.

ჰიდროსადგურთა დათვალიერებისას, ყველგან შეიმჩნევა ბეტონის სამუშაოთა წარმოების მაღალი კულტურა. სამშენებლო მოედნებზე გამეფებულია სისუფთავე და წესრიგი. დიდი კაშხალების მშენებლობისას ჩვეულებრივად მიღებულია ბეტონის ზონალობა. გარეთა ნაწილში ხმარობენ ცემენტით გამდიდრებულ ბეტონს — 260.280 კგ. კუბომეტრზე. შიდა ნაწილში კი — 160-180 კგ. $მ^3$-ზე. ცემენტის ასეთი მცირე ხარჯი მიიღება სუფთა ინერტიული მასალების 4-5 ფრაქციის გამოყენებით. ბეტონის ნარევში უმატებენ ჰაერწარმტან, პლასტიფიცირებულ მასალებს და აწარმოებენ ჩაყრილი ბეტონის ვიბრაციას.

მშენებლობებზე ყურადღებას იქცევს ადმინისტრაციული და ტექნიკური ხელმძღვანელობის ორგანიზაციის გამარტივებული სქემა. მაგალითად, ერთი მშენებლობის 250-300 მუშაზე 6 უფროსი მუშა მოდის. ადმინისტრაციულ მუშაკთა რიცხვი კი შედგება 3 ინჟინრისაგან, საშუალო განათლების მქონე 5 კაცისა და 10 ტექნიკური მუშაკისაგან. მშენებლობის აპარატში, როგორც წესი, არ შედიან ისეთი ტექნიკური მუშაკები, რომლებსაც იყენებენ მხოლოდ ცალკეულ, იზოლირებულ დავალებათა შესასრულებლად. მშენებლობებზე კარგადაა დაყენებული სამშენებლო ობიექტების ცალკეულ, წამყვან უბანთა ტელეფონიზაციის საქმე.

საკვლევო-სამეცნიერო ინსტიტუტთა ლაბორატორიები აღჭურვილია საზომი და საცდელი ხელსაწყოებით. ლაბორატორიებს ემსახურება კარგი საწარმოო ბაზები და დამხმარე სახელოსნოები. ინსტიტუტებში ჩამოყალიბებულია სპეციალური განყოფილებანი, რომლებიც აწარმოებენ მეტად მნიშვნელოვანი გამოკვლევებისა და მშენებლობის ფოტო და კინო გადაღებას. სამშენებლო და სამეცნიერო ორგანიზაციებში აღსანიშნავია დიდი ნდობა ხელმძღვანელ ტექნიკურ და მეცნიერ მუშაკთა მიმართ და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა ყოველი სამუშაოს შესრულებისას.

ჩვენ დავათვალიერეთ ზოგიერთი ისტორიული ადგილი, მათ შორის მნიშვნელოვანი იყო ორლიკის სასახლე, რომელიც 1948 წლამდე თავად შვარცენბურგებს ეკუთვნოდა. დღეს აქ მუზეუმია გახსნილი. სასახლეში, რომელიც აგებულია XII საუკუნეში მდინარე ვლტავის ვერტიკალურ კლდოვან ნაპირზე, მოწყობილია ბიბლიოთეკა-წიგნთსაცავი, მშვენივრადაა გაფორმებული რაინდის დარბაზი, 1912 წლის დროინდელი მუზეუმი, საიარაღო გამოფენა, მონადირეთა ოთახი, საძინებელი ოთახი, სასადილო და სხვ. მარტო ექვსი თვის განმავლობაში ეს სასახლე-მუზეუმი 60 ათასზე მეტმა კაცმა დაათვალიერა.

ჩეხოსლოვაკიაში ავტომანქანით ვმოგზაურობდით. კარგი გზატკეცილები საშუალებას იძლევა ზოგჯერ 100 კმ-ზე მეტი სიჩქარე განავითარო საათში. ჩეხოსლოვაკიაში ჩამოსულ უცხოელთა უმეტესობა საქვეყნოდ ცნობილ სამკურნალო კურორტის კარლოვი ვარის დასათვალიერებლად მიისწრაფის. კურორტი მდებარეობს პრაღის დასავლეთით, 150-160 კმ-ის მანძილზე. კარლოვი ვარი სამკურნალო წყლებითაა სახელგანთქმული. კურორტი გაშენებულია ლამაზ ხეობაში, სადაც მიედინება პატარა მდინარე. მის ორივე ნაპირზე აღმართულია სამი, ოთხი და ხუთსართულიანი სამკურნალო შენობები — სანატორიუმები და სასტუმროები, აგრეთვე, საცხოვრებელი სახლები. კარლოვი ვარში მრავალი ავადმყოფი ჩამოდის ევროპულ ქვეყნებიდან, მათ შორის, საბჭოთა კავშირიდანაც.

კარლოვი ვარის მოშორებით მდებარეობს განთქმული შუშა-ბროლის ქარხანა. სამწუხაროდ, ჩვენ გვიან მივედით მის დასათვალიერებლად, ქარხანას უკვე დაემთავრებინა მუშაობა. სამაგიეროდ მივუსწარით ქარხნის დირექტორს, რომელმაც კარგად მიგვიღო და თვითონვე გაგვიძღვა საამქროთა გასაცნობად. ქარხანაში 300-ზე მეტი მხატვარი მუშაობს, თქვა დირექტორმა, ისინი მხოლოდ შუშისა და ბროლის მხატვრული ნივთების შესაქმნელად მუშაობენ. სადნობ, საჩამომსხმელო, მხატვრული გაფორმებისა და სხვა საამქროებში მაღალკვალიფიციური ოსტატები მუშაობენ. ისინი ქმნიან, როგორც სახმარ, აგრეთვე, სასამკაულო ძვირფას ნაკეთობებს. საამქროს ოსტატთა შორის რაციონალურადაა განაწილებული შრომა. ყოველ ოსტატს აყვანილი ჰყავს ნიჭიერი ახალგაზრდა შეგირდები. დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ქარხნის ნაკეთობათა გამოფენამ, იმდენად დიდი, რომ ორჯერ დავათვალიერეთ.

პროფ. ბ. ჰაცარი (მარჯვნივ) და დოც. პ. წულუკიძე ორლიკის ციხე-კოშკთან.





ჩვენს გამომგზავრებამდე პრაღაში გაიხსნა ცეისის საზომ-ხელსაწყოთა გამოფენა. ფირმამ წარმოადგინა თანამედროვე საზომი და ოპტიკური ხელსაწყოები. ეს გამოფენა მაჩვენებელია იმისა, თუ რა წინ წავიდა საზომ და საგამოკვლევო აპარატურათა დამზადების საქმე. კარგადაა გამოყენებული ფიზიკის უკანასკნელი მიღწევები ხელსაწყოთა მოსახერხებელი კონსტრუქციული ფორმის შექმნისას.

ერთ საღამოს, სასტუმროს კაფეში, სრულიად შემთხვევით შევხვდით კინოფესტივალში მონაწილე საბჭოთა დელეგაციის წევრებს. ისინი უკვე რამდენიმე დღე იმყოფებოდნენ პრაღაში და ამიტომ დიდი ინტერესით ისმენდნენ ჩემგან საქართველოსა და მოსკოვის ახალ ამბებს. შეხვედრა მეტად თბილი და მხიარული იყო. ჩვენ ერთად წავედით კინოსტუდიაში, ვნახეთ საზღვარგარეთული ფილმები.

პრაღიდან გამომგზავრებამდე გვაცნობეს, რომ ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ზ. ნეედლი გამოჯანმრთელდა და მიიღებს ჩვენს დელეგაციას. პროფესორმა ბ. ჰაცარმა პრეზიდენტთან წარგვადგინა. საუბარში ზ. ნეედლი იხსენებდა ლენინგრადის ისტორიულ ადგილებს, ერმიტაჟის სიმდიდრეს, ქალაქის სხვადასხვა მუზეუმს. მოსკოვი, თქვა მან, მთელი პროგრესული კაცობრიობის იმედია. ტკბილად იგონებდა თბილისს. განმაცვიფრა და გამახარა იმ დაწვრილებითმა ფაქტებმა, რაც მან საქართველოს შესახებ იცოდა. ვკითხე, ნამყოფია თუ არა საქართველოში. გაეღიმა და თქვა, რომ საქართველოში სამჯერ ყოფილა. „პირველად — 50 წლის წინათ — მე მოვიარე საქართველო არა ისე, როგორც დღევანდელი სტუმრები მოგზაურობენ ავტომანქანებით; ორჯონიკიძიდან დაწყებული ცხენით გავყევი საქართველოს სამხედრო გზას. ზედმიწევნით გავეცანი საქართველოს სხვადასხვა ღირსშესანიშნავ რაიონებს. მეორედ და მესამედ კი თქვენს ქვეყანას 1947-50 წ. წ. ვესტუმრე. საქართველო დიდი კულტურის ქვეყანაა. ეს მცირერიცხოვანი ხალხი ერთი იმ უძველეს ერთაგანია, რომელმაც შრომისმოყვარეობისა და თავდაცვისუნარიანობის წყალობით, დღევანდელ ეპოქამდე შეინარჩუნა თავისი სახე და ამ პატარა ქვეყანამ არა ერთი გამოჩენილი ადამიანი მისცა კაცობრიობას“.



მიუხედავად მოხუცებულობისა, პრეზიდენტი მეტად ცოცხლად და ენერგიულად გვებაასებოდა. მან მადლობა გამოთქვა საბჭოთა კავშირის მთავრობის მიმართ კონფერენციაზე სპეციალისტთა მივლინებისათვის. ხაზი გაუსვა აზრთა გაცვლა-გამოცვლის მნიშვნელობას, ჩეხოსლოვაკელ სპეციალისტებისთვის იმ დიდი გამოცდილების გაზიარებას, რაც საბჭოთა კავშირს აქვს ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობის საქმეში. ბოლოს მან აღნიშნა, რომ ჩეხოსლოვაკია, შედარებით პატარა ქვეყანა ევროპისა, თავისი არსებობის მანძილზე მრავალჯერ იყო დამონებული და დაჩაგრული დამპყრობლების მიერ. მაგრამ ჩეხოსლოვაკელმა ხალხმა შრომისმოყვარეობისა და დიდი პატრიოტიზმის წყალობით, სამშობლოს სიყვარულის წყალობით, შეინარჩუნა ეროვნული ფორმა. ამ საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვის საბჭოთა ხალხსა და მის არმიას, რომელმაც დახმარება გაუწია ჩეხოსლოვაკელ ხალხს თავი დაეღწია ფაშისტური უღლისაგან. ამას არასოდეს არ დაივიწყებს კეთილშობილი ჩეხოსლოვაკელი ხალხი.

ბევრია საინტერესო და ახალი ჩეხოსლოვაკიაში. მაგრამ ხანმოკლე პერიოდში, 20 დღის განმავლობაში, ფიზიკურად შეუძლებელი იყო ამ მდიდარი და ინდუსტრიული ქვეყნის მთლიანად გაცნობა.



ყველგან, სადაც კი ვიყავით, დიდი სიყვარულით გვხვდებოდნენ. იგრძნობოდა პატივისცემა საბჭოთა კავშირისა და მისი ხალხისადმი. ბევრი კარგი გამიგია ჩეხოსლოვაკელ ხალხზე, მათ კულტურაზე, ტექნიკაზე, ხელოვნებაზე, მაგრამ უშუალოდ გაცნობამ უფრო მეტად განმიმტკიცა ეს აზრი.

ჩეხოსლოვაკელმა ხალხმა, სახელმწიფოს თანამედროვე სოციალისტური ფორმის წყალობით ბევრად მაღლა ასწია ადამიანთა ცხოვრების დონე. დღითი დღე მტკიცდება მეგობრული კავშირი ჩეხოსლოვაკელ და საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის.

6927.

რევაზ ასაევი

## ხომ გახსოვს?

ჩემი მეგობრის შენ უთუოდ გახსოვს სიმღერა.
ის შენ გიმღერდა.
ხომ გახსოვს იგი?!
შენ მას ალერსით უვარცხნიდი ქოჩორს თითებით —
თქვენ ბაღში,
სადაც მწვანეა ირგვლივ...

გახსოვს?! უტკბილეს კოცნის შემდეგ შენ იმის მკლავებს
გაუსხლტებოდი ხოლმე, როგორც შევარდენს მტრედი.
ნაშუაღამევს — უხმაუროდ აღებდი კარებს...
და არა ერთხელ გაგიფრთხია შენ ძილი დედის.

გაოგნებული ძლივს აგნებდი საკუთარ ბინას.
და, რომ ოთახში ფეხაკრეფით შეაბიჯებდი;
დედის კითხვაზე — ეს პასუხი იცოდი ხშირად:
„კრებაზე ვიყავ, გოგონებთან ერთად ვიჯექი“.

შენ ის დღეც გახსოვს, ვიცი გახსოვს ძალიან კარგად;
შენ რომ გიყვარდა, იმ სიმღერით ის რომ წავიდა, —
მას შემდეგ... ბევრი კარგი, ბევრი ცუდი დღე დადგა...
წვეთავდნენ დღენი, როგორც წვიმა სახურავიდან.

მას თან მიჰქონდა საყვარელი შენი სიმღერა.
მას ამ სიმღერამ დევგმირული ძალ-ღონე მისცა.
ერთ წყეულ დღეს კი, როს დაეცა ის ბრძოლის ველად;
ეს მძლე სიმღერა მეგობრებმა განაგრძეს მისმა.

მათ ეს სიმღერა დროშასავით ასწიეს მაღლა.
გაუგონარი სიმამაცით დალეწეს მტერი.
და ყველა ხედავს:
ამ მშვენიერ სიმღერას ახლა,
მის მეგობრებთან ერთად
მთელი ქვეყანა მღერის.

## ტბის ნაპირზე

სინათლეს ქსოვენ სხივები მთვარის.
ვარსკვლავებია ტბაში.
ტბის ზედაპირზე თამაშობს ქარი.
ისმის ფოთლების ტაში.

ჩერდება ტბასთან ნარბენი მწყემსი;
წყალს ეწაფება ხარბად.
ქარმა დაჰქროლა... ბოხოხი თეთრი
უცებ წაართვა წყალმა.

ვისლა ენახოს უქუდო თავით
ავკარგიანი მწყემსი?!
ტბაში საჩქაროდ შეაგდო ნავი,
იგდო ნიჩბები ხელში.

თუმცა რას ვამბობ!.. არ დაკარგულა
არავითარი ქუდი.
ტბა მთვარითაა გადაქარგული,
ტბაშია მთვარის ბურთი.

მწყემსი კი ასე გამალებული
თავის ქუდს კი არ მისდევს...
ქალიშვილი ჰყავს დაბარებული
ამ ტბის მეორე კიდეს.

და რომ ღელავდეს, — გასაკვირია?!
ის ხომ პირველად ხვდება...
ჯერ არც კბოდეა,
არც ნაპირია,
მხოლოდ ტალღების ყეფა.

აი ნაპირიც...
ნაპირზე ფიჭვი.
ფიჭვთან ლამაზი ქალი.
ნავიდან მარდად გადმოხტა ბიჭი —
აადგაფუნა წყალი.

ჰაერში გარჩა გულკეთილ თხმელას
მისკენ გაწვდილი ხელი.
ბიჭი გოგოსთან მიიჭრა ხელად;
ყელს გადააჭდო ყელი.

თუმცაღა ფეხებს — უკოცნის წყალი
ვერც კი ამჩნევენ ამას...
ანდა რა უნდა დააკლოს წყალმა
გულთა ამხელა ხანძარს.

თარგმნა მ. მაჭავარიანმა

## შემოდგომის სურათი

გაუფერულდა მწვანე დღეები,
ბუნება გახდა რუხი, ტიალი,
ქარი გაიჭრა არყის ხეებში
უკანასკნელი ფოთლის ტრიალით.

ნაძვებს შიში აქვთ ყინვისა, ალბათ,
და არ იხდიან მწვანე ნაბადებს,
ქარი ეშვება მიწაზე დაბლა
და ფეხშიშველა გადინავარდებს.

გზები მისდევენ ათას მავთულებს
და ვით სიმების მესმის წკრიალი,
ასე მგონია ცაში ფანდურებს
ნაზი თითებით უკრავს ნიავი.

თარგმნა ფრიდონ ხალვაშმა

# ხელოვნური მთვარე

უახლოეს წლებში, დღისით—ბინოკლების დახმარებით, ხოლო გარიჟრაჟზე და მზის ჩასვლისას — შეუიარაღებელი თვალით, ადამიანები ცაზე შეამჩნევენ უჩვეულო სხეულს, რომელიც ასობით კილომეტრების სიმაღლეზე იფრენს დედამიწის გარშემო. ეს იქნება დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი, ან როგორც მას ხშირად უწოდებენ — „ხელოვნური მთვარე“.

როგორ შეიქმნება დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი? რა დანიშნულება ექნება და რას მისცემს ის მეცნიერებას?

„ხელოვნური მთვარის“ შექმნის პრინციპის წარმოსადგენად ასეთი მაგალითი მოვიყვანოთ:

დედამიწის რომელიმე პოლუსზე დადგმული კოშკიდან ყუმბარის გასროლისას, თუ ამ ყუმბარას ჩვეულებრივზე მეტი სიჩქარე ექნება, იგი ათასობით კილომეტრებს გაივლის, ხოლო სიჩქარის გაზრდის შემთხვევაში — 40 ათას კილომეტრს, დედამიწას ირგვლივ შემოუვლის და იმ კოშკის ძირს დაეცემა, საიდანაც ის გაისროლეს. სიჩქარის შემდგომი გაზრდისას, ყუმბარა შესძლებს დედამიწას რამდენჯერმე შემოუაროს გარშემო. მაგრამ თუ მისი საწყისი სიჩქარე წამში 8 კმ-ს მიაღწევს და ატმოსფეროს ზევით აღმოჩნდება, ყუმბარა ინერციით დაიწყებს დედამიწის გარშემო მოძრაობას და არასოდეს აღარ „ესტუმრება“ მას, დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრად იქცევა.

ცხადია, ყუმბარის მაგივრად ხელოვნურ თანამგზავრად შეიძლება სხვა რაიმე სხეული გახდეს, მხოლოდ საჭირო იქნება მასაც ასეთი საწყისი სიჩქარე მიენიჭოს. თანამედროვე მეცნიერები ცდილობენ ხელოვნურ თანამგზავრად გადააქციონ პატარა, ბურთისოდენა ავტომატური ლაბორატორია, მასში მოეწყობა სხვადასხვა აპარატურა დაკვირვებების მოსახდენად და მიღებული ცნობების დედამიწაზე გადმოსაცემად. ასეთ ლაბორატორიას საწყისი სიჩქარე შედგენილი რაკეტის დახმარებით მიენიჭება, რომელიც ყუმბარის როლს შეასრულებს. დედამიწიდან „გასამგზავრებლად“ ბურთისოდენა ლაბორატორია შედგენილი რაკეტის თავში ჩაიდგმება, განსაზღვრულ სიმაღლეზე მოხდება აფეთქება და აფეთქების ძალით ის რაკეტიდან გამოვარდება.

უკვე არსებობს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების შექმნის სხვადასხვა პროექტი, მაგრამ ძირითადად ისინი ერთმანეთს ემთხვევიან.

მერილენდის უნივერსიტეტის პროფესორის ს. ზინგერის პროექტით „ხელოვნურ მთვარეს“ ნახევარი მეტრის დიამეტრი ექნება და დედამიწის გარშემო 340 კილომეტრის სიმაღლეზე იბრუნებს. ასეთი მცირე ზომის ხელოვნური თანამგზავრი იმდენი დაჯდება, რაც ღირს, მაგალითად, ერთი შორსმოქმედი მძიმე ყუმბარმშენი. რამდენიმე ათეული კილომეტრის სიმაღლეზე მოძრავი „ხელოვნური მთვარე“ განსაზღვრული დროის შემდეგ დედამიწას დაუახლოვდება, ატმოსფეროს ფენებში შეიჭრება, გავარვარდება და დაიმალება. მის გახურებას გამოიწვევს ჰაერთან ხახუნი. მართლაც, ამ დროს თანამგზავრს ექნება 30 ათასამდე კილომეტრი სიჩქარე საათში, 30-ჯერ უფრო სწრაფად იფრენს, ვიდრე ჩვეულებრივი რეაქტიული თვითმფრინავი!



ხელოვნურ თანამგზავრზე დადგმული ხელსაწყოები და აპარატურა დაეხმარება მეცნიერებს შეისწავლონ იმ პროცესების საიდუმლოება, რაც ატმოსფეროს ზედა ფენებში და კოსმიურ სივრცეებში ხდება. ხელსაწყოები მოახდენენ დაკვირვებებს მზის გვირგვინზე, ჩვენს პლანეტაზე და სხვა საინტერესო გამოკვლევებს ჩაატარებენ. დაკვირვებების შესახებ ცნობები დედამიწაზე ავტომატურად გადმოეცემა. თუ ხელოვნურ თანამგზავრზე მცირე ზომის რადიოლოკატორი მოეწყობა, მოხდება დაკვირვებები, აგრეთვე, მეტეორების მოძრაობებზეც. ხელსაწყოებმა შესაძლებელია უთვალთვალონ ყინულოვან ოკეანეს და მეცნიერებს მიაწოდონ ცნობები ღრუბლებისა და ყინულების მოძრაობის შესახებ, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნება მოსალოდნელი ამინდისა და სანაოსნო პირობების დადგენაში.

საბჭოთა მეცნიერების განცხადებით უკვე არსებობს რეალური ტექნიკური ბაზა სხვადასხვა მცირე ზომის ხელოვნური თანამგზავრების შექმნისათვის.

მარტივი თანამგზავრების აშვების შემდეგ, ალბათ, მუშაობა დაიწყება უფრო დიდი ლაბორატორიების ასაშვებად. ისინი დედამიწის გარეშე სადგურები იქნებიან. რომელიმე მათგანზე შესაძლებელი გახდება მოეწყოს სატელევიზიო გადამცემი პუნქტი. დედამიწიდან გაგზავნილი რადიოტალღები მისგან სპეციალური დანადგარით აირეკლება და ათასობით კილომეტრებზე გავრცელდება. ეს იქნება ტექნიკის შესანიშნავი გამარჯვება! მართლაც, დღეს ხომ სატელევიზიო გადაცემათა სიშორე მხოლოდ ათეული კილომეტრებით განისაზღვრება, მაშინ როცა ასეთი სატელევიზიო პუნქტი ტელეხედვას ნამდვილ შორსხედვად გადააქცევს.

დიდი ზომის დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრებში უცხოეთის ზოგიერთი სპეციალისტი მომავალ სამხედრო ბაზებს ხედავს. თანამგზავრების შექმნის იდეამ „მადა გაუხსნა“ ჰიტლერელ კონსტრუქტორს ვარნერ ფონ ბრაუნს. ეს ის „სახელგანთქმული“ კონსტრუქტორია, რომლის მიერ დამზადებული რაკეტები „ფაუ 2“ ასობით იგზავნებოდა ომის დროს ქალაქების დასანგრევად. გერმანელი კონსტრუქტორი ამერიკის სამართავი ყუმბარების განყოფილების დირექტორია და თავს ურიგოდ არა გრძნობს. პირიქით, იგი ახალი „ოცნებით“ არის გატაცებული. ბრაუნი ფიქრობს, რომ მომავალში დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრიდან სამხედრო სპეციალისტები შესძლებენ უთვალთვალონ ოკეანეებს, კონტინენტებს, ქვეყნებს და ამ უჩვეულო ბაზიდან... ატომური ყუმბარები გზავნონ ქალაქებისკენ.

ეჭვი არ არის, ასეთი გეგმები და ოცნებები ისევე ჩაიშლება, როგორც საპნის ბუშტივით გაჰქრა ბრაუნის ოცნება — ეხილა ნანგრევებად ქცეული ლონდონი.

დედამიწის ხელოვნურმა თანამგზავრმა ხალხებს მხოლოდ მშვიდობა და ბედნიერება უნდა მოუტანოს, — ასეთია მილიონობით გულმართალი ადამიანების სურვილი, და ასეც მოხდება!

ა. ცისკარაძე

# კვირია—ცისკარი

ივანე ჯავახიშვილის გამოკვლევით ქართული წარმართული პანთეონის ღვთაებათა შორის ერთ-ერთი მთავარი ადგილი კვირიას (იგივე კვირიაე, კვირაე, კვირეე) ეჭირა. იგი ითვლებოდა იმ ღვთაებად, „რომელსაც სამართალი ეკითხებოდა და ებარა“.

როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს „ბედისა და წულის გამოთხოვა და მიცემაც მორიგე ღმერთზე და კვირიაზე იყო უმთავრესად დამოკიდებული“.

როგორც ერთი ხევსურული დამწყალობნების შესწავლიდან ირკვევა, კვირია მორიგე ღმერთთან ერთად, წარმართული რწმენით დარ-ამინდის, ტაროსის გამგებლადაც ითვლებოდა:

„მორიგეს ღმერთსა და დიდ კვირაეს გახვეწებთ: ე ს ზ ა ფ ხ უ ლ ი მ შ ვ ი დ ო ბ ი თ დ ა მ დ გ ა რ მ შ ვ ი დ ო ბ ი თ გ ა დ ა ა ყ ე ნ ე თ“ (ვ. ბარდაველიძე. ალმ. საქ. ქართ. მთიელების სასულიერო ტექსტები).

როგორც ვხედავთ, კვირია ქართულ წარმართულ პანთეონში გავლენიანი ღვთაება ყოფილა. მას უმაღლესი („მორიგე“) ღვთაების კარზე თავისუფალი შესვლა-გამოსვლის და მოქმედების უფლება ჰქონია და ხალხის რწმენით „ღვთის კარზე მოარულ“ ღვთაებად ყოფილა მიჩნეული.

თუში მთქმელებისაგან ვ. ბარდაველიძის მიერ ჩაწერილ ლექსებშიც კვირია ღმერთის შემდეგ იხსენიება:

„პირველად ღმერთი ვახსენოთ, ის უფრო დიდებულია,
მემრე ვადიდოთ კვირაე, კვირაე კარალვთისია..“

ივ. ჯავახიშვილი განიხილავს რა არსენ ონიანის ცნობებს სვანთა ძველი საგალობლის „კვირია ღერთას“ შესახებ, აღნიშნავს:

„კვირიას თქმის დროს ყველანი პირს აღმოსავლეთისაკენ იზამენ და საგალობელს ისე ამბობენ ხოლმე.“

მკვლევარი აღნიშნავს, რომ ონიანს არაფერი აქვს იმის გამო ნათქვამი, თუ კვირია რა ღვთაებად ეხატებათ სვანებს და რას შესთხოვენ ხოლმე მას.

თუ ჩავუფიქრდებით არსენ ონიანის ცნობას, რომ კვირიაზე მლოცველი წარმართები „პირს აღმოსავლეთისაკენ იზამენ და საგალობელს ისე ამბობენ ხოლმე“, — სავარაუდებელი ხდება, რომ კვირია რომელიმე მნათობს უნდა წარმოადგენდეს.

კვირია ხალხის რწმენით მართალია ძლიერი ღვთაება იყო, მაგრამ პირველი („მორიგე“) ღვთაება არ იყო, ამიტომ ხალხი მას მზის სახით ვერ წარმოიდგენდა.

„ღვთის კარზე მოარულ“ ღვთაებად (კვირიად) უფრო შესაძლებელია ცისკარი მივიჩნიოთ, რომელიც უშუალოდ უსწრებს მზის ამოსვლას, მოუძღვის მას და თითქოს მზის მობრძანების მაცნე და მახარობელია.

ამის დასადასტურებლად შეიძლება გამოდგეს ივ. ბუქურაულის მიერ თუშეთში ჩაწერილი ერთი ძველი ხალხური ლექსი („თუშეთის წმინდანები“), სადაც კვირიას ცისკრობაა დადასტურებული.

„პირველად ღმერთი ვახსენოთ, ის უფრო დიდებულია,
მემრე ნასისკარ კვირაე, ღვთის კარზე მდგომიარეა;
მემრინას ბერი სამება, წოვათას მბრძანებელია“. და სხვ.

ამ თუშურ ლექსშიც, როგორც ვხედავთ, კვირია „ღვთის კარზე მდგომიარე“ ღვთაებად არის წარმოდგენილი... მაგრამ რას ნიშნავს „კვირიას“ წინ ნახსენები გაუგებარი გამოთქმა „მემრე ნასისკარ“?...

ჩვენის აზრით აქ მთქმელის, ჩამწერის ან მბეჭდავის შეცდომასთან უნდა გვქონდეს საქმე. ეს გაუგებარი „ნასისკარ“-ი ორი ნაწილისაგან შესდგება („ნა“ — „სისკარ“) „ნა“ ეკუთვნის მის წინ მდგომ „მემრეს“ და მათი ბუნებრივი დაკავშირებით (მემრე+ნა) ვღებულობთ „მემრენას“ ანუ „მემრინას“, რაც ამ ლექსში ამის შემდეგ კიდევ ხუთჯერ არის გამეორებული:

„მემრინას ბერი სამება“, „მემრინას ლაშას გიორგი“ და სხვ.

ე. ი. ჯერ მთავარი ღვთაება „ღმერთი ვახსენოთ“ და მემრე („მემრინას“) მისი მომდევნო ღვთაებები კვირია, ბერი სამება და სხვაო.

ამგვარად მთავარი ღვთაების შემდეგ ნახსენები ღვთაების (კვირიას) ეპითეტად ამ „მემრინას“ შემდეგ ნახმარია „სისკარ“-ი. „სისკარი“ კი იგივე ცისკარია.

მთის კილოებში ბგერათა ასიმილაციის შედეგად ცისკარი „სისკარად“ გამოითქმის. (არსებობს ხევსურული სახელი სისკარა და გვარი სისკარაული).

ერთ-ერთ ხევსურულ ლექსში ასეთ ადგილს ვხვდებით:

„ტირილით ამამხდარიყვა სისკარი თენებისაო“.

ასევე გამოითქმის ცისკარი კარატის ხუცის იმ დამწყალობნებში, რომელიც ივ. ჯავახიშვილს მოჰყავს:

„თუ რა შეგცოდონ ან ბნელსა (ე. ი. ღამე), ან სისკარსა... შანაწყენ-შანაცოდარ შაუნდევით“.

მთის კილოებში ასევეა ასიმილირებული სხვა სიტყვებიც „ქურციკის“ ნაცვლად იხმარება „ქურსიკი“ და სხვ.

ამგვარად, პირვანდელი სახით აღდგენის შემდეგ ივ. ბუქურაულის „თუშეთის წმინდანების“ პირველი სტროფი ასე უნდა წავიკითხოთ:

„პირველად ღმერთი ვახსენოთ, ის უფრო დიდებულია,
მემრინას სისკარ კვირაე, ღვთის კარზე მდგომიარეა“.

როგორც ვხედავთ, ამ ძველი ხალხური ლექსით ცისკარისა და კვირიას მნიშვნელობა გაიგივებულია. შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართველ ხალხს ერთ-ერთი თავისი მთავარი წარმართული ღვთაება „კვირია“ ცისკრის სახით ჰყავდა წარმოდგენილი.

გიორგი შატბერაშვილი

# ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტისათვის

ნ. კეელიშვილი

ნიკოლოზ ბარათაშვილის სურათი თავის დროზე არსებულა, მაგრამ შემდეგ დაკარგულა. 1904 წლიდან 1933 წლამდე გავრცელებული სურათი, როგორც შემდეგ გამოირკვა, შეთხზეს ჟურ. „მოგზაურის“ რედაქტორმა ივანე როსტომაშვილმა და ზაქარია ჭიჭინაძემ.

ნ. ბარათაშვილის პორტრეტის ძიება და მისი აღდგენის ცდა არც შემდეგ შეწყვეტილა.

მიხ. თუმანიშვილის ცნობილი ესკიზის საფუძველზე შეიქმნა რამდენიმე პორტრეტი (მ. თოიძის, ალ. მრევლიშვილის, ლ. გუდიაშვილის, ვ. კროტკოვისა და სხვ.). ყველა ამ პორტრეტს ცალკე ღირსებებთან ერთად გააჩნია მნიშვნელოვანი ნაკლი. ახალ წყაროდ, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტის აღდგენას და, რაც ბოლოს მოუღებს ყოველგვარ დავას ამ მხრივ, ჩვენ შემდეგი ღონისძიება მიგვაჩნია:

ცნობილია, რომ ანტროპოლოგიურ მეცნიერებაში ფართოდ არის დანერგილი თავის ქალის მიხედვით ადამიანის სახის აღდგენის ობიექტური მეთოდი, რომელსაც კრანიოლოგია ეწოდება. ამ შემთხვევაში ერთ-ერთ მთავარ როლს თამაშობს კრანომეტრია — ადამიანის თავის ქალის გაზომვა და მისი მორფოლოგიური აღწერა. მაშასადამე, პორტრეტული რეკონსტრუქციის ერთადერთ დოკუმენტურ მასალას, და გასაახლებელი სახის ობიექტურ საფუძველს წარმოადგენს თავის ქალა იმ ადამიანისა, ვისი პორტრეტის აღდგენაც უნდა მოხდეს.

ამ უნიკალური ხელოვნების დიდ საბჭოთა სპეციალისტად ითვლება სტალინური პრემიის ლაურეატი, პროფესორი მ. მ. გერასიმოვი, რომელიც ამ დარგში თითქმის 30 წელიწადია მუშაობს. პირველი ცდა ამ მხრივ მან 1927 წელს ჩაატარა. მან იხელმძღვანელა მარტინის მეტრიული ტექნიკით და ჰანს ვირხოვის მეთოდებით მოახდინა ადამიანის ძვლის მასალის კრანიოლოგიური შესწავლა. მეცნიერმა სახის ჩონჩხის რელიეფისა და ძვალსა და რბილს შორის ფუნქციონალური კავშირის დადგენით იმდენად განსაცვიფრებელ შედეგებს მიაღწია, რომ იგი ადამიანის სახის თითქმის რენტგენოსკოპიას ახდენს, თავმოყრილი მასალის სტატისტიკური დამუშავების დროს, თავისა და სახის ასიმეტრიის დაცვით, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ინარჩუნებს თვითეული ადამიანის სახის არა მარტო ანტროპოლოგიურ, არამედ ინდივიდუალურ რელიეფს.

მ. მ. გერასიმოვის ხელოვნება იმდენად პოპულარულია, რომ მის მეთოდს ფართოდ იყენებენ ისეთ უმნიშვნელოვანეს დარგში, როგორიც არის იურისპრუდენცია, კერძოდ, სისხლის სამართლის სამძებრო გამოძიება, კრიმინალისტიკა და სასამართლო მედიცინა, ხდება მისი ნამუშევრების საჯარო დემონსტრირება ინსტიტუტების კათედრების სხდომებსა და ლექციებზე.

მოსკოვის ერთ-ერთ განაპირა რაიონში გათხრილ იქნა სასაფლაო, საიდანაც ამოიღეს საგრძნობლად დაზიანებული ჩონჩხი. მ. მ. გერასიმოვს აცნობეს, რომ მიცვალებული ცხოვრობდა დაახლოებით 100 წლის წინათ. დაზიანებული აღმოჩნდა თავის ქალაც, რომელსაც აკლდა კეფისა და ძირითადი ძვლებიც, არც სახის ძვლები იყო კარგად შენახული. თავის ქალას კიდევ შერჩენოდა 5-7 სანტიმეტრი სიგრძის თმები, რომელსაც ეტყობოდა თავის დროზე უკან ყოფილა გადავარცხნილი. თმები ხელის შეხებისთანავე ცვიოდა. მიუხედავად ასეთი დეფექტიურობისა, მ. მ. გერასიმოვმა შესძლო დადგენა იმისა, რომ თავის ქალა 36-37 წლის ჰასაკში გარდაცვლილი ახალგაზრდა ქალისა იყო, რომ მას ფართო ოვალური სახე ჰქონდა, მაღალი და განიერი შუბლი. მ. მ. გერასიმოვმა მხოლოდ მუშაობის დამთავრების შემდეგ გაიგო, რომ აღუდგენია მწერალ თევდორე მიხეილის-ძე დოსტოევსკის დედის — მარია დოსტოევსკაიას პორტრეტი. შესადარებლად მოტანილი იქნა მწერალ პოპოვის მიერ XX საუკუნეში დახატული პორტრეტი, სადაც მწერლის დედა გამოსახულია 19-22 წლის ჰასაკში; მიუხედავად თავის ქალის ასეთი ხანდაზმულობისა და დაზიანებისა, ჰასაკის მკვეთრი განსხვავებისა და მხატვრობის ზოგიერთი თავისებურებებისა, მსგავსება მაინც იმდენად დიდი იყო, რომ აღდგენილი სურათი ჰგავდა არა მარტო პოპოვის მიერ ნატურიდან დახატულ პორტრეტს, არამედ მარია დოსტოევსკის შვილების პორტრეტებსაც.

მ. მ. გერასიმოვს აღდგენილი აქვს მცხეთის IX საუკუნის (ბრინჯაოს ხანის) მცხოვრებთა ტიპები, რომელთა ჩონჩხი ამოღებულ იქნა 1937 წელს მცხეთის გათხრების დროს, რაც ნათელ წარმოდგენას იძლევა იბერიის ადრინდელი მოსახლეობის ტიპებზე. მ. მ. გერასიმოვს აღდგენილი აქვს XII საუკუნეში მცხოვრები ანდრეი ბოგოლუბსკის პორტრეტი, რომელიც იყო იური დოლგორუკის შვილი. აღდგენილი აქვს, აგრეთვე, XIV საუკუნეში მცხოვრები დიდი დამპყრობის თემურის პორტრეტი. გერასიმოვმა აღადგინა, აგრეთვე, იქვე დამარხული თემურის უმცროსი შვილის შაჰრუხისა და მისი შვილების — ულუგ-ბეგისა და მუჰამედ-სულთანის სახეები.

მეტად საინტერესოა ადმირალ უშაკოვის სახის აღდგენის ისტორია. ვინაიდან უშაკოვის პორტრეტის რეალობაში ეჭვი შეჰქონდათ, 1944 წელს შეიქმნა სპეციალური კომისია უშაკოვის ნეშტის ამოსაღებად. გათხრის შედეგად 1 მეტ. და 40 სანტ. სიღრმეზე ნაპოვნი იქნა ალექსანდრეს ეპოქის საზღვაო მუნდირის ნაკუწები, ოქროს ძაფით მოქარგული საყელო, სამაჯურები, მანჟეტები, კარგად შენახული სამხრეები და დაზიანებული ჩონჩხი და თავის ქალა. მიუხედავად იმისა, რომ გავრცელებული პორტრეტი ნატურიდან იყო გადაღებული მხატვრის მიერ, გერასიმოვის რესტავრაციაქმნილმა სახემ აღნიშნული პორტრეტის მთელი რიგი ნაკლოვანებანი გამოამჟღავნა.

ნიკოლოზ ბარათაშვილი უშაკოვზე 28 წლით გვიან გარდაიცვალა, უშაკოვზე 50 წლით ახალგაზრდა იყო. ამიტომ საფიქრებელია, რომ პოეტის ჩონჩხიც და თავის ქალაც უკეთ იქნება შენახული. ნიკოლოზ ბარათაშვილის თავის ქალაც ამოღებულ უნდა იქნას და მისი სახის აღდგენა უნდა მიენდოს მ. მ. გერასიმოვს.

ნიკოლოზ ბარათაშვილის თავის ქალა რომ კარგად არის შენახული, დასტურდება პოეტის ნეშტის ამოღების როგორც პირველი (1893 წლის), ისე მეორე (1938 წ.) აქტიდან. ორივე შემთხვევაში ანტროპოლოგ ექიმების მიერ მოხდა პოეტის თავის ქალის გასინჯვა და გაზომვა (იხ. გაზ. „ივერია“, 1893 წ., № 87, 28 აპრილი). საგულისხმოა და საქმისათვის უფრო საინტერესოა მეორე, უკანასკნელი აქტი, რომელიც შედგა 1938 წ. 15 ოქტომბერს პოეტის ნეშტის დიდუბიდან მთაწმინდის პანთეონში გადასვენების დროს. ამ აქტში, რომელსაც ხელს აწერს ანტროპოლოგი პროფ. ვლ. ულენტი, ნათქვამია: „ნიკოლოზ ბარათაშვილის თავის ქალა და პირის სახის ჩონჩხი კარგად არის შენახული“.

რაკი ნ. ბარათაშვილის პორტრეტის (ფოტოს ან ნახატის) მოპოვება უიმედოდაა მიჩნეული, დღესდღეობით პოეტის სახის აღდგენის ერთადერთ რეალურ შესაძლებლობად ჩვენ გვესახება მ. მ. გერასიმოვისათვის ამ საქმის მინდობა.







ფ ო ტ ო ზ ე (მარცხნიდან მარჯვნივ): ადმირალ უშაკოვის პორტრეტი, რომელიც ლენინგრადის სამხედრო-საზღვაო მუზეუმში ინახება. უშაკოვის პორტრეტის აღდგენის სქემა. უშაკოვის პორტრეტი, აღდგენილი მისი თავის ქალას მიხედვით.

# სადაც წონიან... ფულს

თბილისში 147 ტელეფონ-ავტომატი მუშაობს. ტელეფონებში ჩადგმულ ყულაბებში უამრავი 15 კაპიკიანი იყრება. ყოველდღიური შემოსავალი 2000 მანეთს აღწევს. თუ გავითვალისწინებთ, რომ 57 მანეთი 1022,5 გრამს იწონის, ავტომატური ტელეფონების სადგურის ბუღალტერიაში დაახლოებით 35 კილოგრამი ფული იყრის თავს. 15 კაპიკიანების რიცხვი 13.300 აღწევს. მოდი და ითვალე ეს ფული ყოველდღიურად! ამიტომ არის, რომ აქ ფულს წონიან.

აი, ახლაც, როცა ჩვენი ფოტოკორესპონდენტი ბუღალტერიაში შევიდა, მ. ხუხუნაიშვილი გულდასმით წონიდა 15 კაპიკიანებს.

— რომელი ტელეფონ-ავტომატი იძლევა „ბარაქიან“ შემოსავალს?

— ტელეფონ-ავტომატები, რომლებიც ჯიხურებშია მოთავსებული. განსაკუთრებით კი — მარჯანიშვილისა და რუსთაველის მოედანზე დადგმული ჯიხურები.

თბილისელები ავტომატებიდან 13.300-ჯერ რეკავენ, თუ არას ვიტყვით იმაზე, როცა ტელეფონები არ პასუხობენ, ან დაკავებულნი არიან.



ატს-ის თანამშრომელი მ. ხუხუნაიშვილი თბილისის ავტომატური ტელეფონების სადგურში წონის სამშაურიანებს.

# მრავალარხიანი კავშირი

— თბილისი..., თბილისი...

— გისმენთ, თბილისი ვარ!

— ელაპარაკეთ, თქვენი აბონენტი ხაზზეა.

ასე იწყება საუბარი მოსკოვთან. ტელეფონში მშვენივრად ისმის მოსაუბრეების სიტყვები.

ბევრმა თბილისელმა არ იცის: როცა ის თავის ნაცნობს მოსკოვში ელაპარაკება, იმავე სადენში კიდევ 12 თბილისელი მოქალაქე ესაუბრება მოსკოვის აბონენტს. ისე, რომ თბილისიდან მოსკოვში გაჭიმულ ერთ წყვილ სადენში ერთდროულად 12 სატელეფონო ლაპარაკი წარმოებს. რატომ არ უშლიან აბონენტები ერთმანეთს ხელს? ყოველი წყვილი აბონენტებისა გარკვეული მაღალი სიხშირის მქონე დენით სარგებლობს. ეს დენი სპეციალური ფილტრებით მხოლოდ ერთ საჭირო აბონენტისკენ იგზავნება — „უცხოებს“ თავს არიდებს.

თანამედროვე სატელეფონო ტექნიკამ განსაკუთრებით დიდ წარმატებებს მიაღწია. საბჭოთა ინჟინრებმა დაამუშავეს ურთულესი აპარატურა, რომელიც 9,12,16 ერთდროულ სატელეფონო ლაპარაკის საშუალებას იძლევა. ეგრეთ წოდებული კონცენტრირებული კაბელების გამოყენებით შესაძლებელი ხდება ერთ ხაზზე 480 აბონენტმა ილაპარაკოს. მაგრამ ეს ზღვარი არ არის. დადგენილია, რომ ამ კაბელით შესაძლებელია ერთდროულად მოხდეს 720 სატელეფონო ლაპარაკი.

გარეკანის პირველ გვერდზე: ვ. ი. ლენინი.
მხატვარი ი. ვასილიევი

მეოთხე გვერდზე: დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის საჰიდაო მოედანზე.
ფერადი ფოტო მ. მიხაილოვისა

# კროსვორდი



მარქსის სახ. საქ. სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

**ვერტიკალურად:**

1. სახელმწიფოთა შორის დიპლომატიური მიმართვა. 3. გამოჩენილი რუსი მწერალი. 4. ამერიკელი მოგზაური. 6. გარკვეული მონაკვეთი განვითარების პერიოდში. 8. თევზი. 9. სპორტული ჯილდო. 11. სახლის ნაწილი. 12. განთიადი. 16. ფრანგი კარდინალი. 17. სატევარი. 18. ვულკანური წარმოშობის მინერალი. 19. სხეულის ფიზიკური თვისება. 20. ქიმიური ელემენტი. 21. კუნძული საბჭოთა კავშირში. 23. სამხედრო შენაერთი. 25. აქროლვადი ნივთიერება. 26. სუბტროპიკული მცენარე. 27. ძვირფასი ხე. 32. ჭეშმარიტება, რომელსაც მტკიცება არ სჭირია. 36. ესპანელი ჰერცოგი. 37. ცნობილი რევოლუციონერი. 38. ტექნიკური კულტურა. 40. მდინარე საქართველოში. 41. სავაჭრო ფარდული. 42. საცხენოსნო სპორტის სახეობა. 47. სიმებიანი საკრავი.

**ჰორიზონტალურად:**

2. ინგლისელი მწერალი. 5. გერმანელი კომპოზიტორი. 7. ზანგი მომღერალი. 10. ნავსადგური საფრანგეთში. 12. დიდი ყაზახი მწერალი. 13. ძველი თბილისის ერთ-ერთი უბანი. 14. ვერდის ოპერა. 15. მცენარე. 22. გრძელი, აღფრთოვანებული სიტყვა. 24. ნორვეგიელი მოგზაური. 25. ქანების ჩამორეცხვა, დაშლა. 28. თევზსაჭერი იარაღი. 29. მთა კავკასიონის ქედზე. 30. სპორტის სახეობა. 31. აღმოსავლური საკრავი. 33. ძველი აღთქმის წიგნი, კრებული. 34. ხელ-ფეხის მოძრაობის წონასწორობის მოშლა. 35. ფრინველი. 38. საშენებლო მასალა. 39. გამოჩენილი კომპოზიტორი. 41. ცურვის სახეობა. 43. ფულის ერთეული. 44. ძვირფასი ლითონი. 45. იტალიელი ჰუმანისტი მწერალი. 46. მუსიკალური ნიშანი. 48. მიწის ფართობის საზომი ერთეული.

## ჟურნ. „დროშის“ № 3-ში მოთავსებული კროსვორდის პასუხი

**ჰორიზონტალურად:**

1. დონ კიხოტი. 8. ირტიში. 9. რებუსი. 12. პატეტლაო. 13. სოლფეჯიო. 16. ტრესტი. 17. ნეჩაი. 18. ტირანა. 23. ავიაცია. 24. გვირგვინი. 25. ლისენკო. 30. აბერზე. 31. ქველი. 32. ალალი. 33. ოვაცია. 36. პრივილეგია. 37. ორანგუტანი. 38. ლეიტენანტი. 41. დისლოკაცია. 46. თეიზმი. 47. რკალი. 48. პულტი. 49. ბერნსი. 52. დიქტორი. 54. ოდეკოლონი. 55. დევსურა. 59. აჟაევი. 60. ბარტო. 61. აისორი. 64. გლიფტიკა. 65. რევიზორი. 66. ორიონი. 67. ცბიერი. 68. ვიზიტაცია.

**ვერტიკალურად:**

2. ორიოლი. 3. კლინომეტრი. 4. ხარისფაშვა. 5. ტაბელი. 6. არპეჯიო. 7. ასპექტი. 10. ფაუსტი. 11. ფიორდი. 14. არქაიზმი. 15. ინტერვიუ. 19. ავრეხი. 20. რვალი. 21. გნოლი. 22. აკაცია. 26. კარპოლითი. 27. ევრისტიკა. 28. ალტრუისტი. 29. პაგინაცია. 34. სეთაი. 35. ზნელი. 39. იდილია. 40. ერმიტაჟი. 42. კრეისერი. 43. ცენტრი. 44. ელადა. 45. მუღნი. 50. აკვამარინი. 51. ალიტერაცია. 53. რჩეული. 56. ექსტრა. 57. დიაფორა. 58. მაუზერი. 62. გიბონი. 63. ცვაიგი.

რედაქტორი გრ. აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია: შ. ბუაჩიძე, შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გიგინეიშვილი, დ. დოლიძე, მ. საკაშვილი, ი. ციციშვილი, ვ. ჭელიძე, უ. ჯაფარიძე.

ნომერი გააფორმა ზ. ლეჟავამ

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ. № 91.
ტელეფონები: რედაქტორის—3-52-69, პ/მგ. მდივნის—3-95-38.

ფასი 3 მან.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში

ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/IV 56 წ. გამომც. № 31. ქაღ. ზომა 70×108 1/8. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. ტირაჟი — 15.000. შეკვეთის № 153 უე 00591

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Д р о ш а“ (на грузинском языке)

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზოოპარკის ვეტერინარული ამბულატორიუმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. ივარდავა



ძნელი ყოფილა ყურის ტკივილი, მაგრამ არ იმჩნევს აქლემი, პატარა ხომ აღარაა, რომ აბღავლდეს და თავი შეირცხვინოს ზოოპარკის ექიმებთან.

თბილისის ზოოლოგიურ პარკში საინტერესო ამბავი მოხდა. დილით ადრე ადგილობრივ ვეტერინარულ ამბულატორიაში მოირბინა ბეჰემოტების მომვლელმა ქალმა:

— ექიმო, იჩქარეთ, „მანია“ ცუდად არის.

ექიმმა აჩქარებული ნაბიჯით გასწია ბეჰემოტების ვოლიერისაკენ.



იცის ბეჰემოტმა, რომ ახლა წამალს გადააყლაპებენ მაგრამ რა ქნას, როცა გემრიელ ლუკმას ხედავს, თავისთავად აღებს პირს.

„პაციენტთან“ მისვლისას ვეტერინარმა სწრაფად გამოარკვია, რომ დედა ბეჰემოტი ავად არ იყო — იგი მშობიარობისათვის ემზადებოდა.

„მანიამ“ ადვილად იმშობიარა და ზოოპარკს შემატა ახალი ბინადარი—სიმსუქნისაგან დამრგვალებული „ვაჟიშვილი“. პატარა ბეჰემოტმა დაბადებისთანავე „წყალჯომარდობას“ მიჰყო ხელი—გაბედულად ყვინთავდა აუზში.

პატარა ბეჰემოტი დაბადების დღიდან გამუდმებით იმყოფება ვეტერინარი ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ.

ერთხელ დედამ თავისი ეშვებით ერთი ადგილიდან მეორეზე გადაიყვანა პატარა „ყაზბეგი“ (ასე შეარქვეს ბეჰემოტის ნაშიერს) და შემთხვევით დასჭრა ყელისა და ზურგის არეში. ვეტექიმები შემდეგნაირად მკურნალობდნენ „ყაზბეგს“: ჰიდროპულტით მარგანკალის ხსნარს ასხურებდნენ, შემდეგ კი სტრეპტოციდის ემულსიის საცხს უსვამდნენ. ბეჰემოტი მალე განიკურნა.

იმისათვის, რომ ახლად დაბადებული ნაშიერი რახიტით არ დაავადებულიყო, დედამისს რაც შეიძლება მეტი რაოდენობით აძლევდნენ ვიტამინურ საკვებს. მაგალითად, „მანია“ ყოველდღიურად ხუთ კლოგრამს მარტო ვაშლს მიირთმევს ხოლმე.

აღსანიშნავია, რომ 9 თვის „ყაზბეგი“ უკვე 120 კილოგრამს იწონის. ამის მიუხედავად, იგი მეტად ონავარია. მაგალითად, „ყაზბეგი“ საკვებად მიტანილ კარტოფილებიდან ამოარჩევს ყველაზე დიდს, დაადებს ფეხს და იატაკზე სრიალებს, როგორც ციგურით. რასაკვირველია, კარტოფილი ფუჭდება და ეს „ნერვებს უშლის“ დედას.

ვეტამბულატორიაში დილის მიღების საათებში მომვლელმა ქალმა პირბადეახვეული კავკასიური ჰელა მოიყვანა. ექიმმა აქა-იქ ამოსჭრა ბალანი, შემდეგ კი საცხი წაუსვა. აღმოჩნდა, რომ ჰელა ეგზემით იყო დაავადებული. ამ დროს ამბულატორიის კართან მეორე „პაციენტი“ ყარყატი იდგა. მას მეორე ყარყატთან ჩხუბის დროს ტრავმა მიეღო და სისხლი სდიოდა. ექიმმა, ჭრილობის სათანადო დამუშავების შემდეგ, დაზიანებული ადგილი ბანდით შეუხვია. თავის რიგს შველიც ელოდებოდა. მას წვივის ძვალი მოეტეხა. ექიმმა წვივი თაბაშირში ჩასვა.

ამ დღეს მონადირეებმა ძვირფასი საჩუქარი — დაჭრილი თეთრი გედი გადასცეს ზოოპარკს. იგი ვეტამბულატორიაში მოიყვანეს, ექიმებმა დაზიანებული ფრთა არტაშანებში ჩასვეს, უმკურნალეს და ახლა გედი თავს ჩინებულად გრძნობს.

ვეტამბულატორიაში მოჰყავთ მხოლოდ ხელზე გაზრდილი, მოთვინიერებული ცხოველები და ფრინველები. დანარჩენ ცხოველებთან ექიმები „ბინაზე გამოძახებით“ მიდიან.

მტაცებელ ცხოველთა მკურნალობა გარკვეულ საფრთხესთანაა დაკავშირებული. ამიტომ არსებობს სპეციალური მოწყობილობა, რომელიც აადვილებს მუშაობას, როდესაც ცხოველი ურჩობს და არ იკარებს მკურნალს. ეს არის ეგრეთ წოდებული საფიქსაციო გალია. იგი ჩვეულებრივი გალიისაგან იმით განსხვავდება, რომ ერთი გვერდი მოძრავია, აგრეთვე შეიძლება ჭერის აწევ-დაწევა. ცხოველებს შერეკავენ ასეთ გალიაში, მოძრავი გვერდისა და ჭერის გადაადგილებით ცხოველი „ფიქსაციაქმნილია“. ასეთ გალიაში შეუვანილ მაიმუნს — მწვანე ანთარს — უკეთებდნენ პენიცილინის ნემსებს, ასმევდნენ ასკორბინის მჟავას. იგი ცინგით იყო დაავადებული.

ზოგიერთი წამალი მწარეა, რაც იწვევს მისდამი ცხოველების ზიზღს. ამიტომ ცხოველებს წამალი ეძლევათ საყვარელ საკვებთან შერეული. მაგალითად, მაიმუნებს ძალზე უყვართ ყურძნის წვენი, ამიტომ ყურძნის წვენში გარეულ წამალს ისინი სიამოვნებით სვამენ.



არ იქნა, ველარ მოიშალა მეზობელ ყარყატებთან ჩხუბი და დავიდარაბა, თუ ყველა დაკორტნილი ადგილი ექიმებმა ბინტით შეუხვიეს, თეთრ გედს დაემსგავსება.

ზოოპარკში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ცხოველთა პროფილაქტიკას. გამოყენებულია სხვადასხვა დაავადებათა საწინააღმდეგო აცრები, სისტემატურად ხდება ცხოველთა სადგომების დეზინფექცია, საჭიროების შემთხვევაში ცხოველებს უშხაპუნებენ ტუბერკულინს.

ერთხელ იმ ვოლიერში, სადაც ავსტრალიური ხუჭუჭა თუთიყუშები ბინადრობენ, შემჩნეულ იქნა, რომ ფრთოსნები აიბურძგნენ, ნაკლებად მოძრაობდნენ, აღარ გალობდნენ. რამდენიმე კიდეც მოკვდა. ექიმებს ეგონათ, რომ რაღაც ინფექციური დაავადება მოედო ფრთოსნებსო. მაგრამ გამოკვლევით ეს არ დადასტურდა.

რაში იყო საქმე? თუთიყუშების საყვარელი საკვებია ფეტვი. აღნიშნული საკვების მარაგი საწყობში გამოლეულიყო და რამდენიმე დღის მანძილზე იგი ფრინველებს არ ეძლეოდა. შემდეგ კი, როცა ფეტვი მოიტანეს და კვლავ მისცეს ფრინველებს, ისინი პირველსავე დღეს გამოცოცხლდნენ, ხოლო მეორე დღეს კვლავ მხიარულად აჭიკჭიკდნენ.



ადვილად გადაიტანა „ზარამ“ ფილტვების ანთება. ექიმების გარდა იგი თავისი მომვლელის მადლიერიცაა.



როდესაც ექიმს შეაწუხებ და „ბინაზე გამოიძახებ“, აღარ უნდა იჭირვეულო — საშუალება მიეცი გულდასმით გაგსინჯოს და გიმკურნალოს.

ფოტო ო. თურქიასი



თბილისის სახ. საქ. სახლობ... საჯარო ბიბლიოთეკა



6.132/48
ეროვნული
ბიბლიოთეკა